



ლიბეჩი

№ 68 / 21-27 მარტი / 2011

ფასი 2 ლარი

შეძიანი ჩაპონია

ქარი ფუჯის მთიდან,
მარაოზე ვდებ,
აი, სახსოვარი ელოდან
ბაშო

ISSN 1987-7528



9 771987 752008

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0





ფოტის პორტი, მარტი 2011

ფოტო: თინათინ ბაჩიაშვილი

ნომერში:

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**
უნდა გაიზარდოს თუ არა სატელევიზიო რეკლამის რაოდენობა?
ანდრო ალავეიძე VS თამარ კორძაია
ფოკუსი
- 08 შეძრული იაპონია
- 13 ახლა ქარი ოკეანისკენ ქრის და ტოკიოს საფრთხე არ ემუქრება
მსოფლიო
- 18 კადაფი: „თუ მსოფლიო შეიშლება, არც ჩვენ დავრჩებით ვალში“

მეზობლები

- 20 დიდი რისხვის დღე?
- 22 ენიგმატური პატიმარი
კონფლიქტები
- 24 აფხაზური შიდაპოლიტიკა
პოლიტიკა
- 25 ეზიარე დონალდს
- 28 მოლაპარაკება ბუნდოვანი შედეგით
მთავარი თემა
- 30 ეკონომიკური სასწაული, რომელიც არ მოხდა
ეკოლოგია
- 36 „მწვანე“ საქართველო
საზოგადოება
- 38 ოჯახური ვენდეტა
განათლება
- 40 „თვითნებობა“ აკადემიაში

თვალსაზრისი

- 44 ლოკალური წარმოდგენების მიღმა
მედიაკრიტიკა
- 46 ვინ გვიშვება თავზე?
თვალსაზრისი
- 48 ცხოვრება სუბტიტრებით
რევიუ
- 50 უცნაური ხილი
- 52 **ტექნოლოგიები**
კულტურა
- 54 სათნო და პოეტური მაზოხისტები
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 56 წერილი ვის?

გარეკანზე:

შეძრული იაპონია



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ოპი საზოგადოება საქართველო

ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

მენამორის ატომური ელექტროსადგური

- საფრთხე მთელი რეგიონისთვის



ძალიან დროულია თქვენი გამოსაზრება და იქნებ სხვებმაც დაწერონ ამის შესახებ. ისედაც

სისიმური ზონა კავკასია და ძალიან საშიშია, თან ძველი საბჭოთა მეთოდებით აშენებული ატომური სადგური, რა უნდა იყოს. იმედია, სომხეთის მთავრობა გაითვალისწინებს და დაიწყებს ვეროკავშირთან თანამშრომლობას, რომ საერთოდ დახურონ ეგ სადგური.

სტუმარი

რეაქტორები არ აფეთქებულა. აფეთქდა დაგროვებული წყალბადი, რეაქტორები ჯერ მხოლოდ ჟონავს.

cannabis

დასული სტილის საზოგადოება



ჩემში არანაირ გალიზანებას არ იხვევენ ასეთი ადამიანები. სიმართლე

გითხრათ, ხანდახან ვერთობი კიდევ. მე ვფიქრობ ამას სერიოზულად არ შეიძლება შეხედო. „გლამური“ და „სექსუალური ამბები“ ყველგან არსებობს. იმის მიუხედავად, რომ ეს ყველაფერი საქართველოში ძალიან გოიმურია, მაინც მოაქვს გარკვეული პროგრესი.

ნიკო კახეთელიძე

მთავარი არ დაგვაინცდეს, რომ ჩვენმა

ცანცოებმა შეილება უნდა გააჩინონ და გაზარდონ და არა მგონია მათ მარტო ბრენდებიც ცოდნა-მოხმარება ეყოთ ამისათვის. ასე რომ ნიაზ დიასამიძის ნათქვამი რომ გადავკეთო: გავერთოთ, მაგრამ ნელა და ფრთხილად (ვიჩქაროთ ნელას) ამბავში.

სტუმარი

გალიმბულმა ჩავიკითხე ბოლომდე, პერიოდულად ხმით ვიცინოდი, ფინალმა განსაკუთრებით მასიამოვნა, იმიტომ რომ იყო სრულიად ბოლმის და აგრესიის გარეშე დაწერილი, მსუბუქი, სახალისო, კრიტიკული და ზუსტად "10-იანში გარტყმული".

c. ანუ მე

ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი დღე, ანუ მიკროსოციუმი, რომელიც ცხოვრობს თავის წესებით, სტილით. და ამ წესებს მიღმა დარჩენილი ადამიანები არ არიან ჩვენიანები, ჩვენ მათი არ გვესმის, ზოგი გოიმად მიგვაჩნია, ზოგი სვეცკად, და ა.შ. უამრავი კლასიფიკაცია შეგვიძლია ჩამოვთვალოთ თითოეული დღეს-გადმოსახედიდან.

ანი

ფუმუღალ ბელუბაის ბაღაფრანა თბილ ქვეყანაში



რა პონტში კეთდება ასეთი გადაცემები და რას გვადლევს ნეტავ... ან

ვის აძლევს რამეს (გარდა გადაცემაში დასაქმებული ადამიანებისა)?

გიორგი23

მე პირადად, უკვე რამდენიმე წელია არ ვუყურებ ტელევიზორს და ასე, ნათესავ—

მეგობართან შემთხვევით თუ მოვკრავ თვალს და ყურს, მაგრამ ვისთვისაც ეს ტელევიზია გუდაში ჩასმული კატის ფუნქციას ასრულებს, ცოდონი არიან.

სტუმარუშკა

სხვა არაფრის განხილვას არ ვაპირებ - რამდენად შეურაცხმყოფელია ეს წერილი, რამდენად ობიექტური და ასე შემდეგ... უბრალოდ ერთ პატარა შენიშვნას გავაკეთებ: ბელურები თბილ ქვეყნებში არ მიფრინავენ.

სტუმარი

„სექსი დიდ ქალაქში 2-ის“ ყველა მსახიობი ყოლოთი დაავიწყდოვს. ალბათ ჩვენს „მსახიობებს“ ქმრებით დაავიწყდოვებენ.

ინა

ნაუბაბალი თამაში

ფეხბურთის მაგალითზე გეტყვით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე დაახლოებით მს-



გავსი სიტუაცია იყო მოსკოვის გუნდების და დინამო თბილისის

თამაშებზე მაგრამ როცა დინამო ძალიან ძლიერი იყო მაინც გახდა ჩემპიონი.

გიორგი

გვეშველება რამე?! და როდესმე დადგებით იმ გზაზე, რაც განვითარების საშუალებას მოგვცემს და მინიმუმ ნატოში მაინც შევიყვანს? ამას წინათ მოვისმინე ვიღაცამ თქვა: რა ნატო, ჯერ იქნება და ერთხელ მაინც ხელისუფლება არჩევნების გზით შეცვალოთ. თუ საერთოდ საქორაო ნატოში შევიდეთ?

სტუმარი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი /ალმასურლებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საგაია / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიანი შურაღაშვილი: შირაღაშვილი, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი ქონტრინა: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნინა კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიორგი ახვლედიანი, კახა თოლორაძე, ლექსო ჩქარული, დინა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბუქიშვილი, დანიელ ნიში, ნიკო ნერგაძე რედაქტორი: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონდაძე ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია ბამომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსკა ბამომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი - ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალი“ საავტორო უფლებები დაცულია. ყურადღება გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბამომცემლობა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. გამოდის კვირამო ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

დასუდი სხივის საზოგადოება

თამარ ალაგიძის ბლოგი

მეგობარს უნდა შევხვდნოდით ყავის და-სალევად და აბაშიძეზე, ერთ-ერთ კაფეში შევედი. მაგიდასთან მოვკალათიდი, ფინჯანი „ლატე“ შევუკვეთე და გზად ნაყიდი „ვოგის“ ახალი ნომრის გაცნობას შევუდექი - დასვენების დღის ჩემი იდეალური სცენარი.

იდილია ნინას (ასე ჰქვია მეგობარს) გამოჩენამ დაარღვია. საბედნიეროდ-მეთქი, ვიტყვი, რომ არა ორი უცხო „ფრინველი“, რომლებიც ლიმიტირებულ ნინას ენერჯიული სვლით შემოჰყვენი და ჩემ გვერდით სკამებზე კომფორტულად მოკალათდნენ.

გოგონებმა ერთნაირი (!) ბუნვის ფილტვები სკამებზე მიაფინეს, „Burberry“-ის კუბოკურულში გადანყვეტილი ნაცრისფერ-ბოტიანი ფხვები გადააჯვარედინეს და „YSL“-ის ვერცხლისფერი ჩანთიდან ამოღებულ „Davidoff“-ს დაენაფნენ.

ერთ-ერთმა თითებით ჰაერში წრე მოხაზა: „აი, ამხელა ტრაკი აქვს. მართლა!“

ასე გავიცანი ნინას თორმეტი წლის უნახავი კლასელი - ცანცო და მისი თანმხლები მანცო.

„დიდტრაკა“ ქართული შოუბიზნესის ერთი წარმომადგენელი აღმოჩნდა, რომელსაც სასტიკად არ გაუამრთლა და „ისი პარისილიამაზის ცენტრში“ „ელპუჟეს“ აპარატით ცელულის დამლა-განადგურების პროცედურის რიგში ცანცოსთან ერთად მოხვდა.

„რას დალევთ?“ - თემა შეცვალა ნინამ და უხერხულად გამიღიმა. აღმოჩნდა, რომ გოგონები ვერაფერსაც ვერ დალევდნენ - ლალისგან მოდიან, ფრჩხილები დაიგრძელეს და დღის ბოლომდე მყარ, ცხელ საგნებთან შეხება აეკრძალათ.

კარგი, მენიუს განხილვა გამოირიცხა. ვეძებთ სხვა თემას. ნინას სამსახურის ამბები - „უიმე, შენ კიდე მუშაობ?“ ჩემი ლექციები - დუმილი. იაპონიის მიწისძვრა - სრული ფიასკო. ისევ „ვოგმა“ გვიშველა.

„გოგონებო ამ ქალზე! (ანია რუბიკი) რა ტანი აქვს!“, - ცანცო

„კაი რა, ჟიზელი ჯობია!“ - მანცო

„ნუ ეხა! ჟიზელი ჟიზელია!“ - ცანცო

დუმილი.

თანდათან ვხვდები, რომ „დაცული სტილის საზოგადოების“ ღირსეულ წევრებში მოვხვდი. „დაცული სტილის საზოგადოების“ (შემდგომში „დს“-ს) წევრები განსაკუთრებული ხალხია. ისინი ცხოვრობენ მკაცრად განსაზღვრული გრაფიკით: ღვიძავთ დღის (!) სამიდან ღამის სამ საათამდე. იკვებებიან მხოლოდ ფოთლებით. ატარებენ მხოლოდ სახელოვან ნივთებსა და ტანისამოსს. არ (ვერ) გამოხატავენ აკვირვებას, რადგან არ აქვთ შუბლის ნაოჭები. სამაგიეროდ, აქვთ საკმარისზე მეტი ტუჩის ქსოვილი. „ფეისბუკზე“ იძებნებიან „ყველაზე ულამაზესების“, „ყველაზე ულამაზესების და უძერსკესების“ და „ყველაზე სვეცკების“ ფოტოალბომებში.

მათი ცხოვრება არ არის იოლი. აი, ახლაც, ცანცოს აი-ფონი რეკავს და ვიგებთ, რომ 20 წუთში უნდა გაიქცეს - „ვართანა იყო. თმები მომიტანა“. ბატონო? „დაგრძელებას ვიკეთებ“.

თავის მხრივ, ცოტა პუტკუნა მანცო „დს“-ს ინტელექტუალური ფრთის წარმომადგენელია. ერთ კვირაში ევგოპტეში მიდის დასასვენებლად და კარგ „პლიაჟინ“ წიგნს ეძებს. კოელიო? პამუკი? აკუნინი? გადაწყდა, რომ ნითელ ზღვაზე კოელიო გაემგზავრება - „პამუკი არ მინდა, ძან მძიმეა. ნახევარი ჩემოდანი მარტო მაგას უნდა“.

„დს“-ს წარმომადგენლებს ყველგან ვერ შეხვდებით. შემოდგომა-ზამთრის სეზონზე ისინი იკრიბებიან აბაშიძის ქუჩის რამდენიმე კაფეში. თბილ ამინდში მათთვის თვალის მოკვრა შეგიძლიათ შარდენი-ბამბის რიგის მიდამოებში. ასევე, არიან "ბენდუსთან" (თუ არ იცით, რომ ვაკის საცურაო აუზს ჰქვია ასე, ჯობია „დს“-ელებთან ეს არ წამოგცდეთ). მაგრამ, აუზში მათი მოძებნით ტყუილად ნუ დაიღლებით - ზაფხულობით აივანზე, ცივ ამინდებში კი აუზის კაფესა და საუნაში შეიხედეთ. აუცილებლად იცნობთ - გრძელი გასწორებული თმა, მაღალქუსლიანი ქოში და უზარმაზარი, ლოგოიანი სათვალე. თანაც, დიდი შანსია, ტელევიზორშიც გყავდეთ რო-



მელიმე ნანახი. „თბილისი ლაივი“ უამათოდ არ ჩაივლის. ნითელი ხალიჩა უამათოდ არ დაიგება. დააკვირდით ტიტრებში - „ცანცო მაჩაიძე, ცნობადი სახე“.

20 წუთი ნელა, მაგრამ მაინც გავიდა. გოგონები ვართანასთან გაიქცნენ. მე და ნინა რას ვიზამდით? - ავქოთქოთდით, ავქაქანდით - „ერთნაირად რო ლაპარაკობენ?? და ერთნაირად რო ეცვათ?? და ფრჩხილები? და თმაააა??“

ჰოდა, სახლში რომ მოვედი, ხელები მექავებოდა „დს“-ზე ბლოგის დასაწერად. შემართებით დაეწყე კიდევ და რა? უცებ მივხვდი, რომ მე და ჩემი მეგობრებიც რალაც დახურული "საზოგადოება" ვართ. ჩვენც რალაც ნიშნებით გამოვიჩრევით და ალბათ ჩვენი ჩვევებიც სასაცილოა ბევრისთვის. რას ვერჩი ამ ცანცოს? მერე რა, რომ ნახევარ დღეს სალონში ატარებს და მეორე ნახევარს გაბულულ კაფეში? მერე რა, თუ „ფეისბუკზე“ „ივენტებსა“ და „ფართებზე“ პრეს-ბანერის ფონზე გადაღებულ ფოტოზე მიწერილ „ყველაზე ლამაზოს“ ასე უპასუხებს - „შენ ჩემზე ლამაზო!“

სამაგიეროდ, მე შაბათობით პატარა კაფეში ვზივარ, „ლატეს“ ვწრუპავ და „ვოგს“ ვათვლიერებ.



დაძაბულობა სპაჩხეთის ყუჩაში

მას შემდეგ, რაც ბაჰრეინის მთავრობამ ოპოზიციის 7 ლიდერი დააკავა, აშშ-მ ოფიციალურ ბაჰრეინს მომიტინგეებთან მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა. ანტისამთავრობო დემონსტრაციების წინააღმდეგ ძალის გამოყენება გააკრიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამაც. გაეროს გენერალურმა მდივანმა პან კი მუნმა, ბაჰრეინში მიმდინარე მოვლენებზე „ღრმა შეშფოთება გამოთქვა“ და განაცხადა, რომ მთავრობის ქმედებები საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება.

დესტაბილიზაცია ბაჰრეინში არაბულ სამყაროში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების გაგრძელებაა. დემონსტრანტები მონარქიის გაუქმებას, კონსტიტუციის შეცვლას, უფლებრივ თანასწორობასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. ხელისუფლებამ გამოსვლებს ძალადობრივი მეთოდებით უპასუხა და დედაქალაქის ცენტრი მომიტინგეებისაგან სპეცრაზმის დახმარებით განმინდა.

სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ბაჰრეინის დემონსტრაციებზე ირანული დაფინანსება გამოჩნდა.

მარტის დასაწყისში ბაჰრეინის მეფე იძულებული გახდა, დახმარებისთვის არაბთა თანამშრომლობის საბჭოსთვის მიემართა. საუდის არაბეთს რეგიონში ირანის გააქტიურება დიდ საფრთხეს უქმნის და ყველანაირ ძალას ხმარობს, რომ თეირანი დააბალანსოს. საუდის არაბეთის მმართველი ერ-რიადი სწრაფად გამოეხმაურა და ბაჰრეინში სამხედრო შენაერთები შეიყვანა, მალევე მას არაბთა გაერთიანებული საემიროები და კატარიც შეუერთდნენ, რამაც ირანის დიდი გაღიზიანება გამოიწვია. თეირანის მიზნებს - ახლო აღმოსავლეთში რეგიონული ჰეგემონობის მოპოვება სცადოს - კარგად ხედავს თეთრი სახლი. ჩრდილოეთ აფრიკისაგან განსხვავებით, აშშ-ს სპარსეთის ყურის ქვეყნებში დიდი ეკონომიკური ინტერესები აქვს და ის ეცდებოდა, არ დაუშვას ამ რეგიონის დესტაბილიზაცია. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აკბარ სალემმა ბაჰრეინში საუდის არაბეთის ძალების შეყვანას „ყოვლად დაუშვებელი“ უწოდა. პარალელურად, თეირანი იმ ქვეყნების წაქეზებითაა დაკავებული, რომლებზეც საუდის არაბეთის ნაბიჯმა შეიძლება, უარყოფითი გავლენა იქონიოს.

საჩოხთასო აუსიავი სოხეთში

ერევანში 17 მარტს ეროვნული კონგრესის მიტინგი გაიმართა. 2008 წლის შემდეგ თავისუფლების მოედანზე ოპოზიციის მიტინგის გამართვა აიკრძალა, 2008 წლის 1 მარტს ერევანში სამართალდამცავებსა და მომიტინგეებს შორის შეტაკებას 10 ადამიანი ემსხვერპლა. კონგრესის ლიდერმა, სოხეთის პირველმა პრეზიდენტმა, ლევონ ტერ-პეტროსიანმა მატენადარანთან გამართული მიტინგზე განაცხადა, რომ „მოქმედებების დროს დადგა“.

„ხელისუფლებამ უნდა იჩქაროს, რადგან მოვლენათა „განწევა“ შესაძლოა, მისთვის და ქვეყნისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს“, - განაცხადა ტერ-პეტროსიანმა.

სამთავრობო ხვიჩაჯი პაჩინაშვილი

22-25 მარტს პარლამენტში სამთავრობო კვირეული გაიმართება. კვირეულის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური და ეკონომიკური ბლოკის მინისტრები დეპუტატებს ანგარიშს ჩააბარებენ. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ მთავრობის დაგეგმილ ანგარიშს „კარგი ინიციატივა“ უწოდა და აღნიშნა, რომ ამით ახალი პრეცედენტი იქმნება ხელისუფლების ამ ორი შტოს ურთიერთობებში.

ჰიზბულასი ვიზიტი შტატებში



პრეზიდენტი სააკაშვილი აშშ-ში ვიზიტს განაგრძობს, ვიზიტის ფარგლებში ის კონგრესმენებს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველებს შეხვდა. პრეზიდენტი ასევე ესტუმრა ბრუკინგის ინსტიტუტს, სადაც სახალხო რევოლუციებზე ისაუბრა. პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში სახალხო რევოლუციამ, ხელისუფლებაში

მოიყვანა რეფორმატორთა ახალგაზრდა გუნდი, რომელსაც ქვეყნის შენება თავიდან მოუხდა: „დღეს ის ადამიანები, რომლებიც რეგიონის პოლიტიკას ქმნიან და საზოგადოებრივ აზრს აყალიბებენ, მათ შორის რუსებიც, ჩამოდიან საქართველოში, რათა გაეცნონ ახალ იდეებს ძველი პრობლემების მოსაგვარებლად“, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტი ასევე შეხვდა სენატში „დემოკრატების“ ლიდერ ჰარი რიიდს და „რესპუბლიკელების“ ლიდერებს, მათ შორის სენატორ ჯონ მაკკეინს, რომელმაც საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიწოდების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

ყველაზე სახიფათო ჩაუხოხების ხეთაი

მას შემდეგ, რაც იაპონიაში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა ქვეყანა ატომური კატასტროფის საფრთხის წინაშე დააყენა, „რადიო თავისუფლებამ“ ყველაზე სახიფათო ატომური სადგურების ხუთეული გამოაქვეყნა. სიის სათავეში, სომხეთის მენამორის ატომური ელექტროსადგურია. მდებარეობისა და ასაკის გამო ის ყოფილ საბჭოთა

სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო რეაქტორად მიიჩნევა. სახიფათო რეაქტორების სიაში ასევე მოხვდნენ: დიდი ბრიტანეთის ატომური წყალქვეშა ფლოტი, რუმინეთის ჩერნოვოდის ატომური ელექტროსადგური, ლენინგრადის ატომური ელექტროსადგური და ენრიკო ფერმის სახელობის ატომური ელექტროსადგური მიჩიგანში, აშშ.

ჩინეთის აბიჯობები

რუსეთის მმართველმა პარტიამ „ედინაია როსია“ ადგილობრივი არჩევნებში ქვეყნის თორმეტივე რეგიონში გაიმარჯვა. არჩევნების შედეგს, რომელშიც პარტიამ ხმათა 46,2% მიიღო, პრემიერ მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა „დამაკმაყოფილებელზე მეტი“ უწოდა. მმართველმა პარტიამ მცირედით გააუმჯობესა წინა ადგილობრივი არჩევნების შედეგი, 2007 წელს პარტიამ ხმების 46% მიიღო. „ეს არ არის დიდი პროგრესი, თუმცა

მიგვითითებს ხალხის რწმენაზე ზოგადი კრიზისის დროს“, - განაცხადა პრემიერ მინისტრმა. 13 მარტს გამართულ არჩევნებზე სამმა პარტიამ: „კომუნისტებმა“, „ლიბერალ-დემოკრატებმა“ და „სამართლიანმა რუსეთმა“ მთლიანობაში ხმების 48% აიღეს.



ჩინებები

100-150 მლნ დოლარით საქართველოსთვის დახმარებას განიხილავს „ათასწლეულის კორპორაცია“.	5 მილარდ დოლარამდე შეიძლება, გაზარდოს საქართველოსთვის დონორთა დახმარება.	42% ამერიკელი მილიონერებისა უკმაყოფილოა ცხოვრებით.	21 მარტს საქართველოში ნოვრუზ ბაირამი აღინიშნება.
---	--	--	--

სიტუაბი



„ლიბიაზე თავდამსხმელებს სიცოცხლე ჯოჯოხეთად ექცევა“
ლიბიის პრეზიდენტი მუამარ კადაფი მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციის შესახებ

„ჩემი და ჩემი თანამოაზრეების პრიორიტეტია, საქართველოს ჰქონდეს მეტი შეიარაღება“.
სენატორი ჯონ მაკეინი პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ

„გვინდა გვექონდეს იდეალური არჩევნები“.
პრეზიდენტი სააკაშვილი ვაშინგტონში, ბრუკინგსის ინსტიტუტში გამოსვლისას

„პირველი შეხვედრა მიზნად ისახავდა პოზიციების მაქსიმალურად დაახლოებას. ამ წუთისთვის ორივე მხრიდან არის მცდელობა, რომ პოზიციების დაახლოება მოხდეს“.

წინო კალანდაძე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის განეწვრიანებაზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე




მომხრე
ანდრო ალავიძე,
პარლამენტარი

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც იზრდება ტელევიზიებში რეკლამისთვის განკუთვნილი დრო. სარეკლამო დროის მატება ტელევიზიებისთვის დამატებითი ფინანსური წყაროა, რის მოზიდვის შესაძლებლობა ტელევიზიებს მისცემს მეტ სარედაქციო დამოუკიდებლობას.

გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია სარეკლამო ბაზარზე მოხდეს ფასების კორექცია. რაკი კანონმდებლობით შესაძლებელი იქნება ტელევიზიებში მეტი რეკლამის განთავსება, არ არის გამორიცხული სატელევიზიო რეკლამის ფასიც შემცირდეს. როდესაც ბაზარზე რაღაც პროდუქტის, ამ შემთხვევაში, რეკლამის მიწოდება გაიზრდება და მოთხოვნა იგივე რჩება, მაშინ მისი ფასი იკლებს. საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე, აღნიშნულმა ცვლილებამ ფასის შემცირებაზე გავლენა უნდა მოახდინოს. ფასების კორექცია თავისთავად ხელს შეუწყობს მენარმეებსაც და მათ მიეცემათ საშუალება რეკლამა ტელევიზიებში მათთვის უფრო მოსახერხებელ ფასად განათავსონ.

ეს კანონმდებლობა უთანასწორო მდგომარეობაში არ ჩააგდებს სხვა მედია საშუალებებს და ამ კანონის მიღებით ისინი არ დაზარალებიან. გაზრდილი ტელერეკლამა არ ნიშნავს, რომ მენარმეები სხვა მედია საშუალებებს არ მიმართავენ. არსებობს რეკლამის განთავსების სპეციფიკა, რომლის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას, თუ სად განათავსონ ის - ტელევიზიაში თუ მაგალითად გაზეთში, და არა ფასების მიხედვით.

ეს კანონი არის ზოგადი მარეგულირებელი ნორმა, რომელიც განსაზღვრავს თუ რა პერიოდულობით არის შესაძლებელი სარეკლამო ჩართვა ამა თუ იმ გადაცემაში. მაგალითად, თუ მანამდე 45 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის არ უნდა ყოფილიყო ფილმი, რომ ის ტელევიზიას რეკლამით გაეჭრა, ახლა ეს დრო შემცირდა 30 წუთამდე. ამ კანონში დეტალურია განერილი თუ რა რეკლამის და ტელე-შოპინგების ჩართვა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა დროს.

ამ ცვლილებების მიზანი იყო, კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა. ვფიქრობ, ყველა ეს მიზანი ემსახურება ტელევიზიების გაძლიერებას, მათ სარედაქციო დამოუკიდებლობას და დამატებითი ფინანსების მოპოვების შესაძლებლობას. 



უნდა ბაიოხეოს თუ ხეხამის ხა

რაკი კანონმდებლობით შესაძლებელი იქნება ტელევიზიებში მეტი რეკლამის განთავსება, არ არის გამორიცხული სატელევიზიო რეკლამის ფასიც შემცირდეს. როდესაც ბაზარზე რაღაც პროდუქტის, ამ შემთხვევაში, რეკლამის მიწოდება გაიზრდება და მოთხოვნა იგივე რჩება, მაშინ მისი ფასი იკლებს. საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე, აღნიშნულმა ცვლილებამ ფასის შემცირებაზე გავლენა უნდა მოახდინოს.



მონინალმდევე

თამარ კორძაია

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ახა სახელეწიო ლოდნობა?

ჩვენს კანონში კი წერია, რომ რეკლამის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს 24 საათის განმავლობაში. რაც იმას ნიშნავს, რომ მაუწყებელს მიეცემა ლავირების შესაძლებლობა, მას შეეძლება პრაიმ-ტაიმში განათავსოს რეკლამა და დილის ეთერი საერთოდ არ დატვირთოს რეკლამით; ანუ ირღვევა პროპორციული გადანაწილების პრინციპი, რაც ასევე შელახავს მაყურებლის, როგორც მომხმარებლის, ინტერესს.

სატელევიზიო რეკლამისთვის გამოყოფილი დროის გაზრდის იდეას არ ვეთანხმები, პირველ რიგში, იმიტომ, რომ კანონმდებლების ავტორები ამ კანონის მიღების საფუძვლად უთითებენ ევროკავშირის დირექტივებს რეკლამასთან დაკავშირებით, რასაც შემოთავაზებული ცვლილებები პირდაპირ ეწინააღმდეგება. დირექტივის თანახმად, მაყურებლის ინტერესი არ უნდა შეილახოს და გადაცემების მთლიანობა არ უნდა დაირღვეს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბავშვო გადაცემებში ან მხატვრულ ფილმში, სარეკლამო წყვეტა არ შეიძლება 45 წუთის განმავლობაში. ასევე გათვალისწინებულია, თუ რამდენი წამი შეიძლება, წყვეტა გაგრძელდეს. ცვლილების თანახმად, წყვეტებს შორის დროის შუალედი 30 წუთამდე ჩამოიყვანეს, რითაც კანონმდებლობა თითქოს დირექტივას შეუსაბამეს, მაგრამ არ დაადგინეს ლიმიტი - თუ რამდენი წამი შეიძლება, სარეკლამო წყვეტა გაგრძელდეს. ევროკავშირის დირექტივაში ასევე ნათქვამია, რომ არ უნდა დაირღვეს გადაცემის მთლიანობა, რაც კანონში შესატანი ცვლილებებით უხეშად ირღვევა.

მეორე საკითხი, რაც აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის დირექტივასთან, არის რეკლამის ხანგრძლივობის განსაზღვრა ასტრონომიული საათის მიხედვით. დირექტივა ამბობს (მუხლი 23), რომ ერთი ასტრონომიული საათის განმავლობაში რეკლამა არ უნდა აღემატებოდეს, ამ დროის 20%-ს. ჩვენს კანონში კი წერია, რომ რეკლამის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს 24 საათის განმავლობაში. რაც იმას ნიშნავს, რომ მაუწყებელს მიეცემა ლავირების შესაძლებლობა, მას შეეძლება პრაიმ-ტაიმში განათავსოს რეკლამა და დილის ეთერი საერთოდ არ დატვირთოს რეკლამით; ანუ ირღვევა პროპორციული გადანაწილების პრინციპი, რაც ასევე შელახავს მაყურებლის, როგორც მომხმარებლის, ინტერესს.

გარდა ამისა, ცვლილებები ასევე პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის დირექტივასთან საინფორმაციო გამოშვებაში რეკლამის გაშვების ხანგრძლივობის შესახებ. დღეს მოქმედი კანონით, დასაშვებია 30 წუთზე მეტი ხანგრძლივობის საინფორმაციო გამოშვებაში წყვეტა განხორციელდეს ყოველ 15 წუთში ერთხელ და არა უმეტეს 120 წამით, რაც 300 წამით იცვლება. შედეგად ვიღებთ საათში 1200 წამს, ანუ 20 წუთს, რაც ასტრონომიული საათის მესამედია.

ცვლილებები არ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს და ლახავს მაყურებლის უფლებას, არ დაირღვეს გადაცემის ყურების ალქმის მთლიანობა. **■**



ფოტოსი: რეიტერსი / REUTERS

მინისტერით და ცუნამით ღაზიან

შეძიანი იაპონია

კატასტროფებით დატვირთულმა ისტორიულმა გამოცდილებამ იაპონურ კულტურაში ორი თვითგადარჩენითი მექანიზმი დაამკვიდრა: პრაგმატიზმის იაპონური ბრენდი და ორგანული პატივისცემა საზოგადოებრივი წესრიგისადმი.

დიანა ჩაჩუა

75 წლის ჰიროსაგო ვაკო საკუთარ სოფელს გაჰყურებს, რომელსაც ერთი საათის წინ მიწისძვრამ და ცუნამიმ გადაუარეს. ოკეანისპირა პატარა დასახლებისგან მხოლოდ მეტალის გროვები, ნანგრევები და მასში მოყოლილი ადამიანების დასახიჩრებული სხეულის ნაწილები დარჩა. ასეთი რამ მან ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ - მეორე მსოფლიო ომის დროს ნახა.

„მე მეორე მსოფლიო ომისას კოალიციის ჯარების მიერ სენდაის საჰაერო დაბომბვების დროს მიცხოვრია, მაგრამ ის რაც ახლა ვნახე, გაცილებით შემზარავი იყო,“ - იხსენებს ჰიროსაგო ვაკო.

11 მარტის კატასტროფა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნაოტო კანმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდ კრიზისად შეაფასა.

„თითქოს იაპონიაზე მესამე ატომური ბომბი გამოსცადეს. ოლონდ ამჯერად ეს ჩვენივე ხელით მოხდა,“ - იხსენებს 82 წლის კეიჯირო მაცუშიმა, რომელიც ჰიროსიმას ატომურ აფეთქებას გადაურჩა.

ჰიროსიმაში წარსულის მოგონებები ატომურ ელექტროსადგურ ფუკუშიმა 1-ის რეაქტორების აფეთქებებმა კიდევ უფრო გაამძაფრა. ფუკუშიმა 1-ზე მომხდარ ავარიას სირთულით მეექვსე კატეგორიას განაკუთვნებენ, მაშინ, როცა 1986 წელს ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი ავარია ყველაზე რთული, მეშვიდე კატეგორიის იყო.

ხელისუფლებამ ატომური ელექტროსადგურის 20-30 კილომეტრის რადიუს-

ში მცხოვრებ მოსახლეობას ევაკუაციისკენ მოუწოდა. რადიაციული დონის ზრდის გამო მთავრობამ სადგურიდან მუშების გაყვანაც დაიწყო. ატომური სადგურის მუშებისთვის რადიოაქტიური დასხივების ნორმა 100-დან 250 მილიზივერტამდე გაზარდეს, რადგან იაპონიის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, სხვა გამოსავალი უბრალოდ არ იყო - ქვეყანაში არ დარჩა სპეციალისტი, ვისაც რადიაციის დასაშვებ ნორმაზე მეტი არ მიუღია.

„მიწისძვრა იმდენად არ მაშინებს, რამდენადაც რადიაცია,“ - ამბობს 35 წლის მასაში იოშიდა, რომელიც სენდაიში ცხოვრობს.

ამ ეტაპზე, ოფიციალური მონაცემებით, 9.0 მაგნიტუდის მიწისძვრის და ცუნამის შედეგად იაპონიაში 5000-ზე მეტი ადამიანია დაღუპული, უგზოუკვლოდ დაიკარგა 8000-ზე მეტი, 450 ათას ადამიანზე მეტი დროებით ბანაკებში და სკოლის სპორტულ დარბაზებში ცხოვრობს.

მსხვერპლი ამის მეათასედიც არ იქნებოდა, რომ არა 4 მეტრიანი ცუნამი, რომლის პირველი ტალღაც ჩრდილოეთ იაპონიაში მიწისძვრიდან რამდენიმე წუთში განიცადეს.

სენდაიდან 304 კილომეტრში მდებარე ტოკიოში, წინასწარი შეტყობინების სისტემის წყალობით, მოსახლეობას მიწისძვრისთვის მოსამზადებლად 80 წამი ჰქონდა. სისტემამ ავტომატური ცნობა ტელევიზიის და მობილურების გზით გაავრცელა.



ფოტო: ნახლავს ბოლი ასლით. სენდაი, იაპონია, 12 მარტი 2011.

თარიღები



▶ **11 მარტი:** იაპონიაში 9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა ხდება, რომელიც ცუნამის იწვევს. დღის განმავლობაში 6,3 მაგნიტუდის მიწისძვრა კიდევ 7-ჯერ მეორდება. ფუკუშიმას ბირთვულ ელექტროსადგურზე ერთ-ერთი რეაქტორი მწყობრიდან გამოდის. სადგურზე საგანგებო მდგომარეობა ცხადდება.

▶ **12 მარტი:** აფეთქება ფუკუშიმა 1-ის პირველ რეაქტორზე. რეაქტორზე სანავაის ღეროების დნობის შეჩერებას ვერტმფრენებიდან წყლის დასხმით ცდილობენ. ელექტროსადგურის 20 კილომეტრიან რადიუსში ევაკუაცია იწყება. დაღუპულთა რიცხვი 1300 აღწევს, ათასობით ადამიანი დაკარგულია. 215 ათასი ადამიანი 1350 დროებით თავშესაფარში ათენებს ღამეს.

▶ **13 მარტი:** მწყობრიდან გამოდის მეორე და მესამე რეაქტორები. იაპონიის სამხრეთ-დასავლეთით შინძოედაკეს ვულკანი ამოიფრქვა.

▶ **14 მარტი:** აფეთქება მესამე რეაქტორზე. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო ჩერნობილის კატასტროფის განმეორების შესაძლებლობას უარყოფს.

▶ **15 მარტი:** აფეთქება მეორე რეაქტორზე. მთავრობა რადიაციის მაღალი დონის არსებობას უარყოფს. ინვესტორების და უცხოეთის მოქალაქეების ევაკუაცია გრძელდება.

▶ **16 მარტი:** ხანძარი მეოთხე რეაქტორის შენობაში. რადიაციის მაღალი დონის გამო სადგურზე სამუშაოები ჩერდება. დღის ბოლოს მუშებს სადგურზე აბრუნებენ.

▶ **17 მარტი:** დაღუპულთა რიცხვი 10 ათასს აჭარბებს. პირველ და მესამე რეაქტორზე მომხდარი აფეთქების შედეგად დაშავდა 23 ადამიანი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 2. მესამე და მეოთხე რეაქტორებზე სანავაის ღეროების დნობის შეჩერებას სამხედრო ვერტმფრენებიდან ტონობით წყლის დასხმით ცდილობენ.

„ვფიქრობდით, რომ გაჩერდებოდა, მაგრამ აღარ ჩერდებოდა. მერე გავაცნობიერეთ, რომ ეს სხვა შემთხვევა იყო. უცებ გამიელვა გონებაში, რომ ეს სწორედ ის „დიდი“ იყო. რა შეგიძლია, ამ დროს გააკეთო? არაფერი...“ - იხსენებს 26 წლის ჩიეკო იოშიდა, რომელიც მიწისძვრის დროს ტოკიოში მეექვსე სართულზე იმყოფებოდა.

ცუნამის მოახლოების დადგენა გაცილებით რთული საქმეა და ამისთვის იაპონიას ჯერ გამართული სისტემა არ გააჩნია. ხელისუფლებამ ცუნამის შესახებ ცნობა მიწისძვრიდან სამ წუთში, წყნარი ოკეანის ცუნამის შეტყობინებების ცენტრმა რეგიონალური ცნობა კი მხოლოდ 9 წუთში გაავრცელა. ასეთი ხანგრძლივი პაუზა ცენტრს იმის დასადგენად დასჭირდა, თუ სად მოხდა მიწისძვრა და რა სახის მოქმედება გამოიწვია მან. ცრუ და დაუზუსტებელი ცნობები სისტემის სანდოობას შეარყევს, ამიტომაც სპეციალისტებს პირველი ცნობის გავრცელებამდე მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება უწევთ.

საბედნიეროდ, ცუნამი მიწისძვრაზე ნელა იწყება. ის ისეთივე სიჩქარით გადაადგილდება, როგორც თვითმფრინავი ღრმა წყლებზე.

იაპონიის მიწისძვრა სიმძლავრით 500-ჯერ აღემატებოდა ჰაიტის მიწისძვრას, რომელსაც პირველისგან განსხვავებით, ცუნამი არ მოჰყოლია. ამის მიუხედავად ჰაიტიზე დაღუპულთა რიცხვი 20-ჯერ აღემატება დღეისათვის იაპონიაში დაღუპულთა რაოდენობას.

ეს არც არის გასაკვირი. იაპონია რამდენიმე ტექტონიკურ პლატფორმაზე მდებარეობს, რაც ნელინადში 1000-მდე მიწისქვეშა ბიძგს იწვევს. ამიტომ იაპონიას მთელს მსოფლიოში მიწისძვრებისთვის ყველაზე კარგად შემზადებული ინფრასტრუქტურა და საზოგადოება ჰყავს.

კატასტროფის შემდეგ საერთაშორისო მედიის ყურადღება სწორედ იაპონელების მომზადებულობამ, მონესრიგებულობამ და შეუპოვრობამ მიიპყრო.

კატასტროფებით დატვირთულმა ისტორიულმა გამოცდილებამ იაპონურ კულტურაში ორი თვითგადარჩენითი მექანიზმი დაამკვიდრა: პრაგმატიზმის



იაპონური ბრენდი და ორგანული პატივისცემა საზოგადოებრივი წესრიგისადმი.

ჰიროკო იამაშიტა მარტოხელა მოხუცია. მიწისძვრის დროს წიგნების კარადა დაეცა და ფეხი მოიტეხა. როდესაც რამდენიმე საათიანი აგონიის შემდეგ ექიმებმა, როგორც იქნა, მიაგნეს მას, ჰიროკომ მასველებს ბოდიში მოუხადა მიყენებული უხერხულობისთვის და იკითხა, იქნებ ჯერ სხვებს უფრო სჭირდებოდათ ექიმების დახმარება.

შესაძლო მიწისძვრის, ცუნამის და ტაიფუნის რისკი ღრმად არის ჩამჯდარი იაპონელების ფსიქიკაში, რაც ყოველდღიური ცხოვრების ყოველ დეტალს განსაზღვრავს. იაპონურ კულტურაში დეტალების მიმართ ყურადღებას ბავშვებს საბავშვო ბაღიდან უვითარებენ. ყველაზე უარესისთვის მზადყოფნის



მინისძვრის და ცუნამის შედეგად სენდაიში ქარხანა იწვის, 12 მარტი, 2011.

გორ მოიქცეს, როდესაც მინა იძვრის: თავზე იფარებს რაიმე რბილ გადასაფარებელს და უახლოესი მერხის ქვეშ ძვრება. მინისძვრის დროს მაღალ შენობებში მყოფებმა იციან, რომ გაქცევას აზრი არ აქვს, რადგან საგანგებო უსაფრთხოების წესების დაცვით აგებული შენობებს იაპონიაში, ჩვეულებრივ, არაფერი ემუქრებათ. დიდ ქალაქებში მაღალსართულიანი სახლები ისეა აგებული, რომ მინისძვრის დროს, ნგრევის ნაცვლად ქანაობენ.

1923 წლის პირველ სექტემბერს კანტოს მინისძვრამ ტოკიო და იოკოჰამა სერიოზულად დააზიანა, რეგიონი კი ნანგრევებად აქცია. მაშინ 100 ათასი ადამიანი დაიღუპა. ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ დედაქალაქის გადატანაზეც კი ფიქრობდნენ. ამის სანაცვლოდ იაპონელებმა შენება დაიწყეს. ხის სახლები ბეტონის და რკინის შენობებით ჩაანაცვლეს, გზები განაახლეს, მეტროს გეგმა შეიმუშავეს და აეროპორტი ააგეს. კატასტროფების შემდგომ პერიოდებში ასეთი პოლიტიკის წყალობით, თანდათანობით იაპონია კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის ჩემპიონად იქცა.

ყოველი დიდი მინისძვრის შემდეგ იაპონიაში მშენებლობის წესები მკაცრდება. ბოლოს წესების გადახედვა 1981 და 2000 წლებში მოხდა. 1979-2009 წლებში შიზუკას პრეფექტურაში საავადმყოფოების, სკოლების და საზოგადოებრივი დაწესებულებების უსაფრთხოების გასაძლიერებლად 4 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. სენდაის კატასტროფის შემდეგ იაპონიაში უსაფრთხოების ზომების კიდევ უფრო გამკაცრებას ელიან.

სამაშველო სამუშაოების პარალელურად, იაპონიაში ზარალს ითვლიან. იაპონიის ეკონომიკის აღდგენას ყველაზე მეტად ბირთვული ენერჯის უსაფრთხოების პრობლემა გაართულებს. ქვეყანაში 54 ბირთვული ელექტროსადგურია, საიდანაც მოხმარებული ელექტროენერჯის ერთი მესამედი მიიღება.

წინასწარი გამოთვლებით, სტიქიით მიყენებული ზარალი 180 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს უზარმაზარი დარტყმა ქვეყნისთვის, რომელსაც განვი-

■ იაპონიის მინისძვრა სიმძლავრით 500-ჯერ აღემატებოდა ჰაიტის მინისძვრას, რომელსაც პირველისგან განსხვავებით, ცუნამი არ მოჰყოლია. ამის მიუხედავად ჰაიტიზე დალუპულთა რიცხვი 20-ჯერ აღემატება დღეისათვის იაპონიაში დალუპულთა რაოდენობას.

გამოსამუშავებლად საბავშვო ბალებსა და სკოლებში იაპონელი ბავშვები სისტემატურ წვრთნებს და სიმულაციებს გადიან. რკინის ჩაფხუტები სკოლების, ბალების და ოფისების პირველადი დახმარების ყუთის განუყოფელი ნაწილია.

კატასტროფებს პატარა იაპონელებს ადრეულ ასაკში ლეგენდების მეშვეობით აჩვენებენ.

პოპულარული ლეგენდის თანახმად, იაპონია ფიცხი ღმერთების ქვეყანაა, რომლებიც ხშირ მინისძვრებსა და ბუ-

ნებრივ კატასტროფებს იწვევენ. ყოველ პირველ სექტემბერს, 1923 წლის კანტოს დიდი მინისძვრის წლის-თავზე, რომელმაც 140 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეინარა, იაპონელები კატასტროფისთვის მზადყოფნის დღეს აღნიშნავენ. ტარდება წვრთნები და სიმულაციები. იაპონიის ჩრდილოეთით მცხოვრები ბევრი მოსახლე საკუთარ გადარჩენას ამ მომზადებას უმადლის, რომელიც მათი ცხოვრების ნაწილად იქცა. სკოლის ყველა მოსწავლემ იცის, რო-

თარებულ სამყაროში ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი ვალი გააჩნია - მშპ-ს 200 პროცენტით.

სტიქიაში მოყოლილი დაზღვეული ქონების ღირებულება AIR Worldwide-ის წინასწარი გამოთვლებით 35 მილიარდ დოლარს შეადგენს. კიდევ ერთი ფირმის Eqecat-ის პროგნოზებით, უძრავი ქონების დანაკარგი 100 მილიარდ დოლარს აჭარბებს.

იაპონიის ეკონომიკისთვის საბედნიერ-

როდ, სტიქიამ ნაკლებად ინდუსტრიულ რეგიონებს გადაუარა. ყველაზე განვითარებული ეკონომიკური რეგიონები სამხრეთისკენ, ნაგოიასკენ მდებარეობს. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ დაზარალებულ ჩრდილოეთში წარმოება საერთოდ არ არის. მაგალითად, წლის დასაწყისში „ტოიოტამ“ მიაგის პრეფექტურაში ქარხანა გახსნა.

კრიზისი ყველაზე მეტად სწორედ ავტომობილების მწარმოებლებს დააზა-

რალეს. წინასწარი გათვლებით, Toyota, Honda and Nissan მოგება წელს 3-8 პროცენტამდე შემცირდება.


საინვესტიციო კრიზისის დასარეგულირებლად ორშაბათს იაპონიის ეროვნულმა ბანკმა ფინანსურ სექტორში 183 მილიარდი დოლარის ოდენობის თანხა გაუშვა. ეს ბანკის ისტორიაში ერთ დღეში განხორციელებული ყველაზე მსხვილი ოპერაციაა.

11 მარტის მინისტრისა და ცუნამის შემდეგ იაპონიის კატასტროფების კასკადს ქარი, შტორმი და თოვლი დამატდა. ამას ემატება ჰუმანიტარული კრიზისის ნიშნები. ფუკუშიმას ბირთვული ელექტროსადგურის მახლობლად მინამასოტაში ჯერ კიდევ არიან მოქალაქეები, რომლებმაც რეგიონის დატოვება ვერ შეძლეს და რადიაციის და შიმშილის საფრთხის წინაშე დგანან.

„ჩვენთვის არავის უთქვამს პირველ რეაქტორზე აფეთქებების შესახებ. ამის შესახებ ტელევიზიით გავიგეთ. სრულიად იზოლირებულნი ვართ. მთავრობამ აქ სასიკვდილოდ მიგვატოვა,“ - ამბობს ქალაქის მერი კაცუნობობი საკურაი.

მაღაზიებში ამოიწურა ელემენტების, საბნების, ბამბის, ტუალეტის ქაღალდის, რადიოების, საძილე ტომრების, ფარების და სხვა პროდუქტების მარაგი. ერთ-ერთმა სასტუმრომ შინჯოში, რომელიც კატასტროფის ზონიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს, კლიენტებს განუცხადა, რომ საუზმისთვის საკვები არ ჰყოფნიდა. თითქმის ყველა ბენზინგასამართი სადგური დახურულია.

„ყველაფერი დანგრეულია და მინასთან არის გასწორებული. ეს სრული კატასტროფაა. ეს ყველაზე საშინელი შემთხვევაა, რაც მინახავს,“ - ჰყვება იაპონიის წითელი ჯვრის პრეზიდენტი ტადატერუ კონოე.

გადარჩენილების ძიების პროცესი გრძელდება, თუმცა ცივ ამინდებთან და დროის გასვლასთან ერთად, ცოცხლების პოვნის შანსი სულ უფრო იკლებს. ოფუნატუმი და კამაიში ძებნისას მამველთა გუნდმა ვერც ერთი ცოცხალი ადამიანი ვერ იპოვა. 

რატომ არ არის ფუკუშიმა ჩერნობილი?



ჩერნობილის ელექტროსადგურს არ ჰქონდა შემაკავებელი რეზერვუარი და აფეთქების შემდეგ რადიოაქტიურმა ნივთიერებებმა პირდაპირ ატმოსფეროში გაჟონა. ფუკუშიმაში კი ბირთვული პროცესის აქტიური ზონა დაცულ კორპუსში მიმდინარეობს. ყველა რეაქტორი დაცვით რეზერვუარშია მოთავსებული და ეს კონსტრუქცია გარკვეულ წნევასა და აფეთქებებზეა გათვლილი.

ამასთან, ფუკუშიმაში და ჩერნობილში განსხვავებული რეაქტორები გამოიყენება. ჩერნობილის რეაქტორი იმგვარად იყო აგებული, რომ რაც უფრო ხურდებოდა ბირთვი, მით უფრო იზრდებოდა

რეაქცია. ფუკუშიმა რეაქტორების შემთხვევაში კი რაც უფრო ხურდება რეაქტორი, ბირთვი ნაკლებად რადიოაქტიური ხდება. ეს იაპონურ რეაქტორებში ექსტრემალურ სიტუაციებისას თვით-გაითქვის მექანიზმს ქმნის.

თუმცა, ეს არ ნიშნავს რომ ჩერნობილის მსგავსად, ფუკუშიმაც არ შეიძლება იქცეს ათასობით ადამიანის დაზიანებისა თუ გარდაცვალების მიზეზი. უკვე არსებული რადიაციის დონეც, რომლის შენარჩუნებასაც იაპონელი სპეციალისტები 24 საათის განმავლობაში ცდილობენ, ფატალურია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რეაქტორების სიახლოვეს იმყოფებიან.

იაპონია

ახლა ჩაჩი ოჩაანისხენ ჩიის და ტოხიოს საფხითსა ახ ემუჩიება

ქართველი სტუდენტის დღიურები იაპონიიდან.

დავით გოგინაშვილი



ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული ნანგრევები. კესენუმა, 17 მარტი, 2011

ფოტო კომპოზიციები / REUTERS

11. 03. 2011

დაახლოებით დღის 3 საათი იყო. უნივერსიტეტთან მდებარე ვიჯექი, ხეს მიყუდებული, როდესაც პირველი მიწისძვრა მოხდა. თავიდან ვიგრძენი, როგორ ამოძრავდა ხე ჩემს ზურგს უკან. ვიფიქრე ქარის გამოა-მეთქი, მაგრამ მერე დავინახე, ჩემს ფეხებქვეშ მიწიდან როგორ ამოინია ხის ფესვები და ჩაბრუნდა ისევე მიწაში. გულდაღმა

დავწექი მიწაზე და მთელი ტანით ვგრძნობდი, თუ როგორ იძვროდა ზედაპირი. რაც იაპონიაში ვცხოვრობ, არაერთი მიწისძვრა მინახავს. მივეჩვიე კიდევ, მაგრამ მივხვდი რომ ეს სხვებს ნამდვილად არ ჰგავდა. შიშმა უცბად გამიარა, როცა დავინახე, სრულიად დაწყნარებული იაპონელები როგორ ორგანიზებულად გამოდიოდნენ შენობებიდან. არავითარი პანიკა ან ნივილ-კივილი - უმფოთვე-

ლად დაელოდნენ როდის ჩანყნარდებოდა ბიძგები და ასევე უმფოთველად მიუბრუნდნენ თავიანთ საქმეს. ცოტა მოშორებით კი საშუალო სკოლის მოსწავლეები აქეთ იქით მოქანავე ხეებს ეჯავგუწებოდნენ და კისკისებდნენ. ამ სცენამ საერთოდ გამაზალისა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, უკვე ავტობუსში ვიჯექი და მეტროს სადგურისკენ მივდიოდი, როცა

შუქნიშანზე გაჩერებული ავტობუსი “აცეკვდა”. ორიოდ წამში საყვირის კივილით სახანძრომ ჩაგვიქროლა, ცოტა ხანში სასწრაფოც მიჰყვა. საყვირის ხმა ყველა მხრიდან ისმოდა, შენობები ისე ქანაობდა, თითქოს ერთმანეთს იაპონური ტრადიციული წესით ესაღმებინათ.

მეტრო გაჩერებული დაგვხვდა, ყველა სადღაც ცდილობდა დარეკვას, მაგრამ მობილური არავის უმუშავებდა. თუმცა, ხალხი წყნარად იყო, არ ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკიც კი, აღარაფერს ვამბობ ტირილზე ან ისტერიკაზე.

რა თქმა უნდა, იაპონელები მიჩვეულები არიან მიწისძვრებს, იციან, როგორ მოიქცნენ ასეთ შემთხვევებში და ეს არის მათი სიმშვიდის მთავარი მიზეზი, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. ასეთი საქციელი არის თავდაჭერილობისა და ღირსების საოცარი მაგალითი, რომელიც გამომუშავდა ამ ერში საზოგადოების ჩამოყალიბების გრძელი და მეტად რთული პროცესის შედეგად. რაც უნდა მიჩვეული იყოს ერი მიწისძვრებს, 9.0 მაგნიტუდის სიდლიერის რყევის დროს რთულია, არ აჰყვე პანიკას. აქ კი მსგავსი არაფერი იყო - მხოლოდ ერთი მთვრალი მოხუცი ხმაურობდა, მეტროს თანამშრომლებს უყვიროდა; რამდენი უნდა მალოდინოთ, გამიშვიო, მეჩქარებაო.

სადგურის გარშემო, სადაც საბოლოოდ მომიწია ღამის გათევა, ნგრევის კვალი არ შეიმჩნეოდა და ამან მავიქრებინა, რომ სინამდვილეში მიწისძვრა არც ისე ძლიერი იყო. თუმცა როგორც აღმოჩნდა ეს მხოლოდ იაპონელი არქიტექტორების დამსახურებაა და არა მიწისძვრის სისუსტის.

საბედნიეროდ, თან ჩემი ნეთბუქი მქონდა და ამან გადამარჩინა სრული ინფორმაციული იზოლაციისაგან. შეუფერხებლად მუშაობდა მობილური ინტერნეტი. სწორედ ინტერნეტი იყო ბედნიერების ერთადერთი გამონათება იმ საშინელ ღამეს.

არაფერი ვიცოდი ჩემი მეგობრების შესახებ. უმეტესობას სამსახურში მოუსწრო მიწისძვრამ, ზოგს ქუჩაში, ზოგსაც კი მეტროში. ამ დროს ჩვენი მშველელი facebook-ი აღმოჩნდა. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ facebook-ის კედლებზე შექმნილმა განწყობამ ხალხს მხნეო-



ბა დაუბრუნა. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც ბიძგები და რყევები ყოველი 10 წუთის ინტერვალით მეორდება მთელი დღეღამის განმავლობაში, შენ კი სრულიად მარტო ხარ და არ იცი, რა ქნა. საზარელი კადრები, რომელსაც ყველა სააგენტო ატრიალებდა ყველაზე სხვადასხვანაირად მოქმედებდა: ზოგი დაითრგუნა, ზოგი სტრესში ჩავარდა, სიბრალული, თანაგრძობა, შიში იმისა რომ აქაც შეიძლება მოხდეს იგივე, სადღაც გულის კუნჭულში სიხარული იმის გამო, რომ შენ იქ არ ხარ. ჩემმა მეგობრებმაც აღნიშნეს, რომ დილით ემოციებისაგან უფრო იყვნენ

დაღლილები, ვიდრე მიწისძვრით გამოწვეული ყანყალით.

ამ ყველაფერს ემატებოდა გულისწამლები მიწისძვრის მოახლოების შეტყობინებები ტელეფონზე. განვმარტავ: იაპონიის პროგნოზირების სააგენტო ხანდახან ახერხებს ხოლმე რამდენიმე წუთით ადრე მიწისძვრის პროგნოზირებას, და ასევე განსაზღვრავს მის ეპიცენტრს. ასეთ შემთხვევებში ავტომატურად იგზავნება შეტყობინება ყველა მობილურ ტელეფონზე. მობილური საშინელ ზრიალს იწყებს და ეკრანზე ეხატება კაცუნა, რომელიც გარბის.



ველსის პოლიტიკის მინისტრის მიხედვით დაზარალებულ რაიონში. კესენუმა, 17 მარტი, 2011

ფოტო: სიმონ კუნი / REUTERS

■ აქ ყველას კარგად აქვს გააზრებული, რომ მიუხედავად მათი საქმიანობისა, მათ შეაქვთ პირდაპირი თუ ირიბი წვლილი იაპონიის საზოგადოების განვითარებაში და შესაბამისად, თავს დატყუებულნი აღმოვჩნდებით

შტაბილი შტორმის წინ

12 მარტის დილა ტოკიოში შედარებით მშვიდობიანი იყო, ბიძგებიც აღარ ყოფილა ისეთი ხშირი. ატომურ რეაქტორზე საუბრობდნენ, მაგრამ ჯერ სერიოზული არაფერი ჩანდა, მოკლედ, დავწყნარდით და ყველანი ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდით.

თითქმის ყველა, ვინც შაბათობითაც მუშაობს (იაპონიაში ბევრია ამგვარ რეჟიმში), სამსახურში გავიდა. მაგალითად, ჩემს კბილის ექიმს ძალიან გაუკვირდა, როდესაც დავურეკე და ვკითხე, ჩემი დაგეგმილი პროცედურა გადაიდებოდა თუ არა. როდესაც მივედი, დეტალურად ამიხსნა თავისი მიდგომა ამ საკი-

თხისადმი.

მითხრა, ყველამ უნდა შეიტანოს წვლილი დაზარალებულების და ქვეყნის დახმარებაში. ოდნავი პაუზის შემდეგ კი დაამატა: ზუსტად ამიტომ ვარ დღეს მე აქო. ეს შემართება იგრძნობა თითქმის ყველა იაპონელში. ყველა ცდილობს, აკეთოს თავისი საქმე შესაძლებლობების ზღვარზე. აქ ყველას კარგად აქვს გააზრებული, რომ მიუხედავად მათი საქმიანობისა, მათ შეაქვთ პირდაპირი თუ ირიბი წვლილი იაპონიის საზოგადოების განვითარებაში და შესაბამისად, თავს დატყუებულნი აღმოვჩნდებით, რადგანაც მხოლოდ და მხოლოდ განვითარებულ საზოგადოებას შეუძლია ასეთ სიტუაციებში შესაბამისად კონსოლიდირება.

მოჩვენების ქალაქისკენ

13 მარტს დამირეკეს NBC News-დან და შემომთავაზეს მათთან მუშაობა. დაახლოებით შვიდი გადამღები ჯგუფი ჰყავდათ მთელ იაპონიაში დაგზავნილი, მაგრამ მაინც აკლდათ ხალხი. როდესაც გავიგე, რომ ინფორმაციის მოსაპოვებლად შეიძლება წავსულიყავით მინისძვრითა და ცუნამით ყველაზე მეტად დაზარალებულ ქალაქ სენდაიში, მაშინვე დავთანხმდი. ჩავალაგე ზურგჩანთაში პირველადი საჭიროების ნივთები, თბილი ტანსაცმელი, ყველაფერი, რაც დამჭირდებოდა სახლში დაუბრუნებლად იაპონიის დატოვებისათვის და 2 საათში უკვე NBC News-ის ოფისში ვიყავი.

ვიქირავეთ მანქანა და 14 მარტს ერთ-ერთ კორესპონდენტთან და მის ოპერატორთან ერთად გავეშურე სენდაისკენ. ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმავალი მთავარი გზა გადაკეტილი აღმოჩნდა. ატარებდნენ მხოლოდ სპეციალური დახმარების მანქანებს და სამხედროებს. თუმცა გარკვეული ბიუროკრატიული პროცედურის გავლის შემდეგ, ჩვენც მოგვცეს საშვი და დავადექით თითქმის ცარიელ ავტოსტრადას. ფუკუშიმასთან პირველად შევნიშნეთ, რომ გზა წესრიგში არ იყო. დაღუპული ასფალტის გამო მძღოლს საჭის დამორჩილება უჭირდა. გამახსენდა, ტელევიზორში აჩვენებდნენ, თუ როგორ იყო ეს გზა ადგილ-ადგილ შუაზე გადახეთქილი, მაგრამ ასეთი რამ

ჩვენ არ გვინახავს. სენდაისთან ახლოს შევნიშნეთ ასფალტის შემკეთებელი ჯგუფები, რომლებსაც თითქმის მთავებული ჰქონდათ გზის რემონტი. იაპონელთა ოპერატიულობამ ჩემი ამერიკელი თანამგზავრებიც კი გააოცა. ის კი არა, ცოტა შეფიქრიანდნენ, სენდაიშიც ყველაფერი აღდგენილი არ დაგვხვდესო.

სენდაი ძლიერი მიწისძვრით მოგვესალმა. ქალაქში შევედით თუ არა, მაგრად შეგვანჯღრია. ქალაქში, ერთი შეხედვით, უკეთესი მდგომარეობა აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით. გარედან შენობები სრულიად მთელი იყო. ერთადერთი რაც ძლიერ მიწისძვრაზე მიუთითებდა იყო ასფალტი, რომელიც ზოგან მოძრაობაში გაყინულ ტალღებს ჰგავდა, ზოგან კი ნაპრალებით იყო დასერილი. იმედი ჩამესახა, რომ მსხვერპლი არც ისე დიდი უნდა ყოფილიყო. მოსახლეობასაც პანიკის არაფერი ეტყობოდა. შე-

ვასხენებ მკითხველს, რომ ეს იყო ხალხი, რომელიც მოხვდა ბუნების რისხვის ეპიცენტრში და იყო თითქმის სრულიად მონყვეტილი მსოფლიოს.

ცოტა ხანში დატბორილ სანაპიროზე ვიდექით. შორიდან იქაურობა წყლიან ბრინჯის ყანებს ჰგავდა. როცა მივუახლოვდით, დავინახე ტალახში და მცენარეებში აზულილი ავეჯი, კედლის ან სახურავის ნაგლეჯები, ქალაქის ნაგლეჯივით დაკუჭული მანქანები. ადგილობრივებიდან იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ვინმე, ეძებდნენ თავიანთი სახლის ნარჩენებს, მაგრამ მალევე ხედებოდნენ, რომ ტალახის მორევში რაიმეს პოვნა თითქმის შეუძლებელი იყო.

ჟურნალისტები ნადირობდნენ ასეთ მსხვერპლზე (ჩვენ გარდა, კიდევ სამ უცხოურ გადამღებ ჯგუფს შემოედგინა აქამდე).

ჩემგან ას მეტრში დავინახე 50-იოდე

წლის კაცი, რომელიც მუხლებზე იდგა და არ ინძრეოდა. თავი ჩაერგო წიგნში და რაღაცას თვალს არ აცილებდა. როცა მივუახლოვდი, დავინახე, რომ კაცი ტალახით მოთხრილ სურათების ალბომს დაჰყურებდა და ლაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. აღმოჩნდა, ეს მისი მეზობელი ბავშვის ალბომი იყო, რომლის ოჯახიც დაკარგულიყო. ოციოდ ნაბიჯში, საშუალო სკოლის ატესტატი ვიპოვე, რომელიც ასევე ამ ბავშვის აღმოჩნდა.

მეორე დილით აეროპორტს მივაშურეთ, რომელიც გვსმენოდა, რომ ძალიან დაზარალდა. იმან, რაც იქ ვნახეთ, ჩვენს ყველაზე პესიმისტურ მოლოდინსაც კი გადააჭარბა. თვითმფრინავები, მანქანები, ხეები და შენობები ერთმანეთში იყო გადაზეული. აეროპორტის მთავარი შენობა, ამ შენობაში განლაგებული მალაზიები და კაფეები სავესე იყო ტალახით, მცენარეებით და დაჭეჭილი მანქანებით.

ფუკუშია ეპროპის ბირთვულ პროგრამას აჩერებს



1986 წლის ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ ყველაზე სერიოზულმა ბირთვულმა კრიზისმა ატომური ენერჯის გამოყენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ დღის წესრიგში დააყენა.

შაბათს გერმანიის ქუჩებში აქტივისტები ატომური ენერჯის გამოყენებას აპროტესტებდნენ.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა 1980 წლამდე აშენებული ყველა ატომური ელექტროსადგურის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო, რაც ფუკუშიმის შემთხვევით და გაზრდილი საფრთხეებით ასხნა. მერკელის მიზანი განახლებადი ენერჯების გამოყენებაზე რაც შეიძლება მალე გადასვლაა.

კანცლერის განცხადებით, გერმანიის ბირთვული ელექტროსადგურები მსოფლიოში

ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხოა. თუმცა „როდესაც იაპონიაში წარმოუდგენელი და შეუძლებელი რეალობა იქცევა, ეს სიტუაციას რადიკალურად ცვლის,“ - აღნიშნა მერკელმა.

სადგურების შეჩერების შესახებ გერმანიის კანცლერის გადაწყვეტილებამ ოპოზიციურ წრეებში და ბირთვული ენერჯეტიკის წარმომადგენლებში უკმაყოფილება გამოიწვია. გასულ წელს მთავრობამ გერმანიის 17 ბირთვული ელექტროსადგურის ფუნქციონირება 12 წლით გაახანგრძლივა, თუმცა იაპონიის მოვლენების შემდეგ გადაწყვეტილება სამი თვით გადაავადა. ამას შვიდი ყველაზე ძველი სადგურის დროებით შეჩერების გადაწყვეტილება მოჰყვა.

შვეიცარიაში სამი ახალი სადგურის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება შეაჩერეს. საფრანგეთში კი, რომელიც ევროპაში ბირთვულ ენერჯიაზე ყველაზე დამოკიდებული ქვეყანაა, 58 რეაქტორის უსაფრთხოების ნორმების შემოწმება დაიწყო. ევროკავშირის კიდევ ერთ ქვეყანაში, ბულგარეთში სეისმურად საშიშ ზონაში ბირთვული პროგრამა შეაჩერეს.

იაპონიის მოვლენების შემდეგ სადგურების მშენებლობის პროექტები ევროპის გარდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც შეაჩერეს. ჩი-

ნეთმა ახალი ელექტროსადგურის მშენებლობაზე გადაწყვეტილება შეაჩერა, არსებულ სადგურებზე კი შემოწმების ჩატარება მოითხოვა. ჩინეთი 27 ახალ სადგურს აშენებს, რაც მსოფლიოს მასშტაბით მშენებარე ატომური ელექტროსადგურების 40 პროცენტს შეადგენს.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შეფასებით, დღეს ბირთვული ენერჯის წილი ენერჯეტიკულ ბაზარზე იმაზე სწრაფად იზრდება, ვიდრე თვით ბაზარი. 2035 წლისთვის მისი წილი გლობალური ენერჯის წარმოებაში 8 პროცენტით გაიზრდება.

„2030 წლისთვის 10-25 ქვეყანას ახალი ატომური ელექტროსადგურები ექნებათ. ამ ეტაპზე ატომური ენერჯის პროგრამების ფარგლებში ინფრასტრუქტურის მშენებლობით უკვე 12 ქვეყანა არის დაკავებული,“ - აცხადებს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორი იუკია ამანო.

იუკია ამანო ფუკუშიაზე არსებულ მდგომარეობას უკიდურესად სერიოზულს უწოდებს. ინფორმაციის პირველწყაროდან მისაღებად ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორი პირადად ეწვევა იაპონიას.

შევამჩნიე, წვიმა იწყებოდა. რადიაციული წვიმის საშიშროებაზე ჯერ კიდევ წინა დღით იყო ლაპარაკი, ამიტომ სასწრაფოდ მივაშურეთ მანქანას, რომ გავცლოდით იქაურობას. აეროპორტს ბევრით არ ვიყავით გაცილებულები, რომ პოლიციის ბლოკ-პოსტს გადავანყდით. გავაჩერეთ პოლიციის მანქანასთან და მათთან დასალაპარაკებლად შუშა ჩამოვნიეთ, მაგრამ უცრად მანქანიდან სამედიცინო ნიღბიანი პოლიციელი გადმოსტა და შესტებით გვანიშნა რომ შუშა აგვენია, კონდიციონერი გამოგვერთო და გავცლოდით

სანაპიროს, რადგან ჰაერში რადიაციის დონე ძალიან იყო აწეული.

ტოკიოში დაბრუნება გამოვრიცხეთ, რადგან გზად ფუკუშიმა უნდა გავვევლო. ამიტომ გავემურეთ კუნძულის სიღრმისკენ, მთებში. ინტერნეტი არ გვქონდა. ტელეფონით დავუკავშირდით დანარჩენ ჯგუფებს და მალე ყველამ აქ მოიყარა თავი. ადგილობრივები გაცილებულები გვიყურებდნენ, ამდენი უცხოელი ერთად ცხოვრებაში არ ენახათ.

გარეთ ლამაზად თოვდა, ყველაფერი თეთრად იყო გადაპენტილი, მაგრამ ჩვენ

ზუსტად ამ ნაღვეს გვეშინოდა. ვისხედით სასტუმროში და ველოდებოდით მთავარი ოფისის გადნევილებას.

ამ დროს ნაცნობმა დამირეკა ფუკუშიმადან და შემატყობინა, რომ ერთ-ერთი რეაქტორი დაზიანდა და რადიოაქტიურმა ნივთიერებებმა გამოიშინა. მირჩია, ქვეყანა დამეტოვებინა. მე ვუთხარი, სასწრაფოდ გასცლოდა ფუკუშიმას და მიელო შესაბამისი დახმარება სპეციალისტებისაგან, მაგრამ ცივად უარყო, ამისხსნა, რომ ექიმია და ახლა იქ უნდა იყოს. ჩემმა რჩევამ არ გაჭრა, არც თხოვნამ, არც მოთხოვნამ... ღმერთს ვთხოვ, ჯანმრთელად გადარჩეს!

იმავე საღამოს მივიღეთ შეტყობინება, რომ დილას უნდა დავბრუნებულიყავით ტოკიოში და რომ გზა ფუკუშიმას გავლით არ იყო საშიში. ეს დასკვნა გამოიტანა სპეციალურმა ჯგუფმა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებიდან შეკრიბა NBC-მ. ჯგუფში იყვნენ სეისმოლოგი, სინოტიკოსი და რადიაციის სპეციალისტი.

მეორე დღეს დილაადრიან დავტოვეთ დასახლება. ფუკუშიმასთან მიახლოებისთანავე, მთავარი ოფისიდან მიღებული რჩევის მიხედვით, ფანჯრები ავნიეთ და კონდიციონერს გამოვრთეთ. ამიტომ, მომიწია, ორი საათის განმავლობაში, დაორთქლილი საქარე შუშა მეპრიალებინა მძღოლისთვის.

დაახლოებით შუადღისთვის ჩამოვედით ტოკიოში. რადიაციის სპეციალისტი თავისი აღჭურვილობით გველოდებოდა. ჯგუფის ყველა წევრი გაგვსინჯა - ჩანთიდან დაწყებული ტანსაცმლითა და თმებით დამთავრებული, გადაამოწმა მონაცემები და დაასკვნა, რომ 0.1 პროცენტითაც კი არ მიგვიღია დასხივება. იმავე სპეციალისტებმა აგვისხსნეს, რომ სამხრეთ-დასავლეთისკენ მქროლავი ქარის გამო, ტოკიოში რადიაციამ მართლაც აინია, მაგრამ რადიაციის ეს დონე რენტგენით მიღებული დასხივების დონესაც კი ბევრად ჩამორჩებოდა და ბევრმა საინფორმაციო სააგენტომ შეცდომაში შეიყვანა ხალხი. ახლა ქარი ოკეანისკენ ქრის და სავარაუდოდ ასე გაგრძელდება რამდენიმე დღე. ამგვარად, ტოკიოს ჯერჯერობით საფრთხე არ ემუქრება. 



ქალი დასტირის ნანგრევებში მოყოლილ დედის ცხედარს. ქალაქი რიკუზენტაკატა, 16 მარტი 2011

ფოტო: AGENCY / REUTERS



ფოტო აგაპა ვაბუი / REUTERS

ლიბია

ხადაფი: „თუ მსოფლიო შეიშლება, ახს ჩვენ დაპყრობით ვაძუი“

ლიბიის მთავრობამ „გაეროს“ რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის გადანყვეტილებით უპასუხა, თუმცა საომარი ქმედებები არ შეუწყვეტია.

ვასო კუჭუხიძე

„გაეროს“ რეზოლუციას - ლიბიის არასაფრენ ზონად გამოცხადების შესახებ - ლიბიის მთავრობამ ცეცხლის შეწყვეტით უპასუხა. ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუსა კუსამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მთავრობა „გაეროს“ რეზოლუციას ემორჩილება და დაუყოვნებლივ წყვეტს ყველა სამხედრო ოპერაციას.

ტრიპოლიში შეკრებილ ჟურნალისტებს კუსამ ასევე უთხრა, რომ ლიბია ყველა ხერხს მიმართავს მშვიდობიანი მოსახლეობის კონფლიქტისგან დასაცავად. მისი თქმით „გაეროს“ რეზოლუცია შეეხება როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ფრენებს: „რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ლიბიელ ხალხზე და დაამძიმებს მათ ისედაც

რთულ ცხოვრებას“, - დასძინა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ამ განცხადებიდან მალევე, ბრიტანული „გარდიანი“ წერდა, რომ კადაფის მთავრობა პირობას არ ასრულებს და The Associated Press-ზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ქალაქ მისრატაში სამთავრობო ძალები შეიარაღებულ იერიშს კვლავ აგრძელებენ: „კადაფის

ჯარები აგრძელებენ ქალაქის დაბომბვას, ქალაქი სავსეა ტანკებით და არტილერიით. 25-მდე ადამიანი უკვე დაღუპულია, მათ შორის არიან ბავშვები“, - წერდა გაზეთი ადგილობრივ ექიმზე დაყრდნობით.

„გაეროს“ უშიშროების საბჭომ ლიბია არასაფრენ ზონად ხუთშაბათს გამოაცხადა. ამ საკითხს „გაეროში“ არაბული ლიგის ერთადერთი წარმომადგენელი ლიბანი ლობირებს. საჰაერო სივრცის არასაფრენ ზონად გამოცხადების გარდა, რეზოლუცია ეკონომიკური სანქციების გამკაცრებას, იარაღზე ემბარგოს დაწესებასა და საერთაშორისო საბანკო ანგარიშების გაყინვას ითვალისწინებს. რეზოლუციას „გაეროს“ ათმა წევრმა დაუჭირა მხარი, თავი შეიკავეს რუსეთის, ჩინეთის, გერმანიის, ბრაზილიის და ინდოეთის წარმომადგენლებმა.

ცხადება ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ პორტუგალიურ ტელეარხ RTP-სთან ინტერვიუში, გაერო-ს რეზოლუციის მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე გააკეთა: „თუ მსოფლიო შეიშლება, არც ჩვენ დავრჩებით ვალში, წინააღმდეგობას გავეწეოთ და ლიბიაზე თავდამსხმელებს სიცოცხლეს ჯოჯოხეთად ვუქცევთ“, - განაცხადა კადაფიმ.

მანამდე, ლიბიის ცის არასაფრენ ზონად გამოცხადება და შესაძლო სამხედრო ინტერვენცია ევროპელმა ლიდერებმა განიხილეს, თუცა პარიზში შეკრებილი „დიდი რვიანის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ვერ შეთანხმდნენ. არაბული ლიგის მიერ შეთავაზებული ინიციატივა, რომელსაც საფრანგეთი-ინგლისი ლობირებდნენ, კანადამ ჩააგდო. კანადას რუსეთმაც აუბა მხარი.

ლიბიაში სამხედრო ინტერვენციის მთავარი მომხრე საფრანგეთი იყო. პარიზმა რამდენიმე დღის წინ მეამბოხეთა დროებითი საბჭო ალიარა და მსოფლიოს მისი მაგალითის მიბაძვისკენ მოუწოდა. საფრანგეთს მხარს უჭერს ბრიტანეთიც. ჰილარი კლინტონისა და მეამბოხეთა ლიდერის - ჯიბრის შესხედრის მუხედავად, აშშ ჩარევას არ ჩქარობს. სენატის წინაშე გამოსვლის დროს ეროვნული დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა განაცხადა, კადაფი ახლო მომავალში შეძლებს მეამბოხეთა დამარცხებას და ძალაუფლების აღდგენას, ამიტომაც აუცილებელია მასთან ურთიერთობის შენარჩუნება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-ში საკმაოდ სერიოზულად განიხილავენ ლიბიის ორად გაყოფის ალბათობასაც.

■ საჰაერო სივრცის არასაფრენ ზონად გამოცხადების გარდა, რეზოლუცია ეკონომიკური სანქციების გამკაცრებას, იარაღზე ემბარგოს დაწესებასა და საერთაშორისო საბანკო ანგარიშების გაყინვას ითვალისწინებს. რეზოლუციას „გაეროს“ ათმა წევრმა დაუჭირა მხარი, თავი შეიკავეს რუსეთის, ჩინეთის, გერმანიის, ბრაზილიის და ინდოეთის წარმომადგენლებმა.

გენლებმა. რეზოლუცია უფლებამოსილებას აძლევს საერთაშორისო თანამეგობრობას გამოიყენონ „ყველა ზომა“ კადაფის მომხრე სამხედრო ძალების თავდასხმებისაგან სამოქალაქო პირების დასაცავად. ამასთან რეზოლუცია გამორიცხავს საერთაშორისო სამხედრო ძალის შეყვანას ლიბიის ტერიტორიაზე.

„ლიბიაზე სამხედრო შეტევა რამდენიმე საათში დაიწყება“ და მასში საფრანგეთი მიიღებს მონაწილეობას, განაცხადა საფრანგეთის მთავრობის სპიკერმა ფრანსუა ბარონიმ პარასკევს დილით. საჰაერო შეტევა საფრანგეთის, ბრიტანეთის და ამერიკის კოალიციას უნდა ჩაეტარებინა. ოპერაციის დაწყებას ადასტურებდა ბრიტანეთის პრემიერ მინისტრიც, დევიდ კამერონი პარასკევს ამბობდა, რომ სამხედრო ოპერაციისთვის სამზადისი დაწყებულია.


„ლიბიაზე თავდამსხმელებს სიცოცხლეს ჯოჯოხეთად ვუქცევთ“, - ეს გან-

საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორენს ქენონმა კანადის გადაწყვეტილება ასე ახსნა: „ორი აზრი არ არსებობს, რომ ლიბიაში მიმდინარე მოვლენები მოითხოვს ქმედითი ზომების გატარებას, მაგრამ ამისთვის არსებობს „გაეროს“ უშიშროების საბჭო და სწორედ იქ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.“

„სანამ სამხედრო ინტერვენციის გეგმა განიხილება, აუცილებელია, სიტუაციის დარეგულირების ყველა სხვა საშუალება განვიხილოთ და ვცადოთ.“ - დაამატა ლავროვმა.

„გაეროს“ მიერ მიღებულ რეზოლუციას რეგიონში სკეპტიკურად უყურებენ. „იმ ფონზე, როცა კადაფის შეიარაღებული ძალები წარმატებით იბრუნებენ დაკარგულ ქალაქებს და ბენღაზის რამდენიმე დღეში გათავისუფლებას გეგმავენ, ეკონომიკური სანქციების გამკაცრებაზე საუბარი, უბრალოდ სასაცილოა,“ - აცხადებს ერთ-ერთი არაბი ექსპერტი.

ლიბიაში კი მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს, კარგა ხანია, გასცდა. ხელი-სუფლება ალჟირიდან დაქირავებული მებრძოლების საშუალებით, არტილერიითა და ავიაციით უსწორდება ხალხს. კადაფი გამარჯვებას ელის და ამბობს, რომ იმედგაცრუებულია ევროპელი კოლეგების საქციელით. მან იტალიურ გაზეთი „Il Giornale“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ყოველთვის იცოდა სარკოზის „გონებრივი დაულაგებლობის“ შესახებ და არც უკვირს მისი პოზიცია, მაგრამ ნამდვილად არ იცის, რა უთხრას ბერლუსკონის, რომელსაც უახლოეს მეგობრად მიიჩნევდა.

მამას არც საიფ ალ კადაფი ჩამორჩა, რომელმაც „Euronews“-თან ინტერვიუში საფრანგეთის პრეზიდენტი „კლოუნად“ მოიხსენია და იმ თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვა, რომლითაც ლიბიამ სარკოზის საარჩევნო კამპანია დაუფინანსა. 

საერთაშორისო

დიდი ხისხვის დღე?

აზერბაიჯანში ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც „ეგვიპტური რევოლუციიდან“ საკუთარი დასკვნები გამოაქვს.

შაჰინ რზაევი, ბაქო

ბოლო დროს აზერბაიჯანის დედაქალაქში დიდი პოპულარულობით სარგებლობს ერთი ანეკდოტი: „შვილი ეკითხება მამას: მამა, როდის ვცხოვრობდით უკეთ — მუტალიბოვის გადადგომის შემდეგ თუ ელჩიბეის გადადგომის შემდეგ? მამა პასუხობს: შვილო, ყველაზე უკეთ მუბარაკის გადადგომის შემდეგ ვცხოვრობთ.“

მუბარაკის გადადგომის შემდეგ ერთი თვე გავიდა და ეგვიპტეზე მნიშვნელოვანი ცვლილებები, ვგონებ, აზერბაიჯანში ხდება. უკვე ერთი თვეა, სახელმწიფო უწყებებში ქრთამს არ იღებენ, ჩინოვნიკები უფრო კეთილგანწყობილნი გახდნენ. ამკარაა, რომ ეგვიპტის მოვლენებმა აზერბაიჯანის ხელისუფლება საგონებელში ჩააგდო. ამ კამპანიის კულმინაცია გახდა თათბირი, სადაც პირადად ქვეყნის პრეზიდენტმა მთავრობას ქათმის კვერცხებზე ფასების შესამცირებლად სასწრაფო ღონისძიებების გატარება მოსთხოვა. თათბირამდე ერთი კვერცხი 25 გაიპიკი (დაახლოებით, 25 ევროცენტი) ღირდა, თათბირის შემდეგ კი ფასი ორჯერ დაეცა. ახლა ბაქოს მაღაზიებში ერთი კვერცხი უკვე 12 გაიპიკი ღირს. ამ ფაქტის გამო აზერბაიჯანში მიმდინარე ცვლილებებს უკვე „კვერცხების რევოლუცია“ კი უწოდეს.

მუბარაკის გადადგომამ მხოლოდ აზერბაიჯანის ხელისუფლების ქმედებებში როდი შეიტანა ცვლილებები. ახალგაზრდა აზერბაიჯანელებმა, რომლებიც ალიევის მმართველობით არიან უკმაყოფილონი, დასკვნები გამოიტანეს „ეგვიპტური რევოლუციიდან“, რომელიც „ფეისბუქზე“ აქტივობით დაიწყო. თებერვლის ბოლოს სოციალურ ქსელ

„ფეისბუქზე“ გაჩნდა გვერდი სახელწოდებით „11 მარტი - დიდი სახალხო დღე“. ამ გვერდის შემქმნელები აზერბაიჯანელებს 11 მარტს შადრევნების მოედანზე შეკრებისა და მრავალათასიანი მიტინგის ჩატარებისკენ მოუწოდებდნენ.

ამ გვერდის შემქმნის პირველი ინიციატორები საზღვარგარეთ მცხოვრები აზერბაიჯანელები აღმოჩნდნენ. ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში გვერდი 35000 ადამიანმა „დააღაიქა“, ხოლო 3000-ზე მეტმა არასანქცირებულ აქციაში მონაწილეობა დაადასტურა.

თუმცა, რეალურად, 11 მარტს ქუჩაში დაახლოებით, 100-150 ადამიანი გამოვიდა.

თუმცა, მომიტინგეთა ამ რაოდენობამაც კი აზერბაიჯანის ხელისუფლება სერიოზულად შეაშფოთა. პოლიცია აქციის დაუყოვნებლივ დაშლას შეუდგა. დააკავეს 30-მდე აქტივისტი, სასწრაფოდ გადაკეტეს მიმდებარე მეტროს სადგურის — „28 მაისი“.

პრევენციული ზომები ხელისუფლებამ მანამდეც მიიღო. 11 მარტამდე რამდენიმე დღით ადრე ბაქოში ახალგაზრდა „ფეისბუქელი“ აქტივისტების და აქციის ორგანიზატორების დაპატიმრება დაიწყო. მმართველი პარტიის „ახალი აზერბაიჯანის“ წარმომადგენლებმა ტელევიზიით დაშინების და ცილისწამების კამპანია დაიწყეს და ახალგაზრდული მოძრაობა სომხებთან კავშირში დადანაშაულეს. უმაღლეს სასწავლებლებში გამოცხადდა, რომ ვინც 11 მარტს ლექციებს არ დაესწრებოდა, სასწავლებლიდან გაირიცხებოდა. შედეგად, 11 მარტს ლექციებზე მიმედ ავადმყოფებიც კი გამოცხადნენ. მაგალითად, ბა-

ქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები დილიდანვე აუდიტორიებში შეყარეს და შენობა ჩაკეტეს.

11 მარტის აქციის ორგანიზატორების განცხადებით, აქცია წარმატებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ სულ ორ საათს გაგრძელდა. მათივე თქმით, ამ დღემ აჩვენა, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხში პროტესტის გრძნობა მატულობს და ეს კარგად ესმის ხელისუფლებასაც, რომელსაც ხალხის რისხვის ემინია.

მოლოდინების მიუხედავად, „ფეისბუქ-რევოლუცია“ აზერბაიჯანში არ შედგა და ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

აქციის ორგანიზატორებმა რიგი არსებითი მომენტები არ გაითვალისწინეს. უპირველეს ყოვლისა, პარასკევს აქციის დანიშვნა არაგონივრული იყო. არაბული და სხვა მუსლიმური ქვეყნებისგან განსხვავებით, კვირის ეს დღე აზერბაიჯანში სამუშაო დღეა. აზერბაიჯანში, იგივე ეგვიპტისგან განსხვავებით, პარასკეობით მასობრივი ნამაზი არ ტარდება. ეგვიპტეში სწორედ პარასკევს, მასობრივი ნამაზის შემდეგ გამოვიდა ქუჩაში ყველაზე მეტი ხალხი.

და რაც მთავარია, აზერბაიჯანში ეგვიპტისგან განსხვავებით, ინტერნეტ-ტექნოლოგიები გაცილებით ნაკლებადაა განვითარებული და ახალი ამბების სოციალური ქსელით გაცვლის ტრადიცია არ არსებობს.

აზერბაიჯანის კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამინისტროს მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში ყოველ 100 კაცზე 8 კომპიუტერი და 37 ინტერნეტ-მომხმარებელი მოდის.



ოპოზიციის საპროტესტო აქცია, ბაქო, 12 მარტი 2011

ფოტო სტრიმბაკი / REUTERS

■ ეგვიპტის მოვლენებმა აზერბაიჯანის ხელისუფლება საგონებელში ჩააგდო. ამ კამპანიის კულმინაცია გახდა თათბირი, სადაც პირადად ქვეყნის პრეზიდენტმა მთავრობას ქათმის კვერცხებზე ფასების შესამცირებლად სასწრაფო ღონისძიების გატარება მოსთხოვა.



საპროტესტო აქციის მონაწილის დაკავება, ბაქო, 12 მარტი 2011

ფოტო სტრიმბაკი / REUTERS

„ფეისბუქის“ მონაცემებით, აზერბაიჯანის ბლოგოსფერო მეზობელ საქართველოს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. 2010 წელს საქართველოში ფეისბუქზე 385 462 მომხმარებელი იყო დარეგისტრირებული, რაც მოსახლეობის თითქმის 10 პროცენტია. აზერბაიჯანში

კი მომხმარებელთა რაოდენობა სულ რაღაც 184 660 ადამიანია, რაც მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს. ასეთი სტატისტიკით, „ფეისბუქ-რევოლუციას“ ვერ მოაწყობ. აზერბაიჯანის საპროტესტო აქცია არაბულ ქვეყნებში მიმდინარე აქციებ-

თან მიახლოებულიც კი არ იყო. ორგანიზატორები პირობას დებენ, რომ შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ. სხვათაშორის, მომდევნო აქცია, სახელწოდებით „დიდი რისხვის დღე“ 2 აპრილს არის დანიშნული. ეს კი უკვე შაბათი დღეა. **■**

2005 წლის აგვისტოში რუსმა პოლიტპატიმარმა მისილ ხოდორკოვსკიმ გამოაქვეყნა პოლიტიკური მანიფესტის შეფერილობის მქონე სტატია სახელწოდებით „შემობრუნება მარცხნივ“ (Левый поворот). სტატიაში ხოდორკოვსკი მსჯელობს, რომ რუსეთში ავტორიტარულმა ტენდენციებმა ძალა მოიკრიბეს არა პუტინის ხელისუფლებაში მოსვლისას, არამედ უფრო ადრე, 1996 წელს. ხოდორკოვსკის აზრით, ამ დროიდან „კრემლმა უკვე იცოდა“, რომ ელცინის რეჟიმის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა, დემოკრატიულ პროცესზე უარის თქმის გარეშე.

ამიტომ, შემუშავდა პოლიტიკური გეგმა, რომელსაც ეკისრებოდა ქვეყანასა და ხელისუფლებაში სტაბილურობის განმტკიცება და რომელმაც განაპირობა კიდევ ვლადიმირ პუტინის აღზევება. შესაბამისად, ქვეყანაში სადაც „მოსახლეობის 1%-ია მდიდარი, 9% მეტ-ნაკლებად შეძლებული და დანარჩენი 90% ღარიბი და, რაც მთავარია, დამცირებული“, გარდაუვალია მემარცხენე ძალების გამარჯვება: „... ყოველგვარი ეშმაკობების მიუხედავად, მემარცხენეები გაიმარჯვებენ. თანაც, ისინი გაიმარჯვებენ დემოკრატიულად — ამომრჩეველთა უმრავლესობის ნების თანახმად. შედეგად მარცხნივ შემობრუნება და დღევანდელი ხელისუფლების მემკვიდრეთა კოპორტა აღარ იქნება ლეგიტიმური“, - წერს ხოდორკოვსკი.

მემარცხენე ძალებთან, კერძოდ კომპარტიასთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე ხოდორკოვსკი მსჯელობს, პრაქტიკულად, ყველა თავის „პროგრამულ“ სტატიაში, ასევე საჯარო მიმონერებში ცნობილ რუს ლიტერატორებთან (ბორის აკუნინი, ბორის სტრუგაცკი, ლუდმილა ულიცკაია). აკუნინთან 2008 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნებულ დიალოგში ხოდორკოვსკი მიიჩნევს, რომ დღევანდელ რუსულ კომპარტიას აღარაფერი აქვს საერთო სკკპ-სთან და რომ „ის (რფკპ) არსებითად ნორმალურ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაა იქცა“. შესაბამისად, ამ პარტიასთან თანამშრომლობაზე უარი, მისი თქმით, პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა.

რუსეთის პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებით იმავე აკუნინთან საუბრისას ხოდორკოვსკი ამბობს, რომ ის მომხრეა

თვალსაზრისი

ენიბმახუი ჰახიმახი

თუკი ქვეყნის შიდა მოწყობის საკითხებში ხოდორკოვსკი მკვეთრად ემიჯნება ამჟამად არსებულ ვერტიკალს, მისი გეოპოლიტიკური მოსაზრებები დიდად არ განსხვავდება კრემლის ხედვისგან.

გოგი თუმშალიშვილი

„სკანდინავიური მოდელის“, ანუ ძლიერი, სოციალური სახელმწიფოსი, რომელიც გარკვეულ პატერნალისტურ ფუნქციებს ითვალისწინებს. მისი „პროგრამა 2020“-ის მიხედვით, რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდერნიზაცია შესაძლებელია მხოლოდ „საპრეზიდენტო-საპარლამენტო“ რესპუბლიკის მოდელზე გადასვლისას, სადაც პრეზიდენტი ქვეყნის მორალური ლიდერი, უზენაესი მთავარსარდალი და საგარეო პოლიტიკის ფორმირების ცენტრი იქნებოდა, ხოლო ეკონომიკისა და სოციალური კეთილმოწყობის საკითხებით მინისტრთა კაბინეტი დაკავდებოდა.

როგორ გავიგოთ 90-იანი წლების რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი კაპიტალისტის „მარცხნივ შემობრუნება“?

დღევანდელი რუსული ოპოზიციის აშკარა სისუსტიდან გამომდინარე, მისილ ხოდორკოვსკი რჩება ერთადერთ მძიმეწონიან ფიგურად, რომელსაც, მოვლენების შესაბამისი განვითარების შემთხვევაში, შეუძლია მძლავრად შეანჯღრიოს არსებული პოლიტიკური ვერტიკალი. დატუსაღებისა და პუტინის მხრიდან სისტემატური ანგარიშსწორების პირობებში, მისი რენომე დასავლეთში, როგორც რეფორმატორის და იდეისთვის წამებულისა, სულ უფრო იზრდება. რუსეთში, ხოდორკოვსკი შესაძლოა, განიხილებოდეს ბუნებრივ ლიდერად იმ სოციალური კატეგორიისთვის, რომელიც ბოლოდროინდელი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში მეტნაკლებად ჩამოყალიბდა როგორც საშუალო ფენა. რაც შეეხება მემარცხენე ელექტორატს, ხოდორკოვსკი მას გამუდმებით ელოლიაგება. 2009 წლის შემოდგომაზე ფრანგულ გამოცემა *Politique Internationale* —ისთვის

მიცემულ ინტერვიუში ყოფილმა ოლიგარქმა განაცხადა, რომ რუსეთის კომპარტია და მისი ამომრჩეველები წარმოადგენენ საზოგადოების ინტერესების გამომხატველ ნაწილს, რომელთაც „უფლება აქვთ, ხმა-მაღლა თქვან სათქმელი.“

რამდენად მკაფიოა ხოდორკოვსკის პოლიტიკური ამბიციები? 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში, ხოდორკოვსკი თითქოს შორს იდგა პოლიტიკისგან და მხოლოდ ბიზნეს-სფეროთი იყო დაკავებული. მაგრამ სწორედ ამ პერიოდში ჩამოაყალიბა მან საქველმოქმედო ორგანიზაცია „ლია რუსეთი“, რომლის პროგრამა ჭეშმარიტ ინოვაციურ რეგულაციას ისახავდა მიზნად (სკოლების კომპიუტერიზაცია მთელ ქვეყანაში, პროვინციებში მდებარე ბიბლიოთეკების ინფორმატიზება, იურიდიულ-საკონსულტაციო ოფისების შექმნა, და ა.შ.). 2003 წლის მიწურულს ხოდორკოვსკის „ლია რუსეთის“ საქმიანობაზე უკვე 60 მილიონი დოლარი ჰქონდა დახარჯული და გეგმავდა პროექტების ყოველწლიური დაფინანსების 100 მილიონ დოლარამდე გაზრდას. ამას გარდა, ის ლიად აფინანსებდა გრიგორი იავლინსკის ოპოზიციურ პარტიას „იბლოკო“.

ბუნებრივია, ეს საქმიანობა უპირისპირდებოდა პუტინის მიერ წამოწყებულ სახელისუფლებო ვერტიკალის აგებას და ხოდორკოვსკიმ კრემლისგან არაერთხელ მიიღო პირდაპირი თუ ირიბი გაფრთხილება. მაგრამ ის შეიძლება ითქვას, შეგნებულად წავიდა ხელისუფლებასთან კონფრონტაციაზე.

ამჟამად, პოლიტპატიმარი ხოდორკოვსკი, ცხადია, საჯაროდ უარყოფს პოლიტიკურ ამბიციებს. გასულ წელს ჟურნალ



მიხაილ ხოდორკოვსკი საკუთარ სასამართლო პროცესზე. 10 მარტი 2010

ლი Spiegel-თვის მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ შეკითხვაზე, ფიქრობს თუ არა, ოდესმე დაიკავოს პრეზიდენტის სავარძელი, ხოდორკოვსკი ამბობს, რომ რუსეთში ებრაული წარმოშობის კაცი „არ შეიძლება, განიხილებოდეს რეალურ კონკურენტად. ეს ანბანური ქვეშარტებაა და ვინაიდან არ ვარ მასხარა, არც არასოდეს გამომიტყვამს მსგავსი სურვილი“.

მაგრამ, თუკი რუსეთის შიდაპოლიტიკურმა კონიუნქტურამ სამომავლოდ გამოიწვია მიხაილ ხოდორკოვსკის პატი-

■ მიხაილ ხოდორკოვსკი რჩება ერთადერთ მძიმეწონიან ფიგურად, რომელსაც, მოვლენების შესაბამისი განვითარების შემთხვევაში, შეუძლია მძლავრად შეანჯღრიოს არსებული პოლიტიკური ვერტიკალი.

მრობიდან გათავისუფლება, რა დაუშლის მრწამსით „ლიბერალს ეკონომიკურ ჭრილში და მემარცხენეს სოციალურ საკითხებში“, შექმნას არაერთგზის გაცხადებული „ფართო სოციალ-დემოკრატიული ფრონტი“, მილნიოს კონსტიტუციურ ცვლილებებს და მოექცეს მთავრობის სათავეში? მსგავსი პერსპექტივა არ შეიძლება, სრულებით გამოირიცხოს.

აქ კი საინტერესოა ხოდორკოვსკის გეოპოლიტიკური ხედვა და კერძოდ, თუ რას ფიქრობს ის საქართველოსთან მიმართებაში.

ნატოსა და ევროკავშირთან დაკავშირებით ხოდორკოვსკი აცხადებს, რომ მომხრეა პარტნიორული ურთიერთობების, მაგრამ არა განევრიანებისა. „რუსეთი კარგად გრძნობს თავს იქ, სადაც არის. ანუ, heartland—ის ისტორიული დარაჯის რეგიონი“ (Politique internationale, 2005 წლის ნოემბერი). აგვისტოს ომის შესახებ კი ხოდორკოვსკიმ განაცხადა, რომ ამართლებს რუსული ჯარების შეყვანას სამხრეთ ოსეთში, ვინაიდან, მისი აზრით, „სააკაშვილმა გადააფასა თავისი შანსები (დასავლეთისგან) საკუთარი აღმამფოთებელი საქციელის მხარდაჭერისა“.

ეს განცხადება ერთადერთია პატიმრობაში ყოფნის მრავალი წლის განმავლობაში, სადაც ხოდორკოვსკი კრემლის ქმედებას სოლიდარობას უცხადებს.

მიამიტობა იქნებოდა წარმოგვედგინა, რომ მას ამით მედვედევი-პუტინისგან ინდულგენციის იმედი ჰქონოდა. მწერალ ლუდმილა ულიცკაიასთან გამოქვეყნებულ დიალოგში ის აღიარებს, რომ მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში კომკავშირული საქმიანობისას, „სერიოზულად უდგებოდა სუკთან თანამშრომლობას“ და მომხრე იყო კომკავშირიდან გარიცხვლების ინსტიტუტიდანაც გარიცხვისა: „საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ ხომ სამშობლოსთვის სიცოცხლე უნდა მიგვეცა და, შესაბამისად, როგორ მოვთხოვდით ამას არაკომკავშირელს და არაკომუნისტს? არ ვხუმრობ და არ ვუტრირებ, მართლაც ასე ვფიქრობდი.“ სამხედრო-პატრიოტული თემატიკა სტაბილურად პოპულარულია რუსეთის ფართო მასებში. როგორც ჩანს, მიხაილ ხოდორკოვსკი სტაბილურად ითვალისწინებს მომავალი ელექტორატის განწყობილებებს. **■**

ფოტო: ალექსანდრე ნახოვსკინი / REUTERS

აფხაზეთი

აფხაზეთში შიდაპოლიტიკა

ბალაფშის რუსული პოლიტიკის კრიტიკას აფხაზეთი ოპოზიციისთვის წარმატება მოაქვს.

ნიკ კლეიტონი, სოხუმი

მიუხედავად იმისა, რომ თებერვალში აფხაზეთში გამართულ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში გამარჯვება მმართველმა პარტიამ "ერთიანმა აფხაზეთმა" მოიპოვა, ადგილობრივი ექსპერტები აფხაზეთი ოპოზიციის გაძლიერებაზე საუბრობენ.

ადგილობრივ არჩევნებს, რომელიც რეგიონული საბჭოებისა და მთავარ ქალაქებში მერის თანამდებობების შემადგენლობას განსაზღვრავს, რეალურად არაფერი შეუცვლია. თითქმის ყველგან თანამდებობებზე ძველი კადრები დარჩა, გარდა გუდაუთისა, სადაც ოპოზიციამ სახელისუფლებო კანდიდატის - მოქმედი მერის დამარცხება შეძლო.

აფხაზი მიმომხილველი ახრა სმირი ამბობს, რომ ეს ფაქტი სიმპტომურია - ოპოზიციამ სწორედ იმ რაიონში შეძლო საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება და მოსახლეობაში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გაღვივება, სადაც რუსეთი უახლოეს ხანებში თავისი ჯარის განლაგებას გეგმავს.

აფხაზეთ ოპოზიციას დღეს არც ერთიანი სამოქმედო პროგრამა აქვს და ვერც რესპუბლიკის მომავლის მკაფიო ხედვაზე ჩამოყალიბებულა. თუმცა, ერთ საკითხში ყველა თანხმდება - ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის მიმართ ვნებს აფხაზეთის ნაციონალურ ინტერესებს და ამ არჩევნებში ოპოზიციას სწორედ იმ რაიონში გაუმართლა, სადაც მოსახლეობა ამ პოლიტიკის შედეგს ყველაზე მეტად გრძნობს.

ჯერ კიდევ 2009 წელს, აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმმა და ოპოზიციურმა პარტია „ერა“-მ ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომელშიც რუსეთისათვის მეტისმეტი ძალაუფლების გადაცემის გამო აფხაზეთის მთავრობა მკაცრად გააკრიტიკეს.

კეს. ოპოზიციის უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ხელისუფლებამ რუსეთს აფხაზეთის რკინიგზის, აეროპორტის, საზღვრების მართვის და მთავრობის ბიუჯეტის ორი მესამედის უზრუნველყოფის უფლება მისცა.

მიუხედავად ამ მკაცრი განცხადებისა, აფხაზეთის ოპოზიციის ეს ორი ყველაზე ძლიერი პარტია უარყოფს, რომ ანტირუსულია.

„პირველ რიგში, აფხაზეთმა დღეს

■ აფხაზეთ ოპოზიციას დღეს არც ერთიანი სამოქმედო პროგრამა აქვს და ვერც რესპუბლიკის მომავლის მკაფიო ხედვაზე ჩამოყალიბებულა.

სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სათანადო პირობები უნდა შექმნას. აფხაზეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი რუსეთისგან, დასავლეთისგან და სხვა ნებისმიერისგან,“ — განაცხადა „ლიბერალთან“ საუბარში აფხაზეთის ყოფილმა დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა და „ერთიანი ეროვნული ფორუმის“ ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ.

ახრა სმირი ამბობს, რომ ბალაფშის რუსული პოლიტიკის მიმართ აფხაზეთის მოსახლეობის სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას დღეს აფხაზეთი ოპოზიციის მოხერხებულად იყენებს, რეალურად კი, ოპოზიციამაც იცის, რომ დღევანდელი მთავრობის პოლიტიკა თითქმის უალტერნატივოა.

„ყველამ იცის, ფული საიდან მოდის. და რაც უფრო მეტი წამოვა, მით უკეთესი. ოპოზიციას შეუძლია, რამდენიც უნდა, იმდენი ილაპარაკოს, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ მხოლოდ იგი-

ვე არჩევანი აქვთ,“ — მიიჩნევს სმირი.

იანვარში ოპოზიციური „სახალხო პარტიის“ ლიდერის იაკობ ლაკობას დაკავებაც რუსულ ფულთან დაკავშირებული სკანდალის გამო მოხდა. ლაკობა ცილისწამების ბრალდებით დააკავეს. მან საკუთარი პარტიის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელს სერგეი სტეპანოვის კორუფციასა და აფხაზეთის დახმარებიდან თანხების გაქრობის ფაქტის უგულვებლყოფაში დასდო ბრალი.


ლაკობას დაკავებისთანავე აფხაზეთის ოპოზიციის ლიდერებმა მთავრობის მოქმედებები დაგმეს და მისი გათავისუფლება მოითხოვეს. ხელისუფლება იძულებული გახდა ოპოზიციონერი გაეთავისუფლებინა.

აფხაზი ჟურნალისტების თქმით, ლაკობას შემთხვევა სუსტი აფხაზეთი ოპოზიციისთვის დიდი გამარჯვება იყო. ამ შემთხვევამ აჩვენა, რომ ოპოზიციისა და საზოგადოების ერთიანი წნეხის გამო ხელისუფლება იძულებული გახდა საკუთარი პოზიციის შეეცვალა.

აფხაზეთი ოპოზიციის, რომელსაც შორსმომავალი პოლიტიკური გეგმები აქვს, სავარაუდოდ, მომავალშიც შეეცდება ბალაფშის რუსული პოლიტიკის კრიტიკით ხალხის გულების მონადირებას. შესაძლოა, მომავალ პოლიტიკურ ბრძოლებში ეს ოპოზიციის გამაერთიანებელ ფაქტორად იქცეს. ■

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



ინვესტიციები

ჯონაჰ დონალდს

უძრავი ქონების ამერიკელი დეველოპერი დონალდ ტრამპი საქართველოში ფეშენებელური შენობების პროექტით შემოდის. თბილისში იმედოვნებენ, რომ ტრამპის სახელი ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს, ანალიტიკოსები კი შიშობენ, რომ „დონალდის ეფექტი“ დიდხანს არ გაგრძელდება.

მოლი კორსო

საქართველოში ტრამპის შემოსვლის შესახებ პირველად სექტემბერში გახდა ცნობილი. პირველი ცათამბჯენი შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ ბათუმში უნდა აშენდეს. მას მეორე მშენებლობა მოჰყვება თბილისში. ამ გარეგებს მთავრობა აფასებს, როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მორიგ მიღწევას.

„ძვირფასო დონალდ,“ - სიამაყით მიმართა ტრამპს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 10 მარტს ნიუ-იორკში „ტრამპ ტაუერში“ გამართულ პრესკონფერენციაზე და ამ მომენტს ქვეყნის წარმატების საწინდარი უწოდა. იქვე გახდა ცნობილი ახალი ინვესტიციის შესახებ.

საქართველოში უცხოური ინვესტიციები 2010 წლის პირველ სამ კვარტალში, გასულ წელთან შედარებით,

6.6 პროცენტით შემცირდა და 433 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. თბილისში იმედი აქვთ, რომ ტრამპის სამშენებლო ბიზნესმენის ვარსკვლავური რეპუტაცია, საქართველოში არსებულ სიტუაციას გამოასწორებს.

პასუხი კითხვაზე - ჩადებს თუ არა ტრამპი ფულს პროექტში, რომელიც ქართულმა დეველოპერულმა კომპანიამ „სილქ როუდ ჯგუფმა“ უნდა განახორციელოს, ბუნდოვანია. Trump Organization-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი და ტრამპის მრჩეველი მაიკლ კოენი „ევრაზიანეთთან“ საუბარში აცხადებს, რომ ამჟამად სალიცენზიო მოლაპარაკება მიმდინარეობს, ფინანსურ დეტალებზე კი კოენი არ საუბრობს.

„სილქ როუდ ჯგუფის“ აღმასრულებლები შეთანხმებაზე არ საუბრობენ.

■ საქართველოში უცხოური ინვესტიციები 2010 წლის პირველ სამ კვარტალში, გასულ წელთან შედარებით, 6.6 პროცენტით შემცირდა და 433 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა.

ამერიკული მედია აბობს, რომ ბათუმისა და თბილისის პროექტების ღირებულება 250 მილიონიდან 300 მილიონ დოლარამდეა, თუმცა არც მაიკლ კოენი და არც „სილქ როუდ ჯგუფი“ ამას არ ადასტურებენ.

იანვარში, ტრამპმა მსგავს სამშენებლო პროექტს ხელი მოაწერა მუშაობაში

დონალდ ტრამპის იმპერია



მისი სახელის სხენებისას, პირველ რიგში, ფემინებელური ცათამბჯენები, უძრავი ქონების პროექტები, გოლფის მოედნები, კაზინოები, ბიზნეს-მოლაპარაკებები და დიდი ქონება ასხენდებათ.

მსოფლიოში ცნობილმა ამერიკელმა ბიზნესმენმა სიმდიდრის დაგროვების სპეციალური კურსებიც შექმნა. შაბათობით, ნიუ იორკის სასტუმრო „ჰაიატში“ ახალგაზრდები მის სემინარებზე დასასწრებად დიდიდან დგებიან რიგში, იმ იმედით, რომ ტრამპისგან ისწავლიან ბიზნესის კეთების საიდუმლოს. ახალგაზრდები 2 000 დოლარს იხდიან ორსაათიან ლექციაში - რომელზეც, მოუცლელობის გამო, ტრამპი შეიძლება, არც გამოცხადდეს და სტუდენტებს 15 წუთიანი ვიდეო-ჩართვით მიმართოს.

55 წლის ამერიკელი მაგნატი, მილიარდერი დონალდ ტრამპი სამშენებლო ბიზნესში პენსილვანიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოხვდა. უნივერსიტეტიდან დაბრუნებული ის საოჯახო ბიზნესს შეუერთდა და მამის კომპანიის - Elizabeth Trump & Son მართვაში ჩაერთო, 1971 წელს კი Trump Organization შექმნა.

კარიერის დასაწყისში მან სასტუმროების მშენებლობა და კაზინოების შექმნა დაიწყო, თუმცა წამოწყება წარუმატებელი აღმოჩნდა. პირველ ხანებში საქმიანობამ მას მხოლოდ ვალები, ფინანსური პრობლემები და სკანდალები მოუტანა. მდგომარეობა 90-იან წლებში გამოსწორდა და ტრამპმა ინტენსიური მშენებლობები დაიწყო.

2007 წლის ოქტომბერში ჟურნალმა „ფორბსმა“ ტრამპის ქონება სამ მილიარდ დოლარად შეაფასა. მისი ქონების ჩამონათვალში 30-მდე ცათამბჯენი შედის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის 290 მილიონ დოლარად შეფასებული Trump World Tower „გაეროს“ სათაო ოფისის წინ ნიუ იორკში, 288 მილიონ დოლარად შეფასებული Trump Tower-ის საცხოვრებელი კომპლექსი 725-ე გამზირზე, 1,2 მილიარდ დოლარად შეფასებული Trump International Hotel and Tower ჩიკაგოში.

„ფორბსის“ თანახმად, დეველოპერები ტრამპს მისი სახელის გამოყენებისთვის უხდიან თანხას, ამიტომაც ყველა შენობა, რომელზეც დიდი ასოებით ტრამპი წერია, დონალდ ტრამპს არ ეკუთვნის. ბრენდის ლიცენზირების ბიზნესით, რომელსაც ტრამპის შვილები განაგებენ, ტრამპის იმპერიამ 560 მილიონი დოლარი მიიღო.

ტრამპი ასევე ცნობილია, როგორც სკანდალური ტელესახე. რამდენიმე დღის წინ ინტერვიუში თქვა, რომ მას მოსწონდა სადამ ჰუსეინის ანტიტერორისტული პოლიტიკა: „მოგწონს თუ არა ჰუსეინი, ეს სხვა საკითხია და მე ის არასდროს მომწონდა, ის ცუდი კაცი იყო, მაგრამ მე მომწონდა მისი ანტიტერორისტული პოლიტიკა. ამერიკისგან განსხვავებით, ის კი არ აბატიმრებდა და ასამართლებდა ტერორისტებს, არამედ პირდაპირ კლავდა მათ.“

ამ განცხადებას წინ უძღოდა კიდევ ერთი სატელევიზიო გამოსვლა, თებერვალში ტრამპმა თქვა, რომ შესაძლოა, მან 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი იყაროს.





ტრამპის ტაუერი ჩიკაგოში.

■ პოტენციური ინვესტორები შეიძლება ამ პროექტმა

„შენჯღერიოს“, მაგრამ ეს კაშკაშა სახელი კომპანიებს ისე არ დააბრმავებს, რომ მათ აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის უსაფრთხოების რისკები არ გაითვალისწინონ

მდებარე ინდურ სამშენებლო კომპანია Rohan Lifescapes-თან. გარიგების თანახმად, ტრამპი მხოლოდ თავის სახელს და პროექტის ე.წ. „ნოუ ჰაუს“ ყიდის, მაშინ, როცა პროექტის დაფინანსება მთლიანად დევლოპერ კომპანიას ევალება, უთხრა კომპანიის დირექტორმა კალპეშ მეტამ „ევრაზიანეტს“.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ მხოლოდ სახელს, თუნდაც ისეთ ცნობილს, როგორიც ტრამპია - დიდი არაფერი შეუძლია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. პოტენციური ინვესტორები შეიძლება ამ პროექტმა „შენჯღერიოს“, მაგრამ ეს კაშკაშა სახელი კომპანიებს ისე არ დააბრმავებს, რომ მათ აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის უსაფრთხოების რისკები არ გაითვალისწინონ, ამბობს ალის მამერი, The Economist Intelligence Unit-ის ეკონომიკური ანალიტიკოსი.

„დონალდ ტრამპის მსგავსი მაღალი რანგის უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება, შევიდეს ქართულ ბაზარზე, ნამდვილად დააფიქრებს უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ინვესტირების პოტენციურ სფეროებზე“, - უთხრა „ევრაზიანეტს“ მამერმა იმეილინტერვიუში. „თუმცა, არ მგონია, ამ გარიგებამ ინვესტორების ნდობაზე ისეთი გავლენა მოახდინოს, როგორსაც ბატონი სააკაშვილი და ქართული მთავრობა ელის“.

10 მარტს, როცა ამ გარიგების შესახებ გამოცხადდა, განწყობები ნამდვილად ამაღლებული იყო. ბანერის ფონზე წარწერით - „ტრამპის ინვესტიციები საქართველოში“, ტრამპი ხუმრობდა და პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებდა, ბიზნესმენმა 43 წლის პრეზიდენტი წარადგინა, როგორც „მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ლიდერი“.

„პატარა ქვეყანა ეკონომიკურად და-

ლიან ძლიერია - ეს აჩვენებს, თუ რის გაკეთება შეუძლია კარგ მმართველობას“, - აღნიშნა ტრამპმა.

ამ კომპლიმენტის საპასუხოდ, სააკაშვილმა ტრამპს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა შესთავაზა და მოგებაც უწინასწარმეტყველა. სააკაშვილის ვადა 2013 წელს იწურება.

კვლევითი ორგანიზაცია IPM-ის უძრავი ქონების ანალიტიკოსი კოტე გაბრიჩიძე ამბობს, რომ ტრამპის გარიგება კიდევ ერთი სალიცენზიო გარიგებაა; შერატონის, რედისონის და მარიოტის სასტუმროს კორპორაციებიც ასევე მუშაობენ საქართველოში, - აღნიშნა მან.

გაბრიჩიძის თქმით, ტრამპის სახელი ბათუმსა და თბილისში ინვესტორების შემოსევას არ გამოიწვევს, თუმცა, იქვე აღიშნავს, რომ მის სახელს შეუძლია პოტენციური ინვესტორები პოზიტიურად განაწყოს.

ტრამპის ეს გარიგება MTV-ის მიერ დაფინანსებულ, ბათუმში გასამართ, მუსიკის ფესტივალს ემთხვევა. ფესტივალმა, შესაძლოა, მსოფლიოს ყურადღება მიიპყროს, რასაც მხოლოდ ტრამპის სახელი არ ჰყოფნიდა. პიარის შესაძლებლობის დანახვისთანავე, Trump Organization-ის წარმომადგენელმა მაიკლ კოენმა MTV-ის ფესტივალისთვის ბათუმის შერჩევა მიულოცა და დაამატა, რომ „ტრამპმა პირველად დაინახა ბათუმის განსაკუთრებულობა“.

კოენმაც ტრამპის მსგავსი ოპტიმიზმი გამოავლინა ბათუმთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უცხოური ინვესტიციის მოზიდვის თვალსაზრისით, ბათუმის სამშენებლო პოტენციალი დიდია.

„ფაქტია, რომ სადაც კი ტრამპი მიდის - საქართველო იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა ქვეყანა - მას ბევრი კომპანია მიჰყვება უკან“, - თქვა მან. ■

მონაპოვობა ბუნდოვანი შედეგით

ისევ გადის თუ არა საქართველოზე რუსეთის გზა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციამდე?

ოლესია ვართანინი, „რადიო თავისუფლება“ სპეციალურად „ლიბერალისთვის“

ავვისტოს ომის შემდეგ პირველად, საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლები შუამავლების გარეშე საუბრობდნენ. ისინი პირისპირ იხილავდნენ ორ ქვეყანას შორის არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს - რას ითხოვს საქართველო რუსეთის მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში განწევრიანების მხარდაჭერის სანაცვლოდ?

მიუხედავად იმისა, რომ ამ დიალოგში მონაწილე არც ერთმა მხარემ კომენტარი არ გააკეთა, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საუბარი საკმაოდ მძიმე იყო.

შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ - სერგი კაპანაძემ აღნიშნა, რომ რუსულ მხარესთან საქართველოს წარმომადგენლები ინგლისურად საუბრობდნენ. შეხვედრის ტექნიკური დეტალები შვეიცარიულმა მხარემ მოაგვარა, რომელიც 2008 წელს თბილისსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური კავშირის განწყვეტის შემდეგ ამ ქვეყნებს შორის ერთადერთი ოფიციალური შუამავალია.

შემდეგი შეხვედრა, სავარაუდოდ, ორ თვეში გაიმართება. თუმცა, უკვე დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ რუ-

სეთი არ აპირებს დათმობებზე წასვლას და ქართული მხარის მთავარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თბილისი უკვე რამდენიმე წელია ორი საკონტროლო-გამშვები პუნქტის „გამჭვირვალედ ფუნქციონირებას“ ითხოვს - აფხაზეთში მდინარე ფსოუსთან და სამხრეთ ოსეთში როკის გვირაბთან. რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ამ მოთხოვნის შესრულება უახლოესი მომავლის პერსპექტივა არ არის.

გასული წლის ოქტომბერში ქართველმა ჩინოვნიკებმა საჯაროდ დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ რუსეთის სასარგებლოდ კომპრომისის სანაცვლოდ თანახმა არიან, ამ გამშვებ პუნქტებზე მონიტორინგი ევროპელმა დამკვირვებლებმა განახორციელონ.

მეორე ალტერნატივის სახით თბილისმა მოსკოვს ისეთი მექანიზმის შემუშავება შესთავაზა, რომლის დროსაც ქართველი და რუსი მესაზღვრეები ერთობლივად გააკონტროლებენ საზღვარს ორ სახელმწიფოს შორის.

გასულ კვირას მოსკოვში ყველა ეს წინადადება ფანტასტიკის სფეროს მიაკუთვნეს.



ჯო ბაიდენი რუსეთის პრემიერს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ერთ-ერთ რუსულ ტელეკომპანიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მოსკოვმა ევროპისგან და აშშ-სგან უკვე მიიღო მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში განწევრიანებაზე თანხმობა და თბილისისთვის კოჭის გორებას არ აპირებს.

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად რუსეთს ორგანიზაციის მთავარი დოკუმენტის - მარაჟის შეთანხმების მე-12 მუხლის გამოყენება შეუძლია, რომლის თანახმადაც ახალი წევრის მიღებისთვის ხმების 2/3 საკმარისია.

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში 153 ქვეყანაა. გამოდის, რომ რუსეთი ორგანიზაციის წევრი იმ შემთხვევაშიც გახდება, თუ მის წინააღმდეგ ხმას 50 ქვეყანა მისცემს.

ორგანიზაციის არსებობის 16 წლის მანძილზე ყველა ახალი წევრი სრული კონსენსუსის საფუძველზე მიიღებოდა. კონსენსუსი ამ ორგანიზაციის ფუნდამენტური პრინციპია. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ სწორედ კონსენსუსის მიღწევის აუცილებლობა ხშირად აფერხებს ამ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი გადა-

წყვეტილებების მიღების პროცესს.

რუსი ჩინოვნიკები მუდმივად აცხადებდნენ, რომ ორგანიზაციაში გაწევრიანება ყველა წევრის თანხმობის საფუძველზე სურდათ. „წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს რუსეთის იმიჯს სერიოზულ საფრთხეს მიაყენებს,“ - განუცხადა სამი წლის წინ ჟურნალისტებს მაქსიმ მდვედკოვმა, რომელიც მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში განწევრიანების საკითხში რუსეთის მთავარი მომლაპარაკებელია.

თბილისში აცნობიერებენ, რომ იმ შემთხვევაში თუ რუსეთი ვაჭრობის ორგანიზაციაში კონსენსუსის მიღწევის გარეშე განწევრიანდება, ეს იქნება პირველი საერთაშორისო არენა, სადაც რუსეთის დასავლეთთან დაახლოება საქართველოს ინტერესების გვერდის ავლით მოხდება.

ქართველი ჩინოვნიკები ამ საკითხზე სპეკულირებას ერიდებიან, თუმცა კერძო საუბრებში აღიარებენ, რომ გასულ კვირას დაძაბულობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ამაზე მეტყველებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის პასუხი თავისი რუსი კოლეგის განცხადებაზე. ვაშაძემ ლავროვი ღიად დაადანაშაულა არაფროფესიონალიზმში და აღნიშნა, რომ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციასთან მიმართებაში ლავროვის მიერ გაკეთებული განცხადება თბილისის მიმართ პირობები მუქარა იყო.

გასული კვირის ბოლოს მოსკოვი დაძაბულობის განეიტრალებას შეეცადა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ „რუსეთი არა მხოლოდ მზად არის, არამედ აგრძელებს კიდევ მოლაპარაკებებს. მთელი ეს პროცესი ჯანსაღ სამუშაო პირობებში მიმდინარეობს.“

ამასთან, კარასინს მოსკოვის პირობების შესწავლა არ დაავიწყდა: „საკითხს პროფესიონალურად უნდა მივუდგეთ. თავიდან უნდა ავიცილოთ საკითხის პოლიტიზირება. მოლაპარაკებების თემა მხოლოდ ეკონომიკას უნდა ეხებოდეს“.

ორგანიზაციის არსებობის 16 წლის მანძილზე ყველა ახალი წევრი სრული კონსენსუსის საფუძველზე მიიღებოდა. კონსენსუსი ამ ორგანიზაციის ფუნდამენტური პრინციპია.



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს იგორ შუვალოვს WTO-ს საკითხის განსახილველად შეხვდა. მოსკოვი, 9 მარტი 2011

ფოტო: ალექსანდრე ნაზარუკინი / REUTERS



თავისუფალი ეკონომიკური ზონა

ეკონომიკური სანაჯი, ჩოქიჩი აჩ მოხდა

ნაცვლად იჩისა, რომ გახდეს დუბაი, ფოთი სულ უფრო მეტად იჩირება უმუშევრობისა და მოუგვარებელი ყოფითი პრობლემების ქაოზში.

მანანა ვარდიშვილი



ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. მარტი 2011

ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას (თიზ) პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისი „ცხოვრების მთავარი პროექტი“ და „საქართველოს ახალი ოქროს ხანისა და ახალი ქართული ეკონომიკური სასწაულის დასაწყისი“ უწოდა.

2008 წლის 15 აპრილს, როცა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გახსნის ოფიციალური ცერემონია გაიმართა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მომდევნო 50 თვის განმავლობაში თიზ-ში, სულ მცირე, 200 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდებოდა, 400-ზე მეტი სანარმო შეიქმნებოდა და ათიათასობით ადამიანი დასაქმდებოდა. ფოთი კი ასსართულიანი ცათამბჯენების ქალაქად იქცეოდა, ახალი ინფრასტრუქტურით, თანამედროვე აეროპორტითა და პორტით.

ამ დაპირების შემდეგ თითქმის 36 თვე გავიდა.

დღეს ფოთში ეკონომიკურ სასწაულზე არაფერი მიაღწიეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია და ამ ეტაპზე მხოლოდ ელემენტალური საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითხოვს. ფოთელები ამბობენ, რომ ელექტროენერჯის გათიშვა აქ ჩვეულებრივი ამბავია, წყალი ორ დღეში ერთხელ 2 საათით მიეწოდებათ და გაზი დღემდე არ გაუყვანიათ ქალაქში.

„ჩვენი ცხოვრება მხოლოდ უარესდება. ცათამბჯენებს ვინ ჩივის. მაგალითად, გუშინ მთელი დღე შუქი არ იყო. სამი წლის წინ დიდი იმედები გვქონდა, მაგრამ არაფერი გამართლდა. ახლა აქ ყველანი უიმედოდ ვართ“, - ამბობს 30

ფოთში ინდუსტრიული ზონის მთავარი

მთავარი თემა

ნლის ფოთელი ნინო ლემონჯავა.

ფოთის პორტიდან რამდენიმე კილომეტრში, უზარმაზარი, გაყვითლებული ბალახით დაფარული ტერიტორია მავთულის ღობითაა შემოსაზღვრული. ეს სამხრეთ კავკასიაში პირველი თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა.

თიზ-თან მისასვლელი გზა მოასვალტებული არ არის. მანქანა ფრთხილად მიუყვება ტალახიან მონაკვეთს და თეთრ და ლურჯ ფერებად შეღებილ კაპიტალურ შესასვლელთან ჩერდება. დაცვა ზონის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ გვაძლევს და მხოლოდ გარე პერიმეტრიდან ფოტოების გადაღებას გვთანხმდება.

თუმცა, შიდა ტერიტორიაზე გადასაღები არც არაფერია: თავისუფალი ინდუსტრიული ზონა დღეს 300ჰა ფართობის ტრიალი მინდორია, სადაც რამდენიმე ადმინისტრაციული შენობა დგას. არც იმის ნიშანია სადმე, რომ ტერიტორიაზე, რომელმაც საქართველო "დუბაიდ და სინგაპურად" უნდა აქციოს, უახლოეს მომავალში დიდი სამშენებლო სამუშაოების გაჩაღება

იგეგმება.

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე იმპორტი და ექსპორტი მოგების და დამატებითი ღირებულების გადასახადისგან თავისუფალია. მოქმედებს ყველაზე დაბალი საიჯარო გადასახადი მთელი შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. (6-დან 12 დოლარამდე კვადრატული მეტრი). ნედლეულის შეტანა თავისუფალია მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, არსებობს ელექტროენერჯისა და წყლის ერთი წყაროდან მიწოდების შესაძლებლობა; ელ.ენერჯის მონარაგება ხდება დაბალი ტარიფით (საკუთარი ჰიდრო-ელექტრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე). პირველი ინვესტორები ისარგებლებენ სხვადასხვა დამატებითი და გრძელვადიანი შეღავათებით. მიწის ქირის ფასი 10 წლის განმავლობაში ფიქსირებული იქნება. სხვადასხვა ტიპის ლიცენზიის წლიური ფასი 2500 აშშ დოლარიდან იწყება, რაც ყველაზე დაბალია მთელს ევროპაში. საქართველოს ხელისუფლებაში აცხადებდნენ,

რომ თიზ-ში მოქმედი ლიბერალური წესები მსხვილი ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობდა ხელს. შედეგად, იქ სხვადასხვა, მათ შორის ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები შეიქმნებოდა და დადებითი ექსპერიმენტი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გავრცელდებოდა.

ამ ინიციატივიდან სამ წელზე მეტი გავიდა, თუმცა კომპანიები ფოთის „ეკონომიკურ სასწაულში“ ფულის ჩადებას და თიზ-ის შეღავათებით სარგებლობას არ ჩქარობენ.

ფოთის თიზ-ს დღეს მსხვილი არაბული კომპანიის RAKIA -ს შვილობილი კომპანია „რაკია საქართველო - ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ მართავს.

ხელშეკრულების თანახმად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას ოპერირება 2009 წლის 15 დეკემბერს უნდა დაეწყოს. თუმცა, ამ დროიდან მოყოლებული, თიზ-ის ოფიციალური გახსნის თარიღი 4-ჯერ გადაიდო. მიზეზად „საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხების მოუგვარებლობა“ დასახელდა.

RAKIA – ფოთის პორტის ერთადერთი მფლობელი



Ras Al Khaimah Investment Authority-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებულია, რომ RAKIA-ს საქმიანობის მთავარი მიმართულება თავისუფალი ზონების და პორტების მენეჯმენტია. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში რაკიას საკუთარი თავისუფალი ზონა აქვს. ზონაში, რომელიც 2005 წელს შეიქმნა, 2000 კომპანიაა დარეგისტრირებული. ზონის სავაჭრო ბრუნვამ 2 წლის განმავლობაში 8 მლრდ-ს გადააჭარბა.

2008 წლიდან RAKIA ფოთის საზღვაო ნავსადგურში სხვადასხვა მასშტაბისა და მოცულობის ინვესტიციებს ახორციელებს.

კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“ აცხადებენ, რომ RAKIA-მ არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას 60 მლნ აშშ დოლარი მოახმარა. 25 მლნ დოლარი მოხმარდა ახალი ტერმინალის მშენებლობას, 15 მლნ დოლარი კი მე-14 ნავმისადგომის საკონტეინერო ტერმინალის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოებს. 2 ახალი მცურავი საშუალება „ლანა“ და „პატრიოტი“ ინვესტორს 16 მლნ დოლარი დაუჯდა. კორპორაციაში აცხადებენ, რომ განახლებული ტერმინალი „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ საკონტეინერო გადაზიდვების მოცულობას გააორმაგებს და დამატებით მუშახელს დაასაქმებს.

მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პორტში ტვირთბრუნვამ იკლო. წლიური ტვირთბრუნვის მაქსიმუმი 8 მლნ ტონაა, რაც პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ დაპირებულ 21 მლნ-იან მაჩვენებელს ბევრად ჩამორჩება. მიზეზად გლობალური ფინანსური კრიზისი და შეცდომიანი საავაჭრო ბრუნვა სახელდება.

თუმცა, ტვირთბრუნვის შემცირების მიზეზი ისიცაა, რომ „კასპის სანაოსნოსა“ და აზერბაიჯანის რკინიგზის გაზრდილი ტარიფების გამო შუა აზიისკენ მიმავალი ტვირთების ტრანსპორტირება მნიშვნელოვნად გაძვირდა, რის გამოც გადაამზი-დავმა კომპანიებმა ტვირთები ალტერნატიულ მარშრუტებზე გადაამისამართეს. უმთავრეს პრობლემად დღემდე ის რჩება, რომ ფოთის პორტს დიდი გემების მიღება არ შეუძლია, ამისთვის მას სიღრმე არ ჰყოფნის. ახალი პორტის მოსაწყობად ინვესტორს პორტის ექსტენსიური განვითარების ზონაში არსებული 100 ჰა მიწის ფართობი გადაეცა. ახალი პორტის მშენებლობას 150 მლნ აშშ დოლარი სჭირდება. ინვესტორის მიერ აღებული ვალდებულების თანახმად, ფოთის პორტს პირველი დიდი გემი 2014 წელს უნდა მიეღოს. თუმცა, „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“ აცხადებენ, რომ პორტი პირველი დიდი გემის მისაღებად ამ დროისთვის მზად არ იქნება.



ფოთის პორტი. მარტი 2011

ფოთის პორტი

არაოფიციალური ინფორმაციით კი, თიზ-ის გახსნის თარიღის რამდენჯერმე გადადების მიზეზი სწორედ ზონაში დარეგისტრირების მსურველი კომპანიების სიმცირე იყო.

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი, რის გამოც პოტენციური ინვესტორები ფოთს გაურბიან, მისი მთავარი უპირატესობა - სტრატეგიული მდებარეობაა. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსული ავიაციის პირველი სამიზნე სწორედ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფოთი იყო. ცხადია, რომ სამხედრო კონფლიქტის განახლების შემთხვევაში, პირველ დარტყმას ისევ ეს შავიზღვისპირა ქალაქი, პორტი და მისი მიმდებარე ტერიტორია მიიღებს. ინვესტორი კი, როგორც წესი, მისი ინვესტიციისთვის უსაფრთხო ადგილს ეძებს.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, ინფრასტრუქტურის მოწყობის სიძვირეა - ფოთის დაჭაობებული

ნიადაგი მშენებლობის ხარჯს საკმაოდ აძვირებს. უცხოელი ინვესტორები, როგორც წესი, თავისუფალი ზონით მხოლოდ იმ შემთხვევაში ინტერესდებიან, თუ იქ უკვე არის სათანადო ინფრასტრუქტურა, ანდა მისი შექმნის ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მოწყობილ ინფრასტრუქტურას კი ამ ეტაპზე ინვესტორებს, ვერც თიზ-ის ოპერატორი RAKIA თავაზობს და ვერც სახელმწიფო.

თავისუფალმა ინდუსტრიულმა ზონამ ოფიციალურად ოპერირება 2010 წლის 16 ნოემბრიდან დაიწყო. „რაკია საქართველო - ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ამ დროისთვის თიზ-ში 48 მლნ აშშ დოლარის ჯამური ინვესტიციით 40-მდე კომპანიაა დარეგისტრირებული. მათ შორისაა „არაი თუმოროუ“, სამხრეთ-კორეული „ელჯი“, ქართული „თბილცემენტი“, ასევე სომხური, აზერბაიჯანული, ირანული,

■ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა დღეს 300ჰა ფართობის ტრიალი მინდორია, სადაც რამდენიმე ადმინისტრაციული შენობა დგას. არც იმის ნიშანია სადმე, რომ ტერიტორიაზე, რომელმაც საქართველო „დუბაიდ და სინგაპურად“ უნდა აქციოს, უახლოეს მომავალში დიდი სამშენებლო სამუშაოების გაჩაღება იგეგმება.

თურქული და ინდური კომპანიები. თავად „რაკია საქართველო - ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას“ 2007 წლიდან დღემდე თიზ-ის პროექტში 30 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია აქვს ჩადებული. ზონის ტერიტორიაზე 200 ადამიანი დასაქმებული.

თუმცა, ეს ინვესტიციები ბევრად მცირეა RAKIA -ს თავდაპირველ გეგმებთან შედარებით. ეს კომპანია ფოთის თიზ-ში 200 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებდა. ინვესტორის პროგნოზით, თიზ-ი 1 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციას მოიზიდავდა და უახლოეს მომავალში 16 000 ადამიანს დასაქმებდა.

მიუხედავად იმისა, რომ „რაკია საქართველო - ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ -ში აცხადებენ, მათი ბიზნესი ფოთში კარგად მიდის და წლის ბოლომდე ზონაში დარეგისტრირებული კომპანიების რიცხვის გაორმაგებას ელიან, რამდენიმე თვეა ვრცელდება ინფორმაცია, რომ რეალურად RAKIA- მ ფოთის თიზ-ისა და პორტის მიმართ ინტერესი დაკარგა და ფოთის პორტის აქციებს ყიდის.

RAKIA- ს საინვესტიციო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ხა-

ტერ მასაადმა დუბაიში გამომავალ ინგლისურენოვან გაზეთ Gulf News-თან საუბარში განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ფონდის მთავარი მიზანი ფოთის პორტის გაყიდვაა და 2011 წელს RAKIA საფონდო ბირჟაზე პორტის აქციების გამოტანას აპირებს: „ფოთის პორტი არ არის ჩვენთვის სტრატეგიული აქტივი, თუ ჩვენ შეგვიძლია ფული ვიშოვოთ რალაციის გაყიდვით, რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს?“ - აღნიშნულია ინტერვიუში.

RAKIA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა და ფოთის საზღვაო ნავსადგურის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ეს განცხადება 2010 წლის 20 ივლისს გააკეთა. ორიოდე თვით ადრე კი, 2010 წლის 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმზე დოქტორი ხატერ მასაადი საქართველოში მნიშვნელოვანი ინვესტიციის სწორად ორგანიზებისა და წარმატებული ბიზნეს საქმიანობისთვის „ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით“ დააჯილდოვა.

რას ალ ხაიმას საემიროს საინვესტიციო ფონდი Ras Al Khaimah Investment Authority (RAKIA) საქართველოში 2007



თავისუფალი ეკონომიკური ზონები

თეზ-ის ძირითადი მიზანი საინვესტიციო კლიმატის ლიბერალიზაცია, უცხოური კაპიტალის მოზიდვა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაა. თეზ-ში საბაზრო ეკონომიკის კანონები მოქმედებს და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ზონას ხელმძღვანელობს ადმინისტრაცია, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს ყველა საკითხს, გარდა პოლიტიკურისა. უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით თეზ-ში შეღავათიანი საბაჟო, საგადასახადო და საკრედიტო-სავალუტო რეჟიმი მოქმედებს. ნებადართულია იმ სახის საბანკო და სადაზღვევო ოპერაციებიც კი, რომლებიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე აკრძალულია.

“დუბაის სასწაული“



თავისუფალი ინდუსტრიულ-ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითად დუბაის თიზ-ი - „ჯებელ ალი“, ე.წ. „დუბაის სასწაული“ ითვლება. „ჯებელ ალის“ ზონა, რომელიც 25 წლის წინ დაარსდა, მსოფლიოს უმსხვილეს ხელოვნურ ნავსადგურში, სპარსეთის ყურის რეგიონში

მდებარეობს. ზონაში საქმიანი აქტივობის მთელი სპექტრი წარმოდგენილი, წარმოებისა და მომსახურების ჩათვლით. „ჯებელ ალიში“ 58 ქვეყნის 700-მდე კომპანია მოქმედებს 1,1 მლრდ დოლარის ინვესტიციების საერთო მოცულობით. როგორც ამბობენ, ამ ზონამ დუბაის ეკონომიკის განვითარებას სერიოზული ბიძგი მისცა და ხელი შეუწყო მის მნიშვნელოვან სავაჭრო, საფინანსო, სატრანსპორტო და ტურისტულ ცენტრად ჩამოყალიბებას. „ჯებელ ალი“ არამარტო დუბაის, არამედ სხვა ქვეყნების ანალოგიურ თავისუფალ ზონებსაც მართავს და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს კონსულტაციებს უწევს. „ჯებელ ალი“ მუშაობს ჯიბუტიში, ჩინეთში, მალაიზიაში, მაროკოში, ინდოეთში, რუმინეთში, ვიეტნამში, თურქეთში, დიდ ბრიტანეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში.



ფოტო: ილიკო ბაჩუაძე/საქმედი

■ საგადასახადო შეღავათები უცხოური კაპიტალის მოზიდვის ერთადერთი გარანტი არ არის. თეზ-ის შექმნას წინ სერიოზული ეკონომიკური ანალიზი და ინტენსიური მოსამზადებელი პერიოდი უძღვის. გასათვალისწინებელია როგორც იმ ქვეყნის პოტენციალი, სადაც თეზ-ი უნდა განთავსდეს, ისე მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა.

წელს გამოჩნდა. ტენდერში, რომელიც ფოთის საზღვაო ნავსადგურის იჯარით აღებასა და ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის თაობაზე 2007 წლის აგვისტოში გამოცხადდა, სწორედ ამ ფონდმა გაიმარჯვა.

RAKIA-მ 2008 წლის აპრილში საქართველოს მთავრობასთან 99-წლიანი კონცესია გააფორმა და ფოთის პორტის 51% და ნავსადგურის ექსტენსიური განვითარების ზონაში არსებული

შენობა-ნაგებობები, მათზე დამაგრებული 300 ჰა მიწის ნაკვეთით 90 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა. იმავე წელს, RAKIA-მ სახელმწიფოსგან 65 მილიონ აშშ დოლარად ფოთის პორტის დარჩენილი 49%-ის აქციებიც შეიძინა და პორტის ერთადერთი მფლობელი გახდა.

კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“ ფოთის პორტის აქციების გასხვისების შესახებ ინფორმაციას ადასტურებენ. პორტის აქციების 80

პროცენტს საერთაშორისო კომპანია APM თერმინალს ყიდულობს. APM Terminals-სთან შეთანხმება უკვე მიღწეულია, თუმცა ხელშეკრულება გაფორმებული ჯერ არის და არც გარიგების საგარაუდო მოცულობა სახელდება. APM Terminals-სთვის ფოთი მის მმართველობაში არსებული 54-ე პორტი იქნება.

ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობის მიზანშეწონილობის შესახებ დისკუსია, რომელიც რამდენიმე წლის წინ მიმდინარეობდა, კვლავ აქტუალური ხდება.

ექსპერტთა ნაწილი ამ იდეას იმთავითვე სკეპტიკურად უყურებდა. მათი აზრით, საქართველოსნაირი პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას სჯობდა გარკვეული შეღავათები მთელი ქვეყნის მასშტაბით დანესებულიყო.

მსოფლიოში 3000-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონა არსებობს. თუმცა, ამ ზონებს შორის რეალურად მხოლოდ 20 პროცენტია წარმატებული.

საგადასახადო შეღავათები უცხოური კაპიტალის მოზიდვის ერთადერთი გარანტი არ არის. ნებისმიერი თეზ-ის შექმნას წინ სერიოზული ეკონომიკური ანალიზი და ინტენსიური მოსამზადებელი პერიოდი უძღვის. გასათვალისწინებელია როგორც იმ ქვეყნის პოტენციალი, სადაც თეზ-ი უნდა განთავსდეს, ისე მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა.

გარდა ამისა, თეზ-ის მოწყობა ინფრასტრუქტურაში სერიოზულ ინვესტიციებს, სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და ადმინისტრაციული პროცესების სიმარტივესაც მოითხოვს. და რაც მთავარია - მსოფლიო გამოცდილებამ უკვე დაამტკიცა, რომ ინვესტიციის მოზიდვის მთავარი სტიმული პოლიტიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარანტიის არსებობაა. თუ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ყველა ამ პირობას არ დააკმაყოფილებს, „ეკონომიკური სასწაულის“ მოხდენას დასავლეთ საქართველოს ამ ქალაქში უკვე აღარავინ ელის. **■**

„მწვანე“ საქართველო

„დედამინის საათის“ მოახლოებასთან ერთად, როცა საქართველო, მსოფლიოს სხვა 148 ქვეყნის მსგავსად, სინათლეს ერთი საათის განმავლობაში ჩააქრობს, ისმის კითხვა: მზად არის კი საქართველო „გამწვანებისათვის“?

მონიკა ალენა

საქართველო ბუნებრივი რესურსებით უზღავდ არის დაჯილდოებული, მაგრამ გარემოზე მზრუნველ ქვეყანას მას მაინც ვერ ვუნოდებთ. არადა, ყველაფერი კარგად დაიწყო - გარემოს საკითხებზე განათლების შესახებ პირველი მთავრობათმორისი კონფერენცია 1977 წელს სწორედ თბილისში გაიმართა. მაშინ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში 66 ქვეყნის დელეგატმა და 20 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მოიყარა თავი. დაიწერა ე.წ. თბილისის დეკლარაცია, რომელშიც ითქვა, რომ გარემოზე ეფექტური ზრუნვისთვის ხალხის ცნობიერების ამაღლება იყო საჭირო.

საქართველოს მიღწევები გარემოსდაცვით სფეროში მის წარმატებებს ეკონომიკური რეფორმის ზოგ ნაწილში ვერ შეედრება. ქვეყანა, რომელსაც მსოფლიო ბანკი ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით, 183-დან მე-11 ადგილზე აწინაილებს, ეკოლოგიის დაცვაში ძალისხმევას თითქმის არ დებს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის თანახმად, 2009 წელს საქართველო 133 ქვეყანას შორის გარემოს მდგრადობის მიხედვით 56-ე ადგილზე იყო. ინდიკატორების უმრავლესობაში კი მისი შეფასება საშუალოზე დაბალი გახლდათ: გარემოსდაცვითი რეგულაციების სიმკაცრე - 70-ე ადგილი, გარემოსდაცვითი რეგულაციების შესრულება - 66-ე ადგილი, გადაშენების პირას მყოფი სახეობები - 77-ე ადგილი. რატომ ხდება ასე?

„ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მცდარი მოსაზრებაა, რომ გარემოს დასაცავად ფულის დახარჯვა აუცილებე-

ლი“, - ამბობს ზაალ ლომთაძე, გარემოსდაცვის სამინისტროს მრჩეველი. „მთავრობა და მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ხედავს, რომ ბუნების დაცვა შესაძლებელია ერთი თეთრის დახარჯვის გარეშეც და, პირიქით, ამით შემოსავლის მიღებაც კი შეიძლება. მაგრამ ინვესტიციების მოზიდვის ხედვა არ არსებობს“.

ლომთაძის აზრით, საჭიროა, ყოველისმომცველი სტრატეგიის შემუშავება. „გეჭირდება მკაცრი კანონმდებლობა, რომელიც ძირითად პოსტულატებს განსაზღვრავს, როგორცაა დაბინძურების მაქსიმალური დონე. შემდეგ მოდის დარღვევების ეფექტური გამოვლენა და სამართლიანი აღსრულება, რაშიც მოსამართლეების მიერ ჯარიმების გამოწერა იგულისხმება. აუცილებელია, ძლიერი პოლიტიკური ნება: დიდი ქარხნების წინააღმდეგ წასვლა გამბედაობას მოითხოვს“.

შარშან, ნოემბერში მთავრობამ გამოაცხადა, რომ 4000 ელექტრონული და ჰიბრიდული ავტომობილის შექმნას აპირებდა, რითაც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში პირველი „ეკოლოგიურად სუფთა“ მთავრობის შექმნას დაიწყებდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას თქმით, მომავალი 3-4 წლის განმავლობაში სახელმწიფო ახალ ავტომობილებში 200 მილიონ აშშ დოლარს გადაიხდის, ხოლო დღეს არსებული ავტოპარკიდან მანქანების უმრავლესობას აუქციონზე გაყიდის.

„მთავრობისგან შერეული სიგნალები მოდის“, - აცხადებს კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის პროექტის კოორდინატორი რეზო გეთიაშვილი. „ერთი მხრივ,



ის გარემოს დაცვის შესახებ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს. მეორე მხრივ კი, ისეთ ღონისძიებებს ახორციელებს, როგორცაა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაცია.“

22 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი

რესურსების სამინისტროს რეორგანიზაცია დაამტკიცა: სამინისტროს ბუნებრივი რესურსების კონტროლის ფუნქცია გამოეყო, რომელიც ენერგეტიკის სამინისტროს გადაეცა. პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ უფლებამოსილებაშეკვეცილი სამინისტრო მხოლოდ „კონსერვაციასა და ეკოლოგიასთან დაკავშირებულ“ საკითხებზე იმუშავებს. გარემოს დამცველი ჯგუფები კი ამ რეორგანიზაციას ქვეყნის ახლომჭვრეტელობას უწოდებენ.



„საქართველო მდიდარია რესურსების მრავალფეროვნებით, მაგრამ არა მათი რაოდენობით. რესურსების არაგონივრულმა გამოყენებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მოიტანოს, რომელსაც ამ რესურსებიდან მიღებული შემოსავალი ვერ გადაფარავს“, - ამბობს გეთიამვილი. ერთ-ერთი მაგალითი რესურსების

არაგონივრულად გამოყენების შედეგად ბუნებრივი კატაკლიზმების მატებაა: კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის შეფასებით, წყალდიდობებისა და მეწყერების შედეგების აღკვეთა საქართველოს ეკონომიკას ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარი უჯდება.

სამინისტროს რეორგანიზაციამ „მწვანეთა პარტიის“ აღშფოთება გამოიწვია. „ეს ვანდალიზმია“, - ამბობს პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე. „ეს მთელ რიგ კანონებს, სამართლებრივ აქტებს და საერთაშორისო ხელშეკრულებებს ეწინააღმდეგება“.

გარემოს დაცვის საკითხებმა ბოლო დროს საჯარო განხილვის საგანიც გახდა. „ვშიშობ, ეს მხოლოდ იმიტომ არის მოდამი, რომ ამის აუცილებლობაზე ევროკავშირი საუბრობს“, - ამბობს გარემოსდაცვითი ქსელის დირექტორი, ნანა ჯანაშია. „თითქმის ყველა სამთავრობო პროექტს საერთაშორისო საზოგადოება აფინანსებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს საკითხი მთავრობის დღის წესრიგში არ არის“. ექსპერტები თანხმდებიან, რომ მცდარია გავრცელებული მოსაზრება, თითქოს, ეკონომიკური განვითარება გარემოს დაცვის ალტერნატიულ ღირებულებას წარმოადგენდეს. მსოფლიო ბანკის 2009 წლის ანგარიშის თანახმად, ქართული ოჯახებისთვის გარემოზე ზრუნვა მნიშვნელოვან ბოლო ადგილზე იყო, თვით გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი კი ჯერ კიდევ თანამდებობაზე ყოფნისას აცხადებდა, რომ გარემოს დაცვაზე ფიქრს ქვეყანა მას შემდეგ დაიწყებს, რაც ეკონომიკა სტაბილური გახდება.

„არის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაშიც სახელმწიფოს ფული არც კი დაეხარჯებოდა“, — ამბობს ლომთაძე. „მაგალითად, ორმაგი მიწების დატანება მშენებარე სახლებში, რაც გათბობის ხარჯებს მილიონობით შეამცირებდა, ან იმპორტის ბაჟის შემცირება იმ მანქანებისთვის, რომლებიც გარემოზე ნაკლებად მავნე ზეგავლენას ახდენენ“.

დიდი პოტენციალი აქვს ნარჩენების გადამუშავების ბიზნესსაც, თუმცა, დღეს „ეს მომგებიანი ბიზნესი არ არის,

და არც მისი ამოქმედების პოლიტიკური ნება არსებობს. ბანკები კი სესხის გაცემისგან თავს იკავებენ“, - ამბობს გეთიამვილი. არადა, ამ საქმის პოტენციალი ზედაპირზე ჩანს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - ნაგვის შოვნა საქართველოში უპრობლემოდ შეიძლება: ყოველწლიურად ერთ სულ მოსახლეზე ნაგვის მოცულობა თბილისში 0.6-0.7 კილოგრამს აღწევს, რეგიონებში კი მაჩვენებელი, დაახლოებით, 0.4-0.5 კგ-ია.

თბილისში ნარჩენების გადამუშავების ექვსი და პლასტმასის ერთი ქარხანა მოქმედებს. სტატისტიკა კი გამოუყენებელ პოტენციალზე მიუთითებს: რუსთავეში მდებარე პლასტმასის გადამამუშავებელი კავკასიური ქარხნის აღმასრულებელი დირექტორის, ენრიკო მოსულიშვილის თანახმად, საქართველო ყოველწლიურად 200 000 ტონამდე პოლიეთილენის ტერეფთალატს მოიხმარს.

„წელიწადში მხოლოდ 200 ტონის გადამუშავება შეგვიძლია. პრობლემა ხელმისაწვდომობაშია: რამდენიმე ნაგავსაყრელს ვთხოვეთ, ჩვენთვის პოლიეთილენი მოეყიდა. მზად ვიყავით, დამატებითი თანამშრომლების ხელფასები გადაგვხადა, კონტეინერები მიგვეწოდებინა და მასალის შესაგროვებლად ჩვენი საკუთარი ტვირთშიდი ავტომობილები გამოგვეყენებინა. მათ უარი გვითხრეს“.

ამ ქარხნისთვის გადამუშავება მეორადი ღონისძიებაა. „ჩვენ გვყავს კლიენტები, მაგალითად - ბი-პი, რომელიც გადასამუშავებლად მასალას უსასყიდლოდ გვაძლევს. შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე, გადამუშავება მომგებიანი ბიზნესი ვერ იქნება, როგორც ეს ევროპაში“, - ამბობს მოსულიშვილი.

შაბათს, 26 მარტს, 20 საათსა და 30 წუთზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით სინათლე ჩაქრება. უკვე მეოთხე წელია, ასე აღნიშნავენ სახელმწიფოები დედამიწის საათს. ამ ქვეყნებს შორისაა საქართველოც.

საინტერესოა, შაბათ საღამოს, 9-ის ნახევრიდან 10-ის ნახევრამდე, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ სოლიდარობის ნიშნად საქართველოში რამდენ სახლში ჩააქრობენ სინათლეს.

ოჯახი

ოჯახური ვენდუტა

რატომ და როდის ითხოვენ ალიმენტს საქართველოში?


ნინო ნატროშვილი

„ბავშვს თვალთ ვერ ნახავს, სანამ ალიმენტს არ გადაიხდის“, - 24 წლის ნათია ამაშუკელი ამ ფრაზას თითქმის ერთი წლის მანძილზე იმეორებდა. სწორედ ამდენ ხანს არ ენახა მის 4 წლის ნუციკოს მამა, რომელიც კვირაში რამდენჯერმე მოდიოდა, შვილისთვის თვალი შორიდან მაინც რომ მოეკრა. მამა ალიმენტს არ იხდიდა. თავს იმით იმართლებდა, ბავშვს არ მაჩვენებენო.

ალიმენტისთვის მშობლების დავის გამო საქართველოში ათასობით ბავშვი არასრულფასოვან გარემოში ცხოვრობს.

ნათია ამაშუკელის შემთხვევა საქართველოში ყველაზე ტიპური და გავრცელებულია: მოვალეები ალიმენტის გადაუხდელობის მიზეზად ყველაზე ხშირად იმას ასახელებენ, რომ მათ ბავშვის ნახვის საშუალება არ ეძლევათ, დედები კი შვილებს იმისთვის იყენებენ, რომ მამებს ბავშვების ნახვის სანაცვლოდ ალიმენტის გადახდა აიძულონ.

ალიმენტი იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს დაუყოვნებლად აღსასრულებელ საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება. ბიუროს, შესაბამისი განაცხადით, თვეში 100-მდე მშობელი მიმართავს. ალიმენტის ოდენობას მშობლის ხელფასის, სხვა შემოსავლისა და უძრავ-მოძრავი ქონების მოკვლევის შემდეგ სასამართლო ადგენს. ის საერთო შემოსავლის დაახლოებით 25%-ს შეადგენს. ყველაზე მცირე ოდენობა, რაც მოვალისთვის სასამართლოს დაუკისრებია, თვეში 1,5 ლარია, მაქსიმალური კი - 1000 დოლარი. თუ სასამართლომ დაადგინა, რომ მოვალეს არ აქვს საარსებო წყარო, მაშინ ალიმენტის დანიშნვა შეუძლებელი ხდება. ალიმენტს ბავშვის მეურვე მშობელი (საქართველო-



ილუსტრაცია: ნინო ბერიძე

ში - უმეტესად, დედა) ითხოვს.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, უწყებას ამ განაცხადით მიმართავენ ის ხანშიშესული მშობლებიც, რომლებიც მარტოხელები არიან. ამბობენ, რომ შვილები მათ ყურადღებას არ აქცევენ და მათგან ალიმენტის დანიშნვას მოითხოვენ. საპასუხოდ, ეს შვილები, როგორც წესი, ამბობენ, რომ მშობლებს მათ აღზრდაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ და შვილები ასაკში შესვლის შემდეგ გაახსენდათ. ასეთი საქმე - როცა ალიმენტს შვილებისგან მშობლები ითხოვენ - აღსრულების ბიუროში სულ ათია. ერთ-ერთი მათგანი 70 წლის მელანია. მას 3 ზრდასრული შვილი ჰყავს - 2 მამაკაცი და ერთი ქალბატონი, რომელიც გათხოვილია. მელანია 55 წელს მიღწეულ 2 შვილთან ერთად ცხოვრობს. სასამართლომ თვეში 10 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდა ორივე მათგანს დააკისრა. თუმცა შვილები ალიმენტს არ იხდიან და ოჯახში მუდმივად კონფლიქტია. იძულების ბერკეტი კი არც აღსრულების ბიუროს აქვს.

დაახლოებით 10-მდეა ისეთი საქმეც, რომელთა მიხედვით ალიმენტი დედებს დაეკისრათ, რადგან შვილები მამასთან არიან, დედა კი მათ აღზრდაში მონაწილეობას არ იღებს. მარიკა და ვაჟა გაშორებულები არიან. მარიკა თბილისში ცხოვრობს, ვაჟა - კახეთის ერთ-ერთ სოფელში. როდესაც განქორწინდნენ, 2 შვილი დედამ წაიყვანა და ალიმენტის გადახდა ვაჟას დააკისრა. მოგვიანებით ბავშვები მამასთან წავიდნენ და დარჩნენ. ვაჟამ კი ალიმენტის გადახდა მარიკას მოსთხოვა. პირველი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ყოფილ მეუღლეებს არ მოუთხოვიათ, ამჟამად ალიმენტი ორივეს დაკისრებული აქვს, ამიტომ მარტივი გამოსავალი ნახეს: არცერთი არ იხდის, ერთმანეთს „უქვითავენ“.

თბილისის სააღსრულებლო ბიუროს თანამშრომელი გელა გელაშვილი, რომელიც საოჯახო დავებთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავს, ამბობს, რომ არის შემთხვევები, როდესაც დედის ერთადერთი საარსებო წყარო სწორედ ალიმენტია. თუმცა ხდება ისეც, რომ ქალბატონს განაცხადის შეტანისას მხოლოდ სამაგიერ-

როს გადახდის სურვილი ამოძრავებს. მიზნის მისაღწევად კი ხშირად შვილს მამას ან ბებია-ბაბუას არ აჩვენებს.

კანონის მიხედვით, ალიმენტი და ბავშვის ნახვა ერთმანეთს აბსოლუტურად არ უკავშირდება. მიუხედავად იმისა, იხდის თუ არა მამა ალიმენტს, დედა ვალდებულია, მას შვილი აჩვენოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის

2010 წლის მონაცემებით,

აღსრულების ეროვნულ

ბიუროში ალიმენტის

საკითხებზე 3354 საქმეა

რეგისტრირებული. აქედან

მოვალეების დაახლოებით

30% დასაქმებულია და

მათგან თანხის ამოღება

აღმასრულებლის მიერ

მოვალის სურვილის

მიუხედავად, ყოველთვიურად

ხდება.

სასჯელი დამუქროს. გელა გელაშვილი ამბობს, რომ ხშირად დედები სხვა ხერხსაც მიმართავენ: ამბობენ, რომ თავად არანაირი პრეტენზია არ აქვთ, ამ დროს კი შვილებს მამის მიმართ უარყოფითად განწყობენ, აშინებენ და სცემენ კიდევ იმ მიზნით, რომ ბავშვმა თავად თქვას უარი მამასთან, ან მამის ნათესავებთან შეხვედრაზე.

2010 წლის მონაცემებით, აღსრულების ეროვნულ ბიუროში ალიმენტის საკითხებზე 3354 საქმეა რეგისტრირებული. აქედან მოვალეების დაახლოებით 30% დასაქმებულია და მათგან თანხის ამოღება აღმასრულებლის მიერ მოვალის სურვილის მიუხედავად, ყოველთვიურად ხდება. დაკისრებულ თანხას ნებაყოფლობით მოვალეების 35% იხდის, ხოლო დარჩენილი 35% არ მუშაობს, არ ფლობს არანაირ ქონებას და უფრო მეტიც: სიღარიბის

ზღვარს მიღმა იმყოფება. შესაბამისად, მათგან ყოველთვიურად თანხის ამოღება ვერ ხერხდება. თბილისში ბიუროს წარმოებაში 1229 ალიმენტის საქმეა, აქედან 361 ალიმენტს რეგულარულად იხდის, 152 - პერიოდულად, 716 კი ურჩი გადამხდელია. რეგონებშიც ნებაყოფლობით გადამხდელებს, ძირითადად, ურჩები აჭარბებენ.

მოვალე მამების ნაწილი ალიმენტის თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ იმასაც ამბობს, რომ ბავშვი მათი შვილი არ არის.

„მამები ალიმენტში ანგარიშსწორების იარაღს ხედავენ და პირველ რიგში, მათთან გვიწვევს მუშაობა, რათა ავუსხსნათ, რატომ ვახდევინებთ ალიმენტს და სად მიდის ეს ფული“, - აცხადებს გელა გელაშვილი.


აღსრულების ეროვნულ ბიუროში განმარტავენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც მამები ფინანსების უქონლობას იმიზეზებენ, ალიმენტს არ იხდიან, თუმცა სხვა ოჯახებს ინახავენ. თუ მოვალე ალიმენტის გადახდას მიზანმიმართულად არიდებს თავს, მის მიმართ მასალები პოლიციას გადაეცემა. ამგვარი საქმეების რიცხვი დაახლოებით 20%-ია. თუმცა სადამსჯელო ღონისძიებები ურჩი გადამხდელებისთვის ჯვარიძას ან გამოსასწორებელ სამუშაოებს ითვალისწინებს.

ხშირად ალიმენტისთვის დავა მშობლებს შორის ურთიერთობის გარკვევის გზაც არის. აღსრულების ეროვნულ ბიუროში ისეთი შემთხვევებიც ახსოვთ, როცა თვეების განმავლობაში ალიმენტის მოთხოვნის საბაბით ერთ-ერთი მშობელი ყოფილ მეუღლეზე ინფორმაციას იღებს.

„ზოგჯერ აღმასრულებლებს ეკითხებიან, რა ხდება ყოფილი ქმრის ოჯახში, დაქორწინდა თუ არა ის მეორედ, ვისზე დაქორწინდა, რას ამბობს მასზე და ახსოვს თუ არა ყოფილი ცოლი. ზოგს შერიგებაც უნდა“, - ამბობს გელაშვილი. ერთ-ერთი ბოლო საქმე, რომელზეც ის მუშაობდა, იმით დასრულდა, რომ დედამ, რომელიც ალიმენტის გამო ყოფილ მეუღლეს წელიწადნახევარი ედავებოდა, ამ დავის პერიოდში ქმართან ურთიერთობა აღადგინა და ალიმენტის მოთხოვნის გასაუქმებლად აღსრულების სააგენტოში ფენძიმე მივიდა. **■**

სტუდენტური პროტესტი

„თვითნებობა“ ახალაღიარებული



სამხატვრო აკადემიის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ აკადემიაში გატარებულ 3.5 წელზე უფრო ნაყოფიერი თავისუფალ, შემოქმედებით სივრცეში მუშაობაა.

ნათია გულიაშვილი



სამხატვრო აკადემიის ეზოში

სამხატვრო აკადემიის მთავარ შენობაში, საგამოფენო დარბაზის მოპირდაპირე მხარეს, სკულპტურებით და მარმარილოს საფეხურებიანი კიბეებიდან მარჯვნივ რომ გადაუხვევთ, ერთ გაურემონტებელ ოთახში მოხვდებით. უკვე კვირაზე მეტია, ეს გამოუსადეგარი სივრცე აკადემიის მეოთხე კურსის „განდეგილ“ სტუდენტთა შტაბის ფუნქციას ასრულებს.

სწავლის დამთავრებამდე 4 თვით ადრე, 8 სტუდენტმა უარი თქვა, სადილომო ნამუშევარი აკადემიის პროფესორების მეთვალყურეობით შეექმნა და ამ ძველ ოთახში თავისუფალი სახელოსნო დააარსა.

„ცხად ქვემარტებად მივიჩნევთ, რომ თავისი არსით სამხატვრო აკადემია და უნივერსიტეტი ზოგადად - ის სივრცეა, სადაც გამოცდილი და ახალგაზრდა თაობა, პედაგოგი და სტუდენტი შემოქმედებითი თანამშრომლობის პროცესში ერთად ისწრაფვიან თვითრეალიზაციისაკენ. და თუ ეს განსაზღვრება სწორია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დღეს, უბრალოდ, არ არსებობს. იგი მხოლოდ სახელია, რომლის უკან შემეცნებისა და შემოქმედების სიხარულის ნაცვლად — მოსაწყენი და დამორგუნველი ბიუროკრატიულობისა და ცინიკური რეჟიმის ატმოსფეროა

გამეფებული“, — წერია სტუდენტთა საპროტესტო დეკლარაციაში, რომელსაც სულ რვა ახალგაზრდის ხელმოწერა აქვს დართული.

16 მარტს, სტუდენტები სახელოსნოს შექმნის მიზნებსა და მიზნებზე უამბობდნენ შტაბად გადაკეთებულ ოთახში შეკრებილ 30-იოდე სტუდენტს. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პროტესტანტ სტუდენტთა ჯგუფს ერთ წელზე მეტია, გულშემატკივრობს.

2009 წელს, სასწავლო წლის დასაწყისში, ვიზუალური ხელოვნების სახელოსნო-ადგილი, სადაც ისინი მხატვარ გიორგი კველიშვილის ხელმძღვანელობით თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობებს ეცნობოდნენ, დაიხურა. ლექტორს კი აკადემიამ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა. მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნოში მიღებულ ცოდნას აკადემია მათ ოფიციალური კრედიტებით არ უფასებდა, ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც თანამედროვე ხელოვნებასა და რეალობის ინტერპრეტირების ახალ მხატვრულ ხერხებს სწავლობდნენ.

სახელოსნოს აღდგენის მოთხოვნით საპროტესტო კამპანია სახელწოდებით „აკადემია სამოქალაქო საზოგადოებისთვის“ ნოემბრიდან დაიწყო. ჩაატარეს გამოკითხვაც. კითხვას - გეხმარება თუ

■ 2009 წელს, სასწავლო წლის დასაწყისში, ვიზუალური

ხელოვნების სახელოსნო-ადგილი, სადაც ისინი მხატვარ გიორგი კველიშვილის ხელმძღვანელობით თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობებს ეცნობოდნენ, დაიხურა.

ფოტო: ლევან ჩიკაშვილი

არა აკადემია შემოქმედებით განვითარებაში - სტუდენტთა 43 პროცენტმა უარყოფითად უპასუხა. პედაგოგის დაბრუნების სურვილით დაწყებული პროტესტი აკადემიის საგანმანათლებლო სისტემის ძირეული შეცვლის მოთხოვნაში გადაიზარდა. კურიკულუმში თანამედროვე ხელოვნების დისციპლინების შემოტანა მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდა.

„რენესანსის მხატვრების ტექნიკა უნდა იცოდე, მაგრამ არ შეიძლება, დღეს მოგთხოვონ მათი ფერწერის ზუსტი ასლის შექმნა. ჩვენ უნდა გვასწავლონ ახალი ხერხები და გზები, მაგრამ იმ განათლებით, რომელსაც აკადემიაში გვაძლევენ, საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ცხვირსაც ვერ შეყოფ“, - ამბობდა შარშან „ლიბერალთან“ ინტერვიუში მესამეკურსელი გიორგი ყარალაშვილი.

ახლა, დამამთავრებელ კურსზე გადასული პროტესტანტი სტუდენტები

სხვა პრობლემებზეც საუბრობენ:

„წლის ბოლოს, სადიპლომო ნამუშევრების შეფასებისას, ლექტორები არ ასაბუთებენ, რატომ წერენ ამა თუ იმ ქულას, ამ ნამუშევრებზე არც რეცენზიებს წერენ და არც სტუდენტებს ხედებიან“, — ამბობს მეოთხეკურსელი ვეფხია მანია.

ამიტომ ახლა ისინი თავად ქმნიან ალტერნატიულ შემოქმედებით სივრცეს და იდეური ვაკუუმის შევსებას დარჩენილი მცირე დროის მანძილზე, მონვეული, მოხალისე მხატვრებისა და არტისტების დახმარებით აპირებენ. მათვე მიანდობენ საბოლოო ნამუშევრების შეფასებასაც.

სახელოსნოს წესდების მიხედვით, წევრებს შორის არ იარსებებს სტუდენტისა და ლექტორის სტატუსები, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება, წევრის ან სტუმრის სტატუსით ჩაერთოს პროცესში და სადიპლომო გამოფენაშიც კი მიიღოს მონაწილეობა.

მართალია, დეკლარაციას სულ 8 სტუდენტი აწერს ხელს, მაგრამ სახელოსნოში სწავლის სურვილი 30-იოდე სხვა სტუდენტმაც გამოთქვა. მათთვის ურბანული არქიტექტურის შესახებ ლექციების ჩატარებას აპირებს ურბანისტი ლევან ასაბაშვილი, ფისოლოფოსი ლელა გაფრინდაშვილი კი მათ ფემინისტური არტის შესახებ ესაუბრება. ლექციების ჩატარება სურს აკადემიის უფროსი თაობის მხატვარსა და პედაგოგს, უშანგი ხუმარაშვილსა და მხატვარ ოლეგ ტიმჩენკოსაც.

ტიმჩენკო აკადემიაში გიორგი კეკელიშვილის დათხოვნის შემდეგ, 2009 წელს მივიდა. ის უნდა გაძლოდა თანამედროვე ხელოვნების სახელოსნოს, რომელიც აკადემიის მმართველობამ სტუდენტებთან კომპრომისის სახით სახელდახელოდ დააარსა მას შემდეგ, რაც კეკელიშვილის სახელოსნო დახურეს. თუმცა, დღეს ტიმჩენკო ამბობს, რომ ადმინისტრაციისგან სულ სხვა პირობებს, მათ შორის ალტერნატიული ხელოვნების ლაბორატორიის ამუშავებას ელოდა, ეს კი არ შესრულდა. ამიტომ, ის მიიჩნევს, რომ ასეთ პირობებში, სტუდენტების წამოწყება ერთადერთი სწორი გზაა.

ერთი წლის წინანდელი აქციების შემდეგ, ახლა მიმდინარე პროცესი სტუდენტებისთვის პირველი მნიშვნელოვანი გარღვევა და აკადემიის გაყინული სასწავლო პროცესისადმი ყურადღების მიპყრობის კიდევ ერთი მცდელობაა.

ასეთი იყო აქციაც სახელწოდებით „სმა, სმა და სმა“ - ავტორების თქმით, სტუდენტთა უმრავლესობა აკადემიაში სწორედ ამ ერთადერთი მიზნით დადიოდა. ეს პერფორმანსი იმ პერიოდს დაემთხვა, როცა აკადემიაში ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ერთ-ერთი წინა დამამთავრებელი ჯგუფის სკანდალური სადიპლომო პერფორმანსი „სველი წრე“, ამიტომ სტუდენტებისგან ამჯერადაც შოკისმომგვრელ სახანაბობას ელოდნენ. „მაშინ რამდენიმე სტუდენტმა გვითხრა, რომ სტუდენტ-პირის თავმჯდომარე ორ მოადგილესთან ერთად აუდიტორიებში დადიოდა და ყველას აფრთხილებდა, აქციაზე არ

■ სახელოსნოს გახსნის შემდეგ, კითხვა ისმის ასე: რამდენად


მოახერხებენ ამ თავისუფალ სივრცეში შეკრებილი

სტუდენტები 4 თვეში თანამედროვე ხელოვნების არსის ისე გაგებას, რომ სადიპლომო გამოფენა მოამზადონ?



თავისუფალი სახელოსნოს შესაძლო წევრების დისკუსია

ფოტო: ნინო ლომიძე



თავისუფალი სახელოსნოს წესდება

ფოტოსურათი: ნინო ბერიძე

ჩახვიდეთ, შეგაფურთხებენო“, — იხსენებს ერთ-ერთი მონაწილე.

დღეს, ისინი აკადემიის ყველა დაინტერესებულ სტუდენტს სთავაზობენ სახელოსნოში სიარულს და თავისუფალ შემოქმედებით გარემოში სწავლას.

„პენისების ხატვა თუ გინდა, ადექი და ხატე“ — ყველას, ვისაც არ სურს, ასეთი პასუხი მიიღოს ლექტორისგან თხოვნაზე, რომ შიშველ ნატურასთან მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეს, შეუძლია, სახელოსნოში იაროს.

თუმცა, სახელოსნოს გახსნის შემდეგ, კითხვა ისმის ასე: რამდენად მოახერხებენ ამ თავისუფალ სივრცეში შეკრებილი სტუდენტები 4 თვეში თანამედროვე ხელოვნების არსის ისე გაგებას, რომ სადიპლომო გამოფენა მოამზადონ?

თანამედროვე ხელოვნება მრავალგანზომილებიანი ცნებაა და ნამუშევრის თანამედროვეობა შეიძლება განსაზღვროს, როგორც მისმა შინაარსმა, ისე ფორმამ და ტექნიკურმა მხარემ.

სტუდენტები კი თვითონვე ამბობენ, რომ დარჩენილი დროის მანძილზე, საეჭვოა, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება შეძლონ, რადგან აქამდე მათთვის ეს ფორმები არავის უსწავლებია და თანამედროვე ხელოვნების შესახებ თეორიული ცოდნა, ფაქტობრივად, არ აქვთ.

გამოდის, სახელოსნოს წევრებს მოუწევთ, ძალიან მცირე დროში ისეთი ნამუშევრები შექმნან, რომლებიც ფორმითა და კონცეფციით უფრო ღირებული იქნება, ვიდრე ვთქვათ, კიჩური ნატურმორტია - ჟანრი, რომელზეც, როგორც აკადემიის ჩამორჩენილობის სიმბოლოზე, სტუდენტებმა კატეგორიული უარი თქვეს.

ჯერჯერობით უცნობია, მისცემს თუ არა სასწავლებლის ადმინისტრაცია სტუდენტებს ნებართვას, აკადემიის სივრცეშივე მოაწყონ სადიპლომო ნამუშევართა გამოფენა, რომელშიც გარეშე პირებიც მიიღებენ მონაწილეობას. თუ-

მცა, „განდევილი“ სტუდენტებისთვის ადმინისტრაციის პოზიცია ნათელია. მათ საკუთარ ბლოგზე დაწერეს, რომ მუქარა ადმინისტრაციისგან უკვე მიიღეს: „დღეს, 15 მარტს, სახელოსნოში გვეწვია აკადემიის მაღალი თანამდებობის პირი, რომელმაც არაორაზროვნად განგვიცხადა, რომ მიუხედავად ჩვენი გადაწყვეტილების სამართლიანობისა, ადმინისტრაცია ყველანაირად ეცდება, არ დაუშვას ჩვენი განზრახვის განხორციელება. კითხვაზე, რა არის ამის მიზეზი, პასუხი იყო, რომ ჩვენი ქცევა თვითნებობაა“.

მიუხედავად ამისა, სტუდენტები გამოფენისთვის ემზადებიან და აცხადებენ, რომ საკუთარი სადიპლომო ნამუშევრებით შეეცდებიან, აკადემიას დაუმტკიცონ - ბოლო 4 თვის მანძილზე დამოუკიდებელი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე აკადემიაში ნატურმორტების ხატვაში გაღებული 3,5 წელი. ■

ღობაჯი ნახომობენობის მიღმა



რა შეიძლება, ვისწავლოთ ობამას წინასაარჩევნო კამპანიიდან?

გიორგი ცხადაია

დღემდე, როდესაც საქართველოში ამერიკის პოლიტიკაზე საუბრობენ, ცდილობენ, მას ქართული გადმოსახედიდან შეხედონ, რაც ძალიან კომიკურ ხასიათს იღებს ხოლმე.

ამერიკის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის ყოფილი თავმჯდომარე ტომას „ტიპ“ ო'ნილი ამბობდა, რომ ყველა პოლიტიკა ლოკალურია. არსად ისე ცხადად არ ჩანდა ეს მარტივი ჭეშმარიტება, როგორც საქართველოში - საქართველო ხომ ერთ-ერთი იყო იმ ორი ქვეყნიდან, რომელიც 2008 წლის ამერიკის საპრეზიდენტო კამპანიის დროს ჯონ მაკკეინს უჭერდა მხარს. ამაში პარანორმალური და მიუღებელი არაფერი ყოფილა; 2008 წლის აგვისტოს ომისგან გამონეულმა შოკმა და მაკეინის გულმხუღვარე მხარდაჭერის სიტყვებმა ქართული საზოგადოება რესპუბლიკელი სენატორის მიმართ ერთმნიშვნელოვანი სიმპათიით განაწყო. საუბედუროდ, ობამას წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებში, როგორც ყველგან, ჩვენთანაც რასისტული ელემენტები ფიგურირებდა. ასევე, გარკვეულ წრეებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ ობამა კომუნისტია.

ვფიქრობ, ობამას პოლიტიკურ პლატფორმაზე მეტი ინფორმაცია რომ გვექონდეს, ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნება თანამედროვე დემოკრატიული პოლიტიკის მთელ პოტენციალზე.

დღეს უკვე თითქმის ყველა აღიარებს, რომ დემოკრატიულ პრაიმერიში ჰილარი კლინტონსაც რომ გაემარჯვა, ჯონ მაკეინი მაინც დამარცხდებოდა. ამის მიზეზი მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ერაყის ომი და ბუშის ორგადიანი პრეზიდენტობით გამოწვეული სოციალური უკმაყოფილობები იყო. ამიტომ, ყველაზე



■ განსაკუთრებით საინტერესო იყო, თუ როგორ მიიღო ობამამ წინასაარჩევნო ფინანსური შემოწირულობები. მან თავიდანვე უარი თქვა ვაშინგტონის, ოფიციალურად დარეგისტრირებული დემოკრატი დონორების დახმარებაზე.

საინტერესო ის არის, თუ როგორ გაიმარჯვა ბარაკ ობამამ ჰილარი კლინტონთან ბრძოლაში და არა ის, თუ როგორ დამარცხა მან ჯონ მაკეინი. ამ ფენომენის უკეთ გასაგებად ობამას წინასაარჩევნო კამპანიის ოთხი მთავარი ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ: მისი პოლიტიკური იდეოლოგია, მასების მობილიზაციისა და ფინანსური შემოწირულობებისთვის

ახალი მედიის გამოყენება, ახალი თაობის გააქტიურება და აფროამერიკელების მხარდაჭერა. ბოლო ფაქტორს განსაკუთრებული ახსნა ალბათ არ სჭირდება, ამიტომ, პირველი სამი ფაქტორის განხილვაზე გადავალ.

მიუხედავად იმისა, რომ სენატის კენჭისყრაზე მიცემული ხმების მიხედვით ბარაკ ობამა ერთ-ერთ ყველაზე მემარცხე-

ნე პოლიტიკოსად მიიჩნეოდა, საარჩევნო კამპანიის დასასრულს და საპრეზიდენტო ვადის დადგომის დროსაც, ილინოისის სენატორი ამკარად ცენტრისკენ გადაიხარა. ტრადიციული მემარცხენეებისგან იგი ორი მთავარი თვისებით გამოირჩევა: პრაგმატულობით და რიტორიკაზე (სიტყვებზე, მეტაფორებზე) აქცენტის გაკეთებით. ობამას პრაგმატულობა სხვადასხვანაირად ესმით. ყველაზე პოპულარული განმარტებით, ეს არის დასახული მიზნების და იდეალების სიტუაციისთვის შესაბამისი „იარაღებით“ მიღწევა. ობამას გამოცხადებულ პრაგმატულ დოქტრინას ამართლებს საპრეზიდენტო დანაპირების თანდათანობით ხორცშესხმა: ფინანსური ბაზრების რეგულაციების ამოქმედება, ჯანდაცვის რეფორმის მიღება ორი წლის დებატების შედეგად და ბოლოს, don't ask don't tell-ის (კანონმდებლობა, რომელიც ჰომოსექსუალებს ჯარში სამსახურს უკრძალავდა) გაუქმება. ყველა ეს წინასაარჩევნო დაპირება ობამამ, მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში არასრულყოფილად, მაგრამ მაინც პატიოსნად შეასრულა.

განსაკუთრებული იყო მისი რიტორიკაც. 2008 წლის არჩევნებამდე ამერიკელი დემოკრატების წრეებში ძალზე პოპულარული იყო ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორის ჯორჯ ლაკოფის ნაშრომები პოლიტიკური რიტორიკის შესახებ. ლაკოფი თვლის, რომ ამომრჩევლის გადანყვეტილებაზე დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ პოლიტიკოსის მიერ მისი ინტერესების გამოხატვა, არამედ პოლიტიკური რიტორიკა. გამოკითხვების მიხედვით, ობამამ წარმატებით მოახერხა ლიბერალების და ლიბერალურად განწყობილი ამომრჩევლების უმრავლესობაში „იმედის მომცემის“ იმიჯის დაკვიდრება. იმავე გამოკითხვებით, ამომრჩევლების უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ობამას მთავარი თვისება მისი შთაგონების უნარი იყო.

ობამამ შეძლო პოლიტიკის მიმართ ყველაზე აპათიურად განწყობილი ასაკობრივი ჯგუფის - ახალგაზრდების მობილიზება. 2008 წლის დემოკრატიულ პრაიმერებში და კოკუსებში 18-29 წლის ადამიანების 58%-მა ობამას მისცა ხმა, კლინტონს კი მხოლოდ 38%-მა. რაც შეეხება პოლიტიკური მონაწილეობის სხვა

ფორმებს, 30 წლამდე მოქალაქეების 25%-მა (ობამას ამომრჩევლების ბაზამ) გამოკითხვისას განაცხადა, რომ მონაწილეობდა პოლიტიკურ მიტინგსა და მსვლელობაში, ან შეუერთდა პოლიტიკურ კლუბს. პირველი კოკუსების შემდეგ, ჟურნალმა „ტაიმმა“ 2008 წელი არჩევნებში ახალგაზრდების გააქტიურების წლად გამოაცხადა.

ახალგაზრდების მობილიზაციის დროს განსაკუთრებული როლი ახალმა მედიამ შეასრულა. ობამამ სპეციალურად ამისთვის „ფეისბუქის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კრის ჰიუზი დაიქირავა. ჰიუზმა შექმნა პოპულარული სოციალური პლატფორმა <http://my.barackobama.com>, რომელიც დარეგისტრირებულ მომხმარებლებს ადგილობრივი აქტივისტური ჯგუფების და ღონისძიებების მოძებნაში ეხმარებოდა და პოლიტიკური აქტივიზმისთვის აუცილებელი უნარების შეძენისთვის ტრენინგებს სთავაზობდა. ვებსაიტზე დაახლოებით 15 მილიონი მომხმარებელი დარეგისტრირდა.

ობამას კამპანიის ახალი მედიის კოორდინატორი ამერიკაში ინტერნეტ-კამპანიების პიონერის - სოვარდ დინის მთავარი სტრატეგი ჯო როსპერსი იყო. ინტერნეტ-სივრცეში აქტიური მედია კამპანიის წარმოებაში ობამას აქტიურად ეხმარებოდნენ ცნობილი მომღერლები და მსახიობები. განსაკუთრებული გავლენა youtube-ზე განთავსებულმა მუსიკალურმა ვიდეომ „Yes We Can“ („დაიხ, ჩვენ ეს შეგვიძლია“) მოახდინა, რომელიც ობამას ნიუ-ჰემფშირის სიტყვას მუსიკალურად გადმოსცემდა.

და ბოლოს, განსაკუთრებით საინტერესო იყო, თუ როგორ მიიღო ობამამ წინასაარჩევნო ფინანსური შემოწირულობები. მან თავიდანვე უარი თქვა ვაშინგტონის, ოფიციალურად დარეგისტრირებული დემოკრატი დონორების დახმარებაზე. ობამას კამპანიამ შემოწირულობების 88% ინდივიდუალური პირებისგან მიიღო, დარჩენილი 12% კი ე.წ. „გაერთიანებული შემოწირულობებიდან“. ინდივიდუალური დონორების რიცხვმა 1.5 მილიონს მიაღწია. აქედან შემოწირულობების დაახლოებით 47% 200 დოლარზე ნაკლები იყო, 76% კი - 200 დოლარზე ნაკლები. საბოლოო ჯამში, ობამამ შემოწირულობე-

ბით უფრო მეტი თანხა მოაგროვა, ვიდრე ჰილარი კლინტონმა ან ჯონ მაკკეინმა.

ვაშინგტონის დონორებზე უარის თქმამ, მას საშუალება მისცა, რომ მომავალში ნაკლებად დამოკიდებული ყოფილიყო კორპორატიული დონორების მოთხოვნებზე (რის სანაცვლოდაც, ისინი ჩვეულებრივ, სწირავენ ხოლმე ფულს) და ჩვეულებრივი ამომრჩევლების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მეტი ძალისხმევა დაეხარჯა. შემოწირულობების უმრავლესობა ინტერნეტით განხორციელდა, რამაც ობამას საშუალება მისცა, რომ დონორებთან მოლაპარაკებასა და ბიუროკრატიულ პროცედურებზე ნაკლები დრო და ენერჯია დაეხარჯა.

15 წლის წინ „ჩიკაგო რეპორტერს“ ობამამ პოლიტიკოსის როლი შემდეგნაირად დაუხასიათა: „დროა, პოლიტიკოსებმა და სხვა ლიდერებმა შემიდგინა ნაბიჯი გადადგან და ამომრჩევლები, მოქალაქეები აღიქვან, როგორც ცვლილებების შემქმნელი. პოლიტიკოსმა თავისი საქმე ისე უნდა აღიქვას, როგორც ორგანიზატორმა, ნახევრად მასწავლებელმა და ნახევრად ადვოკატმა. პოლიტიკოსი არის ის, ვინც ამომრჩეველს რეალური არჩევანის შესახებ ანათლებს და არა ის, ვინც იტყუება.“ ობამას 2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიაშიც მთავარი აქცენტი ამომრჩეველთან ერთად „ცვლილებაზე“ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე იყო და არა პოპულისტური დაპირებების სროლაზე. ამის მიუხედავად, რა თქმა უნდა, დაპირებები და მოლოდინები ყოველთვის იმაზე მეტია, ვიდრე გადადგმული ნაბიჯები.

ობამას წინასაარჩევნო კამპანია ახალი მედიის ინოვაციური გამოყენების, ახალგაზრდების გააქტიურების და პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისით, ციფრული ტექნოლოგიების ერის ყველაზე მსხვილმასშტაბიანი პოლიტიკური მოვლენაა. ქართველ პოლიტიკოსებს, ამომრჩევლებს და სამოქალაქო საზოგადოებას 2008 წლის მოვლენებისგან უამრავი დადებითი მაგალითის აღება შეუძლიათ, თუმცა, პირველ რიგში, ამერიკის პოლიტიკაზე ლოკალურ წარმოდგენებს უნდა გავცდეთ და მოვლენები ფართო მასშტაბით აღვიქვათ. ■

ვინ ბვიშვება თავზე?



2010 წლის 13 მარტის მოდელირებული „ქრონიკის“ ერთი წლის თავზე, 2011 წლის 12 მარტს „იმედის“ „სპეციალურმა რეპორტაჟმა“ კიდევ ერთხელ „გვიქნა თავზე“.

ნინია კაკაბაძე

„იმედის“, უფრო კონკრეტულად კი, მისი საინფორმაციო და ანალიტიკური გადაცემების აღვირახსნილობა იმდენად შემაშფოთებელია, რომ ძალაუფლებურად ჩნდება კითხვა - ვინ და რატომ მფარველობს გიორგი არველაძეს? სოციალური ქსელი იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოს ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერების რეაქციებიც იხილოთ ზემოხსენებულ პერსონასა თუ მის შემოქმედებაზე - ის ცალსახად ნეგატიურია. ჩნდება მიაშიტური, მაგრამ ლეგიტიმური კითხვა - რატომ ვაქნევინებთ თავზე გიორგი არველაძეს ამდენი ხნის განმავლობაში?

არ გეგონოთ, ჩემი ფრაზეოლოგია სიმწრით იყოს გამონეული, ეს მხოლოდ 12 მარტის „სპეციალური რეპორტაჟიდან“ აღებული ციტატაა, რომელიც მთელი გადაცემის განმავლობაში ცდილობდა, მთავარი დამნაშავე ეპოვნა - ვინ უქნა თხუნელას თავზე? ვინ არის თხუნელა - განათლებულია ის თუ გაუნათლებელი?


საქმე ისაა, რომ გამომცემლობა „დიოგენემ“ ცოტა ხნის წინ გერმანულიდან თარგმნა და გამოუშვა საბავშვო ბესტსელერი სახელწოდებით „ვინ უქნა თავზე თხუნელას?“ ნიგნის სინოფსისი ამგვარია - მიწიდან თავს ამოყოფს თხუნელა, რომელსაც თავზე დააკუკავენ. ამის შემდეგ თხუნელა დადის და იკვლევს, ვინ მოისაქმა მის თავზე. მიდის ცხენთან, ვირთან, ჩიტთან და სხვა ცხოველებთან, ბოლოს გაარკვევს, რომ მის თავზე ძალღმა მოისაქმა. თხუნელა მიძინარე ძალღს თავზე „გაუკეთებს“ და კმაყოფილი ჩაძვრება უკან, მიწაში.

ლაშა ხარაზიშვილი, 2010 წელს მოდელირებული „ქრონიკის“ ნამყვანის რო-

ლის შემსრულებელი, შემფორთებული ამ ფაქტით. ის შფოთავს და ძრწის, რომ ქართველი ბავშვების ზღაპარი აღარ იწყება „იყო და არა იყო რა“-თი, რომ ბავშვებს არაესთეტიკური ამბის მოსმენა თუ წაკითხვა შეუძლიათ. „როგორი იქნება ამ ზღაპრით გაზრდილი ბავშვი?“ - დარდობს ლაშა. კადრს მიღმა დარდობენ მათე და გიორგიც და წიგნზე ამზადებენ ვრცელ გადაცემას, რომელშიც სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, ფსიქოლოგები მონაწილეობენ.

საქართველოს მოსახლეობის, და განსაკუთრებით, სტუდენტების განათლების დონით შეფიქრინებული „იმედის“ კოლექტივი, როგორც „თავზექნილი“ თხუნელა, მომდევნო რეპორტაჟში გამოკითხვის საშუალებით ამონმებს ჩვენი განათლების დონეს. სიუჟეტის დაწყებამდე ლაშა ხარაზიშვილი შესავალში ამბობს, რომ უდიპლომო სასიძო დღესაც არავის უნდა, ამიტომ ზოგი სწავლის შედეგად იღებს დიპლომს, ზოგი კი ყიდულობსო. აი, სად გაეპარა ლაშას (თუ მათეს?) ანტისახელმწიფოებრივი რეპლიკა. მეგობრებო, ვარდების რევოლუციის შემდეგ განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმის შედეგად დიპლომის ყიდვა შეუძლებელია! ამ ბრალდებისათვის სიამოვნებით მოვითხოვდი თქვენგან დამადასტურებელ ფაქტს, სადაც დიპლომის ყიდვის შემთხვევა მტკიცდება. სხვათაშორის, „იმედის“ მიერ გამოკითხულთა შორის დიპლომიანებიც არიან და უდიპლომოებიც, ანუ უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

მაშ ასე, „სპეციალური რეპორტაჟის“ მიერ მომზადებული კითხვარი, სავარაუდოდ, ორ ნაწილად იყოფა - ინტე-



ლექტუალური და უბირი. ინტელექტუალური კითხვები განზრახ დამაბნეველია. ვინ იყო პეტრე მელიქიშვილი? რომელ საუკუნეში მეფობდა შოთა რუსთაველი? ვინ არის ილია მართალი? საქართველოს მერამდენე პრეზიდენტია კონსტანტინე გამსახურდია? ვინ გაიმარჯვა საქართველო-ვიეტნამის 1956 წლის ომში? რა

ენაზე საუბრობენ ლათინურ ამერიკაში? და ა.შ. სრულიად წარმოუდგენელია, გამოკითხულთა შორის ამ კითხვებზე ერთსაც ვერ გაეცა სწორი პასუხი. მაგრამ ეს არ გვაჩვენებს, რადგან „იმედის“ მუშა კოლექტივს სხვა მიზნები აქვს. სწორ პასუხს ისინი მხოლოდ ამ კითხვებზე იღებენ: ვინ არის ბიჭოლა? ვინ არის ანრი ჯოხაძე? იყო ასეთი კითხვაც: ვინ არის საქართველოს პრემიერ-მინისტრი? ნეტავ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება

ნებოდა ეს უკანასკნელი, ინტელექტუალურს თუ უბირს? იქნებ კითხვა სასურველი პასუხის (პრემიერ-მინისტრი - სააკაშვილი) მისაღებად დაისვა?

მივმართავ მათ, ვინც „იმედს“, მის განუყოფელ დირექტორს და კოლექტივს მფარველობს ზეციური საქართველოდან თუ მიწიერი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებიდან. ბიჭოლას და ანრი ჯოხაძის არსებობა საქართველოს მოსახლეობამ და მათ

... of the Little Mole ... was None of his Business



■ ეს ჰიპერგანვითარებული უგემოვნებობა ყველაზე

გავრცელებულია ქვეყანაში, სადაც სოციალურად დაუცველი, გაჭირვების ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობისათვის უხვად მზადდება 30-ლარიანი ვაუჩერი და სანახაობა.

შორის მეც, სწორედ ამ ტელევიზიების მეშვეობით გავიგეთ. ისიც კი ვიცი, რომ ანრი ჯოხაძე საკუთარი სიმღერის კლიპში გამოშვლდა. ბიჭოლაზეც ვიცოდი რაღაც პოპულარული დეტალები, მაგრამ აღარ მახსოვს. უბრალოდ მისი არსებობის შესახებ ვიცი, ამისთვის მაღლობა გადაცემებს „თბილისი ლაივ“, „ქრონიკა“ და ა.შ. უკანასკნელ ენერჯიას არ იშურებენ გიორგი, მათე და ლაშა (უკვე „იმედის“ წმინდა სამებაც ჩამოყალიბდა), რომ გამოალაყონ ჩვენი ტვინები ამ ნაგვით. დიდხანს გვაფიქრონ, ვინ ვისი საყვარელია, ვინ სად ისვენებს, ვინ სად ერთობა, სად ყიდიან თუ ყიდულობენ საკუთარ ტანსაცმელსა თუ სიმღერებს. ეს ჰიპერგანვითარებული უგემოვნებობა ყველაზე გავრცელებულია ქვეყანაში, სადაც სოციალურად დაუცველი, გაჭირვების ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობისათვის უხვად მზადდება 30-ლარიანი ვაუჩერი და სანახაობა. მოსახლეობას კი ეს სანახაობა სჭირდება, ვიდრე მისი კუჭი მშიერია, ვიდრე ის დაუსაქმებელია და ვიდრე გართობა, კარგი ცხოვრება მხოლოდ მათ წარმოსახვაში არსებობს.

„სპეციალური რეპორტაჟის“ ფინალში ლაშა ხარაზიშვილი ბოდიშს იხდის, თუკი ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენა. შარშანაც მოგვიბოდიშეს მოდელირებული „ქრონიკის“ შემდეგ. ეს გამოკითხვა არ იყო საქართველოს მოსახლეობის განათლების დონის ინდიკატორი, ეს „იმედის“ კოლექტივის პროექციაა იმის სათქმელად, რომ ჩვენ დებილები ვართ, რადგან ზუსტად ერთი წლის წინ უსირცხვილოდ თავზე გვიქნეს და ჩვენ, ნაცვლად იმისა, რომ შეურაცხყოფილი თხუნელასავით დამნაშავე მოგვეძებნა და სამაგიერო გადაგვეხადა, ეს ფეკალიები კარგად შევიზილეთ თავში და განვაგრძეთ ცხოვრება.

„როგორ ვერ შეამჩნიეთ, რომ სიუჟეტში მოკლესახლეობიანი მაისურები ეცვათ პოლიტიკოსებს?“, „როგორც ვერ შეამჩნიეთ, რომ მზე ანათებდა?“ და რომ კადრები, რომელიც შემოგთავაზეთ მოდელირებული იყო და არა ნამდვილი?! დებილები და განუვითარებლები ხართ! - გვითხრა არველაძემ მაშინ. არ გჯერათ? ნახეთ 2011 წლის 12 მარტის „სპეციალური რეპორტაჟი“. ■



სსოვხება სუბსიხებით

პაატა ქურდაძე

უცხოური ფილმების სუბტიტრებით ჩვენების უპირატესობის შესახებ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის საპირისპიროდ ბევრი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება.

სუბტიტრების მომხრეთა მთავარი არგუმენტი, თითქოს ეს მოსახლეობაში უცხო ენების, კერძოდ კი ინგლისური ენის გავრცელებას შეუწყობს ხელს, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ საქართველოში კულტურისა და განათლების საკითხებით საბჭოთა კომისრების მსგავსი შემთხვევითი ადამიანები არიან დაკავებული.

როგორც ცნობილია, ჩვენს დროებით ოკუპირებულ სამშობლოში კულტურა სტრატეგიული სფეროა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების დარგები, პირველ რიგში, სახელმწიფო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. წვრილვაჭარული ინგლისური ენის ცოდნა კი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ტანკი, ტყვიამფრქვევი და ბრიყვული პატრიოტულ-მილიტარისტული ჰიმნები.

ქართული კულტურის აღზნებულ „კომისრებს“ როგორც ჩანს, არასოდეს სამენათ იმის შესახებ, რომ კინო, პირველ რიგში, ხელოვნების დარგია, და ის უცხო ენის სწრაფად შესასწავლ ვიდეო მეთოდში ერევათ.

ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში, ფილმს სუბტიტრებით, ძირითადად, მომზადებული მაყურებელი უყურებს. კინოთეატრის სალაროსთან ყოველთვის მითითებულია, თუ რომელ დარბაზში გადის დუბლირებული და რომელში - ორიგინალური ვერსია.

ტელევიზიით ასეთ ფილმებს მხოლოდ სპეციალურ სინეფილურ კერძო არხებზე, ან ხაზგასმულად კულტურაზე ორიენტირებულ ისეთ არხზე თუ ნახავთ, როგორც არის გერმანულ-ფრანგული

„არტე“, ნაციონალური არხებით სუბტიტრებიანი ფილმები ევროპის უმეტეს ქვეყანაში თითქმის არასოდეს გადაიციემა. და ამას თავისი ლოგიკა აქვს: ნაციონალური არხები საშუალო მოქალაქეზეა გათვლილი, რომელსაც ყველა სოციალური და ინტელექტუალური ფენა მიეკუთვნება. მათ შორის ისინიც, ვისაც კითხვის, მხედველობის, ასაკის, კონცენტრაციის ან სულაც განათლების პრობლემა აქვთ. მათი იგნორირება დისკრიმინაციის ტოლფასი იქნებოდა.

განსაკუთრებით სასაცილოა სერიალების სუბტიტრებით ჩვენების იდეა, სერიალების ერთადერთი აზრი არის სწორედ იმაში, რომ მას ადამიანებმა „ცალი თვალთ“ უყურონ, მეორეთი კი სახლის საქმე აკეთონ, ეკრანზე არ იყვნენ მიჯაჭვულნი, როგორც რომელიმე დიდი შედევის ყურებისას, უბრალოდ დაისვენონ, განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე. ქართველი დედა ხომ ცალი ხელით აკვანს არწევს, მეორეში კი პულტით სერიალიდან სერიალზე რთავს ტელევიზორს!

ის მაყურებელი, რომელიც სულაც არ აინტერესებს „წითელ ზონაში“ ნაჩვენები ძველი შავ-თეთრი შედეგები ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, ნაციონალური არხების ძირითად პუბლიკას წარმოადგენს. სწორედ ამ პუბლიკის დაკარგვის საშიშროების წინაშე დააყენებს ეს კანონი ნაციონალურ არხებსა და დისტრიბუციას. ოკუპანტის ენასთან მეზობლი კულტურის კომიტეტის პატრიოტულ-სტრატეგიულმა წამოწყებამ, შესაძლოა სწორედ რუსული მაუნყებლობისათვის სასარგებლო შედეგები გამოიღოს.

ამასთან, თუ მაინც შევთანხმდებით, რომ კინოფილმების რაღაც ნაწილი მაინც უდავოდ ხელოვნებას მიეკუთვნება, იძულებულნი ვიქნებით ანგარიში გავუწიოთ მათი ჩვენების ხარისხის პარამეტრებს,

მათ შორის თარგმანსაც.

ვისაც ერთხელ მაინც უშუშავია ფილმის თარგმანზე, დამეთანხმება, რომ სუბტიტრების კეთებისას ხშირად მხოლოდ დიალოგის რეზიუმე ითარგმნება, რადგან ხაზების სიგრძე, რაოდენობა, მათი ეკრანზე გამოჩენის დრო მკაცრად ლიმიტირებულია. სწრაფი დიალოგის სუბტიტრებში გადატანა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. დრო რომელიც საჭიროა ტექსტის წასაკითხად და მის აღსაქმელად ხშირად ჩამორჩება ეკრანზე გამოსახულების ცვალებადობის სისწრაფეს. განსაკუთრებით მძაფრსიუჟეტიან სცენებში.

ამიტომ სუბტიტრებს მხოლოდ მაღალი კინემატოგრაფიული ღირებულების ფილმების თარგმანისას აქვს აზრი, რომელშიც მსახიობის თამაში, ხმა და დიქ-



ცია ერთნიარად მნიშვნელოვანია.

არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი — ფილმის ხმოვანი დუბლაჟი იძულებულს ხდის სადისტრიბუციო კომპანიებსა და ტელეარხებს, დაასაქმოს მსახიობები, ახალი კანონი კი, ფაქტობრივად, პროფესიას კლავს და ისედაც უმუშევარ მსახიობებს შემოსავლის საშუალებას ართმევს.

არადა, როგორც ცნობილია, ქართველი პარლამენტარები უმუშევრებზე დარდისგან ღამეებს თეთრად ათენებენ... თუმცა დღისით, როგორც ჩანს, თავადაც სპობენ სამუშაო ადგილებს...

■ სუბტიტრების მომხრეთა მთავარი არგუმენტი შეგავსენებს, რომ საქართველოში კულტურისა და განათლების საკითხებით საბჭოთა კომისრების მსგავსი შემთხვევითი ადამიანები არიან დაკავებული.

დღეს ნებისმიერ საშუალო სიმძლავრის საოჯახო კომპიუტერზე შეიძლება ფილმის სუბტიტრების გაკეთება. და ეს სადისტრიბუციო კომპანიებსა და ქართული ტელეარხების ინკოგნიტო მეპატრონეებისათვის — ნამდვილი, თუმცა ძალიან საეჭვო. ჯეკ-პოტია! საინტერესოა, რომ არავის უჩნდება კითხვა, თუვის ინტერესებში შეიძლება, ჰიპოთეტურად მაინც, შედიოდეს დუბლაჟის იაფფასიანი სუბტიტრებით ჩანაცვლება, რომ არავის შეაქვს ეჭვი, არანაირ ინტერესთა კონფლიქტში, იმ შესაძლო ელიტარულ კორუფციულ გარიგებაში, რომელიც

პრეზიდენტის აზრით საქართველოში კატეგორიულად არ არსებობს.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: ქართული ენის განვითარება, მხოლოდ უცხო ენებთან „შეჯვარებით“ არის შესაძლებელი და არა მისი იზოლირებით.

ეს როლი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ლიტერატურას, თარგმანს აკისრია. სამწუხაროდ, წიგნი დღეს საქართველოში კომპიუტერულ მდგომარეობაშია, თუ უახლოეს მომავალში მასთან აბსოლუტურად დანაშაულებრივი დამოკიდებულება არ შეიცვალა, შეგვიძლია მის ღირსეულ დაკრძალვაზე ზრუნვა დაავიწყოთ, იმედია მკლავზე შევლენტშემული კულტურისა და განათლების ზემოთ ხსენებული კომიტეტი დამკრძალავი კომისიად მაინც გამოადგება საბრალო ქართულ წიგნს.

კინო ხელს უწყობს ცოცხალი ენის გახსნილობას, პროგრესირებას. არა ნაკლებად, ვიდრე ლიტერატურა.

შორეულ საბჭოთა წლებში ყველა შევეჩვიეთ, რომ უცხოური ფილმი აუცილებლად რუსულად უნდა გვენახა, რადგან ქართულად ძალიან სასაცილოდ უღერდა... ისევე როგორც ლიტერატურას, უცხოურ ფილმებსაც სხვა, უცხო ენაზე ვეცნობოდით.

ქართულ ენას ბოლო 200 წლის მანძილზე, ფაქტობრივად, არ უმუშავია განვითარებისათვის საჭირო სრული დატვირთვით. ამის შედეგად მიღებულ დღევანდელ ქართულ ენას ხშირად ელასტიკურობა აკლია. ქართულად გაცილებით ძნელად ითარგმნება თანამედროვე ტექსტები, ვიდრე თუნდაც რუსულად. ამიტომაც გვეცინებოდა ბავშვობაში „შესანიშნავი შვიდეულის“ ქართულ დუბლაჟზე („ჩიკო, აბა ტაში შემოჰკარ!“), თითქოს ამერიკელი კოვბოებისათვის რუსული ყოფილიყო მშობლიური ენა.

დღეს ქართველი ახალგაზრდები ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ფილმებს ინგლისურად უყურებენ... ისინი „ჩიკოს უხერხულად შემოკრულ ტაშზე“ კიდევ კარგა ხანს იხალისებენ.

ქართულ ენას მეტი კულტურა, მუშაობა, სიცოცხლე... მეტი „კინო“ სჭირდება და არა ეპიტაფიასავით ამოტივფრული ცივი სუბტიტრები მის სევდიან შავ – თეთრ რეალობაზე. ■



ფოტო თინო ბაქრაშვილი

ჯანაუხი ხილი



ვახო სვანიძე

სინკლერ ლუისის წიგნები რატომღაც ნაკლებად პოპულარულია ჩვენში. არადა, თუნდაც იმიტომ უნდა იმსახურებდეს ყურადღებას, რომ შეერთებული შტატების ლიტერატურის ისტორიაში პირველი ამერიკელი მწერალი გახლდათ, რომელსაც ნობელის პრემია ერგო.

1930 წლის 12 დეკემბერს, ამ პრემიის გადაცემისას, საზეიმო ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვა გაბრაზებული მწერლის ამბოხი უფრო იყო, ვიდრე მაღლიერებით დამდნარი ავტორის სენტიმენტები. «The American Fear of Literature» («ლიტერატურის შიში ამერიკელებში») — ასე ერქვა მის გამოსვლას, რომელიც ისეთი ცხარე გამოდგა, მოგვიანებით ცალკე ნაშრომად გამოიცა და დღესაც სახელმძღვანელოებშია შეტანილი, როგორც ლიტერატურული შედეგრი.

მოკლედ, ლუისმა მკითხველი მაგრად შეახურა იმ ავტორების ნაუკითხოობისათვის, რომლებიც მწარე სინამდვილეს არ გაუბრუნდნენ, ბრმად არ განადიდებდნენ ამერიკული ცხოვრების წესს, ხოტბას არ ასხამდნენ ქვეყნის გამოგონილ კეთილდღეობას. კოლეგებს კი სულ ლაჩრები ეძახა, ისეთი თემების შეგნებული იგნორირებისათვის, როგორებიცაა ეკონომიკური კრიზისი, დიდი დეპრესია, უმუშევრობა, უსამართლობა, რასობრივი სეგრეგაცია...

ამგვარი სოციალური ალგზნების გამო, ლუისს ბუნებრივია, დიდად არ სწყალობდნენ და კომუნისტი ლორების არაოფიციალურ შავ სიაშიც ჰყავდათ შეყვანილი. ერთი გამხდარი, ჩია კაცი გახლდათ და მიაჩნდა, რომ ამერიკულ ყოფაზე გაბედულად სიმართლის წერა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის იყო აუცილებელი. თავად კი ამ მომავალს ვერ მოეხსნო, უმოწყალო სმას შეენირა.

ამას წინათ, სრულიად შემთხვევით მისი „Kingsblood Royal“ („კინგსბლადი - მეფეთა შთამომავალი“) ჩამივარდა ხელში - მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის კაპიტან ნილ კინგსბლადის ისტორია, რომელიც პასტორალურ სიმშვიდეში ცხოვრობს ცოლ-შვილთან ერთად, ჩრდილოეთის პატარა შტატში. კინგსბლა-



დს ჰყავს „კადილაკი“ და ძალი (ამერიკული კეთილდღეობის იმდროინდელი სიმბოლო), პრესტიჟული საჩოგბურთო კლუბის VIP წევრია და ამაყად დგას ანგლო-საქსონური თეთრი დემოკრატიის სადარაჯოზე. ყველაფერი იდეალურადაა, სანამ შემთხვევით არ გაიგებს, რომ აფროამერიკელი წინაპარი ჰყავს. ცხოვრება ნელ-ნელა ენგრევა, სამსახურს კარგავს, მეგობრები ლინჩის წესით გასამართლებითა და სახლის გადაწვით ემუქრებიან, მამამისი დარდს

გადაჰყვება, „გაშავებულს“ ცოლიც კი აღარ აძლევს. სრულიად მარტო რჩება და მაგრად ერხევა. ერთი სიტყვით, კითხულობ „Kingsblood Royal“—ს და ხვდები, რომ სინკლერ ლუისი საოცარი იუმორით სვედიან შავ ბლუზს მოგვითხრობს ანუ ერთი კარგი კაცის ამბავს, რომელიც ძალიან ცუდადაა.

თუ ბლუზზე მიდგა საქმე, ერთი ცნობილი სიმღერაც გავიხსენოთ, რომელიც ამ წიგნის იდეალური საუნდტრეკი იქნებოდა. 1930 წლის 7 აგვისტოს ინდიანას შტატში ორი აფროამერიკელი თომას შიფი და აბრამ სმითი თეთრკანიანი მუშის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. გამეხებულმა ბრბომ მათ საკანამდე შეაღწია და ლინჩის წესით გაასამართლა (ხეზე ჩამოახრჩვეს). 9 წლის შემდეგ პოეტმა ლუის ალენმა ამ ისტორიაზე ლექსი დაწერა, რომელიც ელეონორა ფეგენმა, იგივე ბილი ჰოლიდემ გენიალურ სიმღერად („Strange Fruit“ - „უცნაური ხილი“) აქცია. სიმღერის სოციალური სიმწვავის გამო, ცნობილმა „Columbia Records“-მა იდედლა და უარი თქვა მის ჩანერაზე ისევე, როგორც ბევრმა სხვა სტუდიამ. რისკზე მხოლოდ პატარა კომპანია „კომოდორი“ წავიდა და სიმღერის პრემიერაც ნიუ-იორკის ერთ-ერთ პატარა კლუბში, 52-ე ქუჩაზე გაიმართა.

სანამ „ლეიდი დი“ (საქსოფონისტმა ლესტერ იანგმა შეარქვა ასე) „უცნაური ხილს“ შეასრულებდა, დარბაზს აბსოლუტური სიჩუმის დაცვა თხოვეს, მიმტანებს სტუმრების მომსახურება დროებით შეწყვეტინეს და შუქი ჩააქრეს. მონუსხული ხალხი უტყვად, ცრემლმორეული უსმენდა ამ საოცარ ქალბატონს, რომლის თმებს ულამაზესი თეთრი გარდენია ამშვენებდა, ოდნავ ხრინწიან, სიყვარულით გამომთვრალ ხმას კი აუტანელი ტკივილი:

„Southern trees bear strange fruit,
Blood on the leaves and blood at the
root,
Black body swinging in the Southern
breeze,
Strange fruit hanging from the poplar
tree...“

„სამხრეთის ხეებზე უცნაუ-
რი ხილი ხარობს,
სისხლია მათ ფოთლებზე
და სისხლია ფესვებში,
სამხრეთის ქარი შავ სხეუ-
ლებს არხევს,
ვერხვებზე უცნაური ხილი
ხარობს...“

ამ სამ წუთში ბილი ჰოლიდემ მო-
ნობის, ტერორის, დამცირების, დენის,
მკვლევლობებისა და უსამართლობის
ის სამი საუკუნე მოაქცია, რომელიც
საკუთარ თავზეც გამოსცადა ბავშვო-
ბაში (11 წლის ასაკში იგი მეზობელმა
გააუპატიურა, მართლმსაჯულებამ კი
ამ ფაქტზე თვალი დახუჭა, რადგან
მოძალადე თეთრკანიანი გახლდათ. გო-
გონა თავად დაადანაშაულებს მამაკაცის
შეცდენაში და არასრულწლოვანთა კო-
ლონიაში გამოკეტეს). სამწუთიანი მუ-
სიკალური ამბოხით ბილიმ ისეთი ადა-
მიანური ჭეშმარიტება გამოაფხიზლა,
რომელსაც ბევრი მთელი ცხოვრება
ეძებს და ვერ პოულობს, ის სიმართლე
ამდღერა, რომელიც ხშირად მიძინებუ-
ლია, მივინყებულისა, საგულდაგულოდ
გადამალული ან დატუსაღებულია.

სიმღერას რომ მორჩა, დარბაზი დი-
დხანს დუმდა. კლუბში უცნაური ემო-
ციური დაძაბულობა იგრძნობოდა. ვი-
დაც ატირებულმა ტიპმა ბოლოს თავი
ვერ შეიკავა და სიჩუმე მორიდებული
ტაშით დაარღვია, რომელიც გიჟურ
ოვაციებში გადაიზარდა.

სალამოს საინტერესო გაგრძელე-
ბა ჰქონდა. საგრძიმოროში მუსიკოსს
ეგზალტირებული უცნობი ქალბატონი
შეუვარდა, აღარ გაბედო და მეორედ ეს
სიმღერა არსად შეასრულო. გაირკვა,
ქალბატონს სიყვარულზე დაწერილი ბა-
ლადების მოსმენაში გადაეხადა ფული,
მისი სულიერი კომფორტი (ე.წ. „კაიფი“)

კი მწარე სინამდვილის შესხენებას ისე
აეფორიაქებინა, იმ ღამეს თუ გადარჩე-
ბოდა, არავის ეგონა.

„Strange Fruit“ ამერიკული ხელოვნე-
ბის ისტორიაში შევიდა, როგორც მუ-
სიკალურ ენაზე გამოსატყული პროტეს-
ტის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი,
ხოლო ედგარ ჰუვერის ბიჭების „კანტო-
რაში“ კი გაჩნდა ახალი საქალაქო: No
4855389 – Billie Holiday: Singer.

ამბობენ, რომ სიმღერები, ფილმები,
წიგნები ან ნახატები - ერთი სიტყვით,

შემოქმედება მოკლე ხნით ზეიმობს
ხოლომე გამარჯვებებს და რაიმე გლობა-
ლური ბოროტების სამუდამოდ დამარ-
ცებას ვერ ახერხებსო. შეიძლება, „Kin-
gsblood Royal“ და „Strange Fruit“
მხოლოდ ერთი არაჩვეულებრივი მწერ-
ლისა და ერთი გენიალური მუსიკოსის
ამაო ბრძოლა სამართლიანობისათვის
და მეტი არაფერი. თუმცა, ამ წიგნის
გადაკითხვა, ან ამ სიმღერის მოსმენა,
რალაცას მაინც შეცვლის ჩვენში. სამი
წუთით მაინც. 



IPAD 2-S APPLE-ს ფანები ტრადიციული აპროტაჟით შეხვდნენ

iPad 2-ის შესაძენად Apple-ის ფანები კომპანიის საფირმო მაღაზიებთან ჯერ კიდევ ღამით შეიკრიბნენ. ყველა ცდილობდა, მოსახერხებელი ადგილი დაეკავებინა, რათა საოცნებო პლანშეტი პირველს სწორედ მას რგებოდა. ტეხასელმა ტურისტებმა მაღაზიის წინ კარავი ჯერ კიდევ 8 მარტს გაშალეს, მანჰეტენზე Apple-ს მაღაზიის წინ კი რიგის პირველი ადგილი ახალგაზრდა გოგონამ აუქციონზე გაყიდა.

Apple-ის ფანებთან ერთად რიგი იმ ადამიანებისგანაც შედგებოდა, რომლებსაც მონყობილობის ოფიციალურ ფასად შექენა და შემდეგ "შავ ბაზარზე"



ორჯერ მეტად გაყიდვა სურდათ. ბევრი მათგანი ამ მიზნით ერთდროულად რამდენიმე iPad 2-ს ყიდულობდა.

უცხოური ტელეარხებმა 20 წლის ჩინელი ემიგრანტი დენის ენგი გადაიღეს, რომელიც ვიდაცის სანაცვლოდ რიგში დგომის თითოეული საათისთვის 10 დოლარს იღებდა. "მე აქ ფულის გამოშვებისთვის მოვედი. ბევრი ჩინელი ემიგრანტი რიგში მხოლოდ იმისთვის დგას, რომ დაიქირავეს",-განაცხადა მან.

iPad 2-მა წინამორბედის რეკორდი მოხსნა - პირველ დღეს ის დაახლოებით 600 000 ცალი გაიყიდა. iPad 2-ის ფასი მის კონფიგურაციაზე დამოკიდებული და 500-დან 830 დოლარამდეა.

Apple წელს კიდევ ერთი ახალი პროდუქტის გამოშვებას გეგმავს: თეთრი iPhone 4, რომლის გაყიდვების დაწყება სამჯერ გადაიდო, სავარაუდოდ აპრილში გამოჩნდება. შემდეგ კი კომპანია iPhone-ის მეხუთე ვერსიას დააანონსებს.

გამიცვალა ელ-წიგნი!



BookLending.com-სა და Lendle.me-ს უკვე ათასობით მომხმარებელი ჰყავს და ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება. ამ რესურსების დახმარებით მომხმარებლები Kindle-ისა და Nook-ის ელექტრონულ წიგნებს ერთმანეთში ცვლიან.

HP - სარკვევების ბაზრის ლიდარი

ანალიტიკური კომპანია ჩარტნერ-ის ინფორმაციით, 2010 წლის შედეგებით, მსოფლიოში გაყიდული სერვერების მთლიანი შემოსავლის 31,4%, ანუ 15,33 მილიარდი დოლარი HP-ს ეკუთვნის. სულ HP-მ 7,8 მილიონი სერვერი გაყიდა.



ექსპერტების პროგნოზით, კომპანია ბაზარზე საკუთარ პოზიციებს მიმდინარე წელს კიდევ უფრო გააძლიერებს.

ნელსონ მანდელას არქივი ინტარნეტში

ნელსონ მანდელას პირადი არქივი და ამ დრომდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტები ინტერნეტში განთავსდება. მასალა ციფრულ ფორმატში Google-ს გადააქვს. კოლექცია მანდელას პატიმრობის დროს დაწერილ დღიურებს, პირად მიმოწერასა და იმ

შენიშვნებს აერთიანებს, რომლებსაც სამხრეთ აფრიკის პირველი დემოკრატი პრეზიდენტი სამთავრობო შესვედრების დროს აკეთებდა.



მანდელას ფონდში აცხადებენ, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

ონლაინ-სივრცეში განთავსებასთან ერთად მანდელას არქივი წიგნის სახითაც დაიბეჭდება. მის წინასიტყვაობას ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა დაწერს.

ტვიტები ტაპირირიდან

ამერიკული გამომცემლობა OR Books ახალ წიგნზე მუშაობს. მასში ის მთავარი შეტყობინებები იქნება თავმოყრილი, რომლებსაც ეგვიპტელები რევოლუციის პერიოდში Twitter-ზე ტოვებდნენ. 160 გვერდიანი კრებული სახელწოდებით „ტვიტები ტაპირირიდან“ 21 აპრილს გამოვა.

გამომცემლობის წარმომადგენლების განცხადებით, შეტყობინებები მკითხ-



ველს იმ დროს ეგვიპტეში განვითარებული მოვლენების რეალურად დანახვის საშუალებას მისცემს.

Internet Explorer 9-ით სარგებლობა უკვე შესაძლებელია

Microsoft-მა რამდენიმეთვიანი ტესტირების შემდეგ ბრაუზერ Internet Explorer 9-ის საბოლოო ვერსია გაუშვა. ტესტირების პროცესში მონაწილეობას 40 მილიონზე მეტი მომხმარებელი იღებდა. Microsoft-ის წარმომადგენლე-



Internet Explorer 9

ბის განცხადებით, ბრაუზერს 39 ენის მხარდაჭერა აქვს და მხოლოდ Windows 7-ის ან Vista-ს ოპერაციულ სისტემაზე მუშაობს. XP-ს პლატფორმისთვის იგი ხელმისაწვდომი არ არის.

ბრაუზერის ახალი ვერსიის მთავარი ცვლილებები CSS3-ის მხარდაჭერა, HTML5 და Tracking Protection-ისგან თავდაცვაა. ამასთან, მთლიანად განახლდა ბრაუზერის ძრავა და ინტერფეისი. Microsoft-ში აცხადებენ, რომ Internet Explorer 9 ტექსტურ, აუდიო და ვიდეოფაილებს უფრო სწრაფად ტვირთავს.

Kinect ბინესის ნიგნძი

უკონტაქტო კონტროლერი Kinect, რომელიც Xbox 360-ისთვისაა განკუთვნილი, გინესის რეკორდების ნიგნძი მოხვდა. Microsoft-ის მიერ შექმნილი გაჯეტი, რომელიც გასული წლის ნოემბერში დაანონსდა, გასართობ ინდუსტრიაში ყველაზე სწრაფად გაყიდვად მოწყობილობად დასახელდა. გაყიდვების დაწყებიდან 60 დღის შემდეგ სოფტვერულმა გიგანტმა 8 მილიონზე მეტი Kinect გაყიდა და 1,5 მილიარდ დოლარზე მეტი



მოგება მიიღო. ამერიკაში Kinect-ის საშუალო ფასი 150 დოლარია.

ინტერნეტ-ინდუსტრიის მილიარდებია

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რიცხვში, რომელსაც ჟურნალი Forbes ყოველწლიურად ადგენს, ის 6 ადამიანი შევიდა, რომლებსაც Facebook-ის შექმნასა და განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით. სოციალური ქსელის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მარკ ცუკერბერგი სიაში 52-ე ადგილს იკავებს. მისი ქონება ჟურნალმა 13,5 მილიარდ დოლარად შეაფასა. გასულ წელს ცუკერბერგი 212-ე პოზიციაზე იყო 4 მილიარდი დოლარით.



Forbes-ის რეიტინგში პირველად მოხვდა Facebook-ის თანადამფუძნებელი 26 წლის დასტინ მოსკოვიცი, რომელიც სიაში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია. ჩამონათვალში დასახელდნენ 28 წლის ედუარდო სავერინი და ინვესტორები - შონ პარკერი, იური მილნერი და პიტერ ტილი.


ინტერნეტ-ინდუსტრიიდან ყველაზე მდიდართა სიაში Google-ს დამფუძნებლები სერგეი ბრინი და ლარი პეიჯი მოხვდნენ, რომლებმაც 24-ე ადგილი დაიკავეს. თითოეული მათგანის ქონება წელს 17,5 მილიარდი დოლარიდან 19,8 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეიტსი, ისევე როგორც შარშან, წელსაც მეორე პოზიციაზეა და 56 მი-

ლიარდ დოლარს ფლობს. პოპულარული ჩინური საძიებო სისტემის Baidu-ს შემქმნელის რობინ ლის ანგარიშზე 9,4 მილიარდია, Alibaba.com-ის დამფუძნებელი ჯეკ მას ქონება კი 1,6 მილიარდ დოლარს შეადგენს..

მათთვის, ვინც ორეულს ეძებს

მათთვის, ვინც ორეულს ეძებს ნიუ-იორკელმა მწერალმა ქალმა კრისტინა ბლუმმა ახალი გაცნობის საიტი შექმნა. რესურსი იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც ეძებენ პარტნიორს, რომელიც მათ გარეგნულად ჰგავს. ბლუმმა საიტის შექმნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მეუღლეს გაშორდა და შეუყვარდა მამაკაცი, რომელიც მას ძალიან ჰგავდა. ბლუმმა დაინტერესდა, თუ



რამდენად იყო დამოკიდებული პირადი ბედნიერება პარტნიორების გარეგნულ მსგავსებაზე და შესაბამისი წყვილების მოძებნაც დაიწყო. ბლუმმა დომენი FindYourFaceMate.com უკვე დაარეგისტრირა და რესურსის გაშვებას უახლოეს მომავალში აპირებს.

FindYourFaceMate.com-ზე შესულმა მომხმარებლებმა საკუთარი ფოტო უნდა ატვირთონ. გარეგნულად მსგავსი პარტნიორის მოძებნაზე კი საიტის სისტემა იზრუნებს.

მომზადა ნინო ნატროშვილმა.

სათნო და ჰოახუხი მაზოხისტები



ფრანკოფონიის კულტურული გაკვეთილი ჟან ჟენეს „მოახლე ქალებით“

დავით ბუხრიკიძე

მეოცე საუკუნის დიდ პოეტს, დრამატურგსა და მწერალს, ჟან ჟენეს საქართველოში აშკარად არ გაუმართლა. გასულ წელს გამომცემლობა „დიოგენემ“ ქართულ ენაზე ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური პერსონის (ხშირად ჟენეს მეორე მარკიზ დე სადსაც უწოდებენ) გახმაურებული რომანი „ნოტრ-დამ-დე-ფლერი“ გამოსცა. თუმცა ინფორმაციის სიმწირეს ეს აშკარად ვერ ავსებს. არც მისი პოეზია გახდა მოდური და ვერც შესანიშნავმა, უცნაურმა და ბრუტალურ-პოეტურმა პიესებმა აღაგზნეს ახალგაზრდა რეჟისორთა ფანტაზია. შესაძლოა, ეს მთარგმნელთა პრობლემაცაა. რომლებიც ვერაფერს უხერხებენ ჟენეს თვითმყოფად, დახვეწილ და პოეტურად მდიდარ ლექსიკას. გასულ წელს ჟენეს დაბადების ასი წელი შეუსრულდა ამიტომ საფრანგეთის საელჩო და ფრანგული კულტურის ცენტრი სწორედ მისი სახელის რეპრეზენტაციას შეეცადა. ეს ტრადიციულ ფრანკოფონიის დღეებშიც აისახა.

...მარგინალთა და კრიმინალთა მენობზე, ქურდი და პოეტი, „წმინდანი და წამებული“, უკომპრომისო და გარყვნილი, დახვეწილი და რეფორმატორი, მუდამ განდევნილი და დევნილი - ასეთია ჟენეს გრაფიკულ-პოეტური პორტრეტი, რომლისთვისაც ციხე ლამის მარადიულ ბიბლიოთეკად იქცა. 15 წლისა იყო, როდესაც პირველად არასრულწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში მოხვდა. მაშინ ცხადია, ვერც კოკტო დაუდგა თავდებად და ვერ სარტრის გავლენამ იხსნა. მრავალჯერ



სამხსცენა სპექტაკლიდან „მოახლე ქალები“

ფოტო რუბინაბაძე, თბილისი, არქივიზა

ნასამართლევით მწერალი და პოეტი გამუდმებით უბრუნდება დანაშაულის, ცოდვისა და ეროტიზმის თემებს, რომლებიც თავს იყრიან პიესაში „მოახლე ქალები“.

პიესა 1947 წელს დაიწერა, დაახლოებით იმ დროს, როდესაც ევროპამ აბსურდი გაიცნო. კერძოდ, იონესკოს „მელოტი მომღერალი ქალი“ და ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“. თუმცა ჟენე მათსავით პოპულარული მაინც ვერ გახდა. მხოლოდ მოგვიანებით, 60-70-იან წლებში, სტუდენტური მღელვარებისა და „სექსუალური რევოლუციის“ ჟამს გაიხსენეს მისი პიესები რეჟისორებმა. ჟან-პოლ სარტრმა კი სქელტანიანი გამოკვლევა უძღვნა

ჟენეს და „წმინდანი და წამებული“ უწოდა.

60-იან წლებში გერმანელი რეჟისორის ტომას ენგელის მიერ დადგმულ „მოახლე ქალებს“ (ავანგარდული, ეპატაჟური სატელევიზო ვერსია) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდი დისკუსია მოჰყვა. უფრო მეტად ცნობილია ბრიტანელი რეჟისორის, კრისტოფ მაილსის ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს შესანიშნავი მსახიობები გლენდა ჯექსონი (სოლანჟი) და სუზანა იორკი (კლერი) თამაშობენ. თანამედროვე შვედმა კომპოზიტორმა პიტერ ბენგტონმა კი ჟენეს პიესის მიხედვით ერთაქტიანი ოპერა დაწერა, რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა

შვედეთის სამეფო ოპერაში (რეჟისორი რანჰარდ ლიცი). 1988 წელს მოკოვის თეატრ „სატირკონში“ დადგმული „მოახლე ქალები“ საბჭოეთის დასის ჟამს ლამის რევოლუციურად შეაფასეს. აღსანიშნავია, რომ რეჟისორმა რომან ვიკტიუკმა მოახლეების, სოლანჟისა და კლერის როლები მამაკაც-მსახიობებს ათამაშა.

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე სუბტიტრებით წარმო-

■ მარგინალთა და

კრიმინალთა მეხოტბე,

ქურდი და პოეტი, „წმინდანი

და ნამებული“, უკომპრომისო

და გარყვნილი, დახვეწილი

და რეფორმატორი, მუდამ

განდევნილი და დევნილი

- ასეთია შენეს გრაფიკულ-

პოეტური პორტრეტი,

რომლისთვისაც ციხე ლამის

მარადიულ ბიბლიოთეკად

იქცა.

გენილი ფრანგული სპექტაკლი „მოახლე ქალები“ არაფრით გამორჩეულ სცენურ გაკვეთილს უფრო ჰგავდა. მაგრამ როგორც იტყვიან, სჯობს გვიან და ფრანგულად, ვიდრე არასდროს და ქართულად. „პიესა ბოროტებისა და ეროტიზმის ირაციონალურ კავშირს ასახავს, რომელიც ხმამაღლა საუბრობს შენიღბულ ძალადობასა და ძლიერ, მაგრამ ორსახოვან გმირებზე“ - წერდა ერთ-ერთი თეატრალური კრიტიკოსი „მოახლე ქალების“ შესახებ .

ვერ გეტყვით, რამდენად აღწევნ სპექტაკლში „ბოროტებისა და ეროტიზმის“ სინთეზს ახალგაზრდა ფრანგი მსახიობები - მათილდა შუკო (კლეური) და სარა სუმა (სოლანჟი). თუმცა

ნახევრად მომხიბვლელი სიანციით, თითქმის პროზაული და არა პოეტური ენერჯითა და მონოლოგების კულტურული კითხვით მართლაც გამოირჩევიან, ისინი სათნო და პოეტურ მახოხისტებს უფრო ჰგვანან. არანაირი რეჟისორული ტვინის ჭყლეტა, ან განსაკუთრებული კონცეფცია სპექტაკლს არ ეტყობა. სამაგიეროდ, იგრძნობთ ვრცელი და პოეტური მონოლოგების სიმძიმესა თუ ხიზლს (განსაკუთრებით ეკრანზე ტიტრების კითხვისას) და მსახიობთა დუეტის მიერ ექსპერიმენტული სცენის ათვისების პლასტიკურ მცდელობას.

სპექტაკლის რეჟისორი პიერანჯელო სუმა ალბათ შეეცადა უპრეტენზიო, პოეტური და მღელვარებით სავსე წარმოდგენა დაედგა. სხვა საკითხია, რამდენად მოახერხა ეს და გაიგო თუ არა მისი ჩანაფიქრი მაყურებელმა. ხოლო მხატვარი და სცენოგრაფი ჟან-პიერ ბენეკარი, ნითელი და თეთრი კაბების მონაცვლეობით და შავი კუბის მეტაფორული დატვირთვით ცდილობს, ამ უპრეტენზიო სიმარტივეს მეტი მხატვრული გამართლება მოუძებნოს.

„სევედა, რომელიც კვალდაკვალ მომდევს, ბევრი რამით იმ ადამიანს მამს-გავსებს, გემის დაღუპვისას ცოცხალი რომ დარჩა. დაინახავს თუ არა იალქანს ჰორიზონტზე, თავი უკვე გადარჩენილი ჰგონია, მაგრამ უცბად გაახსენდება, რომ მისი ჭოგრიტის მინას დეფექტი აქვს - დაორთქლილი ადგილი ზუსტად იმ იალქნის ზომისაა, რომელიც მოეჩვენა, რომ დაინახა“, - წერს შენე და რატომღაც მგონია, რომ სცენაზე გაცოცხლებას სწორედ წარმოუდგემენელი ინტენსივობის პოეტური ტექსტი უშლის ხელს.

ფრანგული კულტურის მოყვარულთ (და არა მხოლოდ მათ) კიდევ ორ სპექტაკლის ნახვა შეუძლიათ: 4 აპრილს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა დაეთმობა ალბერ კამიუს პიესის მიხედვით დადგმულ მონოსპექტაკლს „პირველი ადამიანი“ , ხოლო 8 აპრილს იმავე სცენაზე წარმოდგენილი იქნება ცნობილი ქორეოგრაფის კაროლინ კარსონის „ლი & მანდალა“ .



სპეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა
მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
 გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
 და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
 დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
(899) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი
 საკონტაქტო ინფორმაცია
 ელ-ფოსტით: **subscribe@liberali.ge**

თბილისის ზღვაზე



კახა თოლორდავა

რამდენიმე დღის წინ მე და ჩემი მეგობარი ქალაქში ხანგრძლივად სასაქონლოდ შევხვდით ერთმანეთს. მანქანა კინო „საქართველოსთან“ გავაჩერეთ და ფეხით, თემქის სასაფლაოს გავლით, ავედით თბილისის ზღვაზე. ოდნავ ქარიანი, თუმცა მზიანი ამინდი იყო. არსად გვეჩქარებოდა, ამიტომაც დინჯად მივაბიჯებდით, იქაურობას ვათვალიერებდით და ვსაუბრობდით თბილისზე, მის ავ-კარგიანობაზე, მის პრობლემებზე. როდესაც შემალღებინა თბილისის ზღვას მოვკარით თვალი, ორივე კარგ ხასიათზე ვიყავით. სეირნობამ და შინაარსიანმა საუბარმა იცის ხოლმე ასე. წყლის სიახლოვეს ყოფნამ კიდევ უფრო აგვიშალა საღერლეო. ლაპარაკ-ლაპარაკით დავეშვით დაღმართზე. ჩემი მეგობარი ძალიან საინტერესოდ მიხსნიდა, თუ რატომაა საჭირო ნებისმიერ ქალაქში სამეცნიერო მიღწევათა მუზეუმის არსებობა. ამასობაში, უკვე წყლის პირას მივაბიჯებდით. მერე კი, სრულიად მოულოდნელად, სანამ მეგობრის ლაპარაკს ვისმენდი და თან ზღვის სანაპირო ზოლს ვათვალიერებდი, დავინახე ის, რაც თითქოს აქამდის უნდა დამენახა, მაგრამ სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო ვერ დავინახე - თბილისის ზღვის ამდენწლიანი არსებობის და ქალაქის მცხოვრებთათვის მისი მნიშვნელობის მიუხედავად, მის გარშემო არ არსებობს არცერთი, ვიმეორებ, არც ერთი თუნდაც მეტ-ნაკლებად საინტერესო, საზოგადო სივრცის შემოქმედებითად და ფუნქციურად ათვისებით დაინტერესებული ადამიანის იდეა.

მომისმინეთ. სულ რაღაც 150 სიტყვა დამრჩა იმისთვის, რომ აგისხნათ, რამ შემაშფოთა ასე. ვხვდები, რომ ვილაც-ვილაცები დაიჯღანეთ კიდევ, ჩაგვცინათ, თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალეთ, ერთი ჩაიქირქილეთ და ხალისით მიიღეთ პირველივე აზრი, რაც ჩემმა სიტყვებმა გააჩინეს თქვენში, კერძოდ კი, - რა უკვირს? რატომ? რა შემოქმედებით იდეებზე ლაპარაკობს? ასე იყოს, მე ახალი არაფერი მითქვამს თქვენთვის, უბრალოდ სხვანაირად დავინახე ის, რაც ბევრად ადრე უნდა დამენახა, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, ძალიან უცნაურია ის, რომ ქალაქის სიახლოვეს არსებულ რეკრეაციულ ზონაში (თანაც რა კარგ, ლამაზ და ძალიან მნიშვნელოვან ზონაში) წლების განმავლობაში ქარველებმა აბსოლუტურად ვერ აფერი ავაშენეთ, ჩავდგით, ჩავაჭედეთ, წამოგჭიმეთ ან ჩამოგკიდეთ (ვგულისხმობ ს ა ე რ თ ო კეთილდღეობისათვის აუცილებელ ქმედებებს), მოკლედ ვერაფერი შევქმენით იმისთვის, რომ ჩვენთვის და სხვებისთვისაც დაგვენახებინა ჩვენი მიმართება თავისუფალ დროსთან, ასეთი დროის ხ ა რ ი ს ხ ი ს ჩვენებურ გაგებასთან და გარემოს-



თან მორგების მცდელობასთან. თუ შეიძლება, ნურაფერს მეტყვით „აბეზალოვკა“ გამწვანებებზე, კინკილა „პრესტიჟულ“ იახტ კლუბებზე და თემქის პლაჟზე, სადაც ზაფხულობით ა მ დ ე ნ ი ადამიანი ირევა და რომელიც სწორედ რომ ყველაზე კარგი მაგალითია იმ პულსისამომგდები შემოქმედებითი, ადმინისტრაციული, ფინანსური თუ სხვა სახის უბადრუკობისა, რაზეც ახლა ვსაუბრობ. ნუ დაივინყებთ, თბილისის სიახლოვეს

კიდევ ორი ტბაა და ორივეს მხოლოდ სწრაფი ფ უ ლ ი ს შოვნით დაინტერესებული ადამიანის ხელი ეტყობა.

ბევრს აღარ გავაგრძელებ, თუმცა თუ ჩემ მიერ შემოთავაზებულ აზრს გაპყვებით, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო, ძალიან ადვილად მოხვდებით იმ ველში, საიდანაც კარგად დაინახავთ, რომ ამ ტექსტში მე მართო თბილისის ზღვაზე არ ვსაუბრობდი.

სახლში დაბრუნებულმა, სასწრაფოდ ავაკაკუნე ჩემი კომპიუტერის კლავიატურა და ვირტუალურად ერთხელ კიდევ შევხვდი იმ ორ დიდ რეზერვუარს, სადაც ნამყოფი ვარ, - შენევის და მიჩიგანის ტბებს. არა, არაფერი შემშლია, ორივე ტბის სანაპიროებს ეტყობა (ორივეს თავისებურად), თუ როგორ აღიქვამენ თავისუფალ დროს შვეიცარიელები და ამერიკელები. ორივე ტბის სანაპირო ზოლს საკუთარი საარსებო სივრცის შემოქმედებითი ათვისებით დაინტერესებული ადამიანის ძ ა ლ ი ს ხ ი მ ე ვ ა ე ტყობა.

ჩვენი იმდღინდელი გასეირნების შემდეგ მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთს არ შევხვედრივართ, მხოლოდ ტელეფონით ველაპარაკებით ერთმანეთს და ყოველი ჩვენი საუბარი ერთი და იმავე სიტყვებით იწყება ხოლმე, - „არც ერთი ი დ ე ა, ამის დედა ვატირე, ა რ ც ე რ თ ი იდეა!“



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშურნი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურაკი, ქოჭულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

